

ლიტერატურული ალმანახი

# ხმისძვრა უკვი

მარტი 2019



No 7



# „ხმნიან უჯი“

ფასი 3 ლარი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა

2019 წელი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### იუბილე

მაყვალა გონაშვილი - 60 .....	2
ზაალ ბოტკოველი	
ცისარტყელების ბინადარი .....	6

### პოეზია

ქეთევან დოლიძე .....	11
თამაზ წიკლაური .....	13
თამარ ჯაფარიძე .....	15

### პროზა

ვანო ჩხიკვაძე	
ქიზიყური ბელკანტო .....	17

### პოეზია

ზაზა მალულარია .....	23
შმაგი ჭინჭარაული .....	26

### პროზა

ჯემალ მეხრიშვილი	
„ობობების ციხე-კოშკები“ .....	28

### კაფია

ეთერ ჩოხელი .....	32
-------------------	----

### განსვენება

ზურაბ ჯაფარიძე .....	35
----------------------	----

### პროზა

ლანა მანველი	
ამოუვსებელი ორმო .....	39

### ახალი სახელები

ეკატერინე თარაშვილი .....	41
ნინო კაჭკაჭიშვილი .....	42

მაია გრემელაშვილი (მაო გრემელი) .....	43
მარიამ ტოხიშვილი .....	45
ვახტანგ ტოხიშვილი .....	46

### თარგმანი

ფაზილ ისკანდერი .....	47
ჰერმან ჰესე .....	50
რაინერ მარია რილკე .....	51

### პოეზია

ჯუმბერ უთრუთაშვილი .....	52
ზურაბ კუტიბაშვილი .....	53
ლალი ფრუიძე .....	55
ირმა შიოლაშვილი .....	56
მურთაზ სირბილაძე .....	57
მერი ლაფაჩი .....	58
ნანა საბანაძე .....	58

### ლექსები

გიგი ხორნაული	
ხორნაულების წარმომავლობის ერთი ვერსია .....	59

### დედოფლისწყაროს ისტორიდან

ნანა ჭიჭინაძე	
მოგონებანი გარდასულ დღეთა .....	60

### ხელოვნება

დალი სულაშვილი	
„სიცოცხლე ჭრელზე ჭრელი...“ .....	61

### კულტურული ურთიერთობები

კოტე ბარიხაშვილი	
ღმერთი, ადამიანი, სამშობლო .....	63

**შ**ლმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოგახსენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ბატონ ილია მარტყოფლიშვილს.

# მაცვალა გონაშვილი - 60

**დ**ედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს, დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ და ლიტერატურული აღმანახ „ხორნაბუჯის“ სახელით ჩვენს სასიქადულო მამულიშვილსა და შესანიშნავ პოეტს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს — მაცვალა გონაშვილს ვულოცავთ საიუბილეო წელს. დაინტერესებულ მკითხელს კი ვთავაზობთ პოეტის ლექსებს, ასევე ჩვენებური პოეტების მისდამი მიძღვნილ მილოცვასა და ლექსებს.



### ირაა შიოლაშვილი

მაცვალა გონაშვილი ჩემი ბავშვობის ადამიანია, პოეტი, რომლის მშვენიერი ლირიკაც ახალგაზრდობაში ზეპირად ვიცოდი და პიროვნება, რომელიც ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა. ვფიქრობ, რომ უამრავი პრობლემის მიუხედავად, ჩემი თაობის შემოქმედი ბავშვები ძალიან ბედნიერები ვიყავით, თუნდაც იმიტომ რომ არსებობდა საბავშვო პიონერულ-ლიტერატურული გამოცემები და არსებობდა მაცვალა გონაშვილის სატელევიზიო გადაცემა „მზეო მომავლისა“. მაცვალა გონაშვილი ეძებდა ნიჭიერ ბავშვებს და მათ სატელევიზიო ეთერის საშუალებით მთელ საქართველოს აცნობდა. მახსოვს ჩვენი შეხვედრები ტელევიზიის პირველ სტუდიაში, მერე შეხვედრები მწერალთა გაერთიანება „გულანში“, მისი უშუალო, მზრუნველი და კეთილი ბუნება, ჩვენი დამეგობრება და ის დიდი სინათლე, რომელიც მაცვალა გონაშვილმა ცხოვრების გზაზე გამაყოლა.

ვულოცავ ჩემს მაცვალას იუბილეს, რომელიც როგორც გავიგე დღეს დიდი ზეიმით აღინიშნა, ვულოცავ ხალხის სიყვარულს და მთელი ქვეყნის სიკეთეს ვუსურვებ! მართალია ბოლო წლებში ხმას ვეღარ ვაწვდენ, მაგრამ ჩემი სიყვარული და მისდამი დამოკიდებულება წლებს არ შეუცვლია. ლექსი, რომელიც ჩემი პირველი წიგნი-

დან ამოუბეჭდღე, 15 წლის ასაკშია დაწერილი, ბავშვური სტრიქონებია, მაგრამ მართალი.

6 მაისი, 2019 წელი.

### მაცვალა გონაშვილის

ისევ ისე ვკითხულობ ლექსებს ცისფრად ნაფერებს, სევდა ადგა ფანჯარას ჩაყვითლებულ ბადიმაღ, მზისკენ სწრაფვის სურვილი წაეკიდა კანდელებს, პოეზიის ბილიკზე ქედუხრელი ავდივარ, სიმარტოვეს, საზარელს, თავი ვერ დააღწიე, „შემოდგომის ყვითელი ქარი“ გაკართობს დარდიანს, ღიმილი კი... ჰო, შენი საოცარი ღიმილი ტკივილების ზეთაზე სანთელივით ანთია. ეს ღიმილი რომ არა, ალბათ ასე ძალიან, ალბათ ასე ძალიან არც კი მეყვარებოდი, „ამ დაღლილი სიმართლის“ მარტოოდენ ბრალია, გელიყარის ნაპირზე სიზმრებს რომ გიყვებოდი. მოგძებნიან ცისკრისას ხმები ისე სათუთად, „როგორც ქარის თრთოლაზე ირწვეიან ფარდები“, წავიკითხავ ტკივილით ნასაზრდოვებ ლექსებს და სულის შეერთებისას უფრო მომენატრები.

მარინე ცხველიაშვილი

ზაური ბონაშვილი

\* \* \*

ჩემს სათნო და კეთილ მაყვალას,  
მეგობარ პოეტს

„გადვილწები თავთუხებში ექვსჯერ კივილით,  
დედას მიწოდებს ოთხი ქალი და ორიც ვაჟი“...

მე შენს ქალაქში მიყვარს და მალხენს  
ბოროტს სიკეთით კუდს რომ უძუებს  
და ღამ-ღამობით დამშეულ ბაღლებს  
მოუტან მუხით სავსე ძუძუებს.  
ასე აპურებს ზეციურ შვილებს  
და შენც ზეციურ სივრცებს ელტვი,  
იქნებ არ გიცდის მიწაზე ვინმე  
ფაფარაშლილი რაშით ან ეტლით.  
რად იგვიანებს, ეგებ ომობდა  
და შენს უფლისწულს სძლია მტარვალმა,  
თქვენ ექვსი შვილი უნდა გყოლოდათ,  
ვაი, თუ ექვსჯერ მტერი გამრავლდა.  
ნუ გეშინია, ჩვენთან არს ღმერთი,  
ჯერ მიწიერი ვალები მომეც,  
შენ უნდა იჯდე აკვნების ფერხით  
და თავიანთს გცემდნენ ქალსა და პოეტს.

მარინე ჭუმბურიკი

მაყვალა გონაშვილს

ვიცოდი როგორიც  
გელო ვალი,  
რომ იყავ პოეზიის  
დელოფალი,  
ბედი რომ დააჩოქე  
უბელი,  
იტვირთე უმძიმესი  
უღელი,  
მაგრამ არ მეგონე  
მე ასეთი  
(სხვას არ შეუძლია  
მეასედიც),  
ბრძოლაში მართლაც რომ  
ითამარე,  
მართალმა სიმართლით  
ითამამე.  
შენ უკვე ისტორია  
დაამშვენე,  
ლექსით ცათამბჯენი  
ააშენე,  
უკვე მოიხადე  
დელო-ვალი,  
ხარ ნამდვილ ბრძოლებშიც  
დელოფალი!

მაყვალა გონაშვილს

შემოვიდა და შემონათა,  
ირგულივ სითბო და შუქი მოჰფინა,  
ერთი ღიმილი, უფლის პურით,  
ყველას გაგვიყო და გვამყოფინა.  
მერე ჩამოჯდა მშვიდი და წყნარი,  
სილამაზის და ლექსის ღვთაება,  
იქ იყო ბევრი პოეტი, მაგრამ  
ყველას ბუღბუღის ენა დაება.

ჯუმაგარ უთრუთაშვილი

მაყვალა გონაშვილს

კარგი ხარ, ჩემო თანასოფლელო,  
როგორც პოეტი და როგორც ქალი,  
იმიტომ გაგაქვს ყოველთვის ლელო,  
ყველასთან რომ ხარ ცამდე მართალი.  
გულში არა გაქვს ბოღმა და შური,  
ვერც სხვისგან იტან აუგს და ტყუილს,  
ღვთის სიყვარულით რომ აწრთე სული,  
მით უძლებ ამდენ ბრყევების ყმუილს.  
ქართული სულის გადასარჩენად  
თანამოკალმეთ აწყობ რაზმებად,  
ვისაც ნაღდ კაცად უნდა დარჩენა,  
შენი დროშის ქვეშ დაირაზმება.

ლექსია შენი გოლგოთის ჭვარი

მაყვალა გონაშვილს

სიღინჯე დაგყვა მამა-პაპური,  
ღმერთმა გიბოძა ნიჭი და სიბრძნე,  
მტერი რომ სკდება ბოღმით და შურით,  
უფლის მადლს მაშინ უფრო მეტს იძენ.  
მუხამ გაწოვა ლექსების სხენი,  
მხლებლად დაგყვება რითმების ჯარი,  
ავსებული გაქვს ლექსი ღვთის რწმენით,  
ლექსია შენი გოლგოთის ჯვარი.  
სული ლექსებმა გაგიცისკარეს,  
შენ კი ლექსები გაამზიანე,  
ვინც დაგიკეტავს შენ გულის კარებს,  
იგი თავის თავს დააზიანებს.  
მაცხოვრის მცნებებს იცავ, მიჰყვები,  
როგორც გარეჯის წმინდა ბერები,  
ნირს ვერ შეგიცვლის ეშმა, ბრყევები,  
მოსისხლე მტერსაც კი ეფერები.  
გშვენის ქალური კდემა და რიდი,  
არა მჩატლები ქებით და ტაშით,  
პოეზიაში შენ ამობრწყინდი,  
როგორც ვარსკვლავი უღრუბლო ცაში.

აამგალა გონაფილი

დიდენას ექვ?

სიმშვიდის მკერდზე თავმიდებულს  
 ვინლა შემრისხავს?  
 ხალხის ყაყანმა გადაფარა,  
 ღმერთო, შენი ხმა.  
 დღეს არვინ ესერის დაღლილ პოეტს  
 დაფენას ან ტყვიას,  
 ერის ღირსებას და სიწმინდეს  
 ღრმა ძილით სძინავს.  
 ერთ თეთრად ფასობს თავდადება,  
 რწმენა, მორალი  
 და მაღალ ტახტზე თავს იწონებს  
 მეფე – დოლარი.  
 იცვლება ჟამი,  
 არ იცვლება ქვეყნად არცა – რა,  
 დიდებას ექვ?  
 უნდა იყო ცოტა ცანცარა.  
 არჩევნებიდან არჩევნების  
 ვცხოვრობთ ლოდინით,  
 სიტყვა „სანამდის?“  
 გულზე გვაწვეს მძიმე ლოდინით,  
 როს ერის მამას ლაზღანდარა  
 დააყრის სიცილს,  
 მე როგორ ვიყო შუაკაცი  
 ცისა და მიწის?  
 უდაბნოს შინა მღალადებლად  
 დარჩა ჩემი ხმა.  
 ყრუ სამყაროში ვინ განმკიცხავს,  
 ვინლა შემრისხავს?!

მოკადონეზულო ნრეში

გათითოკაცდა სამყარო,  
 ცის ნაცვლად ვუშვერთ ეკრანს  
 და მალვიძარა საათი  
 რეკავს, ამაოდ რეკავს.  
 ეს რა ძილქუში შეგვევრია,  
 ველარ ვფხიზლდებით, ვერა,  
 ძილ-ბურანიდან დამფრთხალებს  
 საით გაგვექცა მზერა?  
 სასახლის კართან მისულებს  
 შეგვაგებებენ ხარხარს,  
 თუკი ვიძალისძალავთ,  
 გადმოგვიგდებენ სახრაგს.  
 სახრაგს და სახრეს ჩვეული,  
 ერთ ღროს რჩეული ერი  
 სხვის ნასუფრალზე აცეკვდა,  
 სხვის მუსიკაზე მღერის.  
 მეც ასე ხელეგაშლილი  
 თურმე სატანას ვეძმე,  
 ხან მაძლარ მამებს ვაპურებ,  
 ხან უძლებ შვილებს ვეძმე.

მეც შვილი ვარ და შშობელი,  
 მეც დამინახეთ, გვედრით,  
 ვარ წუთისოფლის წიგნიდან  
 ამოხეული გვერდი.  
 არ მინდა მე სხვა სამშობლო,  
 მე სხვა სამოთხე არ მსურს,  
 ვზივარ დაბზარულ კედლებთან,  
 აწმყოს ვაწებებ წარსულს.  
 ნუ დამივიწყებ, უფალო,  
 ნუ მომარიდებ სახეს,  
 მიფრიალებენ მაგანნი  
 ფულით მოხვეჭილ სახელს.  
 „რაუჭნისა“ კოშკთან დაქანცულს  
 მღვრიე ფიქრები შემშლის,  
 სანამდის უნდა ვიარო  
 მოჯადოებულ წრეში?

წარსულისკენ გადახრილი მზერა

როგორც სასჯელს, ისე ვიხდი ზამთარს,  
 როგორც ჯვალს, ისე ვირგებ პალტოს,  
 არ მეგონა, თუ ამ ზამთრის მერეც  
 შეგხვდებოდი დაღლილსა და მარტოს.  
 მარტოვია ახლა ყველა კითხვა:  
 ვინ და რისთვის, საიდან და რატომ?  
 მარტოვია მარტის ყველა ფანდი  
 და როგორც სურს, მარტი ისე მარტობს.  
 მე კი უკვე სხვა მდინარეს მივდევ,  
 სხვისი ვნებით ვმარტვილობ და ვკრთები,  
 როგორ უნდა შევეგებო ზეკარს  
 დრო-ჟამისგან შელახული ფრთებით?  
 რაც ვიფრინე, განა ცოტა იყო?  
 რაც ვიდარდე, განა არა კმარა?  
 ამოგმანე დავიწყების ლაფით  
 მოგონების ყველა ჭუჭრუტანა.  
 დავჭკვიანდი, აღარ ვებრძვი ქარებს,  
 რა ხანია, სიზმრის აღარ მჯერა,  
 ვერ გავიგე, მაინც რად მგერის სევდას  
 წარსულისკენ გადახრილი მზერა?

ვალი

არა მარტოდენ მამულის, ანდა,  
 არა მარტოდენ წინაპრის ვალით,  
 საქართველოში ათგზის ძნელია,  
 იყო პოეტი და იყო ქალი.  
 ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხშიშველი  
 გაჰყვე ეკლიან, უცნობ ბილიკებს,  
 ვილაც ფეტვივით მოგაყრის ჭორებს,  
 ვილაც ქარივით გაგაქილიკებს,  
 ეს იმას ნიშნავს, ყოველ ცისმარე  
 მზის სხვივით ქსოვდე ჩალისფერ ღროშებს  
 და სიმართლისთვის ზღაპრის გმირვით  
 რკინისგან ნაჭედს იცვამდე ქოშებს,

ფუფაღას სიმღერა

ეს იმას ნიშნავს, რომ ცალი ხელით  
 აკვანს არწვედე, სად სხივი ჩადგა,  
 ხოლო მეორით კემსავდე ძველი  
 მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს.  
 იყო ერთგული დედა და ცოლი,  
 თანაც ფეხდაფეხ სდიო ქარაშოტს,  
 ეს იმას ნიშნავს, ვით ცეცხლს ფარვანა,  
 სიკვდილს ბავშვივით შეეთამაშო  
 და სხვა კეკლუცი ქალების დარად,  
 არ შევისრულდეს ნატურა აროდეს,  
 არ იყოს ვინმე, სიმარტოვიდან  
 შენს დასახსნელად მოუხაროდეს,  
 ეს იმას ნიშნავს, არ განუგემონ,  
 როცა სიცოცხლედ გიღირს ნუგეში,  
 ეს იმას ნიშნავს, იყო ქალღმერთი  
 კაცის და მიწის მძიმე უღელში.  
 არა მარტოდენ მამულის, ანდა,  
 არა მარტოდენ წინაპრის ვალით,  
 ჩემს სამშობლოში ათგზის ძნელია,  
 იყო პოეტი და იყო ქალი.

რარ ჩემი და შენია

როცა ბინდი ეწვევა  
 ამ საოცარ შხიანეთს,  
 როცა ჩემი ბატონი  
 ძლიერ დაიგვიანებს,  
 როცა ღამის პეპლები  
 ლამპიონებს მორთავენ,  
 როცა იჭვი მეწვევა,  
 ყველა დარდის მოთავე.  
 ვიწყებ ლექსით გართობას,  
 თან ლოდინით ვთავდები.  
 ქარის შეფრუოლებაზე  
 ვნებით კრთიან ფარდები.  
 ჟამი გადის ტაატიო,  
 იწურება პირველი,  
 გულიც ჩამომეწურა,  
 გულო, ასე ვის ელი?  
 აჰა, შემობრძანდება  
 ცოტა ნაბახუსევი,  
 უხერხულად მიღიმის,  
 როგორც პირველკურსელი.  
 მე ცასავით ვმრისხანებ,  
 ის თამაშობს მონის როლს,  
 ამდენი ხნის სინათლე,  
 ღამის ეჭვმა მონისლოს.  
 მე დუმილით ვქვევდები,  
 ის დაკარგვით მაშინებს,  
 მერე ღამე გვარიგებს,  
 მერე ღამე გვამშვიდებს.  
 მე ვთამაშობ სეფე ქალს,  
 ის თამაშობს მეფის როლს.

მხარზე შევისვი ფუჭი ოცნების  
 და ტკივილების ვეჟანა ძერა.  
 მე მოვიგონე ეს ყველაფერი  
 და ამ სიცრუის თვითონვე მჯერა.  
 მე მჯერა, მოხვალ მთვარის მაყარი,  
 ფეხთ გაგიწვება ცის ლურჯი რიდე.  
 ისე, ვით კაცმა იწამა ღმერთი,  
 შეგქმენ, გიწამე და განგადიდე.  
 შენ გამიტაცებ ზეცის კოშკიდან  
 ნაკვერჩხლისთვალა უბელო რაშით  
 და სიმარტოვის წკვარამ ღამეებს  
 ამ გამოჩენის სინათლით წაშლი.  
 მე მოგანიჭებ ღმერთების ძალას.  
 გადმოვიღვრები შენში, ვით შუქი,  
 დაგახრჩობს ჩემი თმების მორევი,  
 ღამეზე შავი, ღამეზე მუქი...  
 და შენ მიხვდები, მხოლოდ შენ ერთი,  
 ჩემს ცრემლს რა დიდი ფასი ჰქონია  
 და მეტყვი, მეტყვი სიტყვას, რომელიც  
 მე მხოლოდ სიზმრად გამიგონია:  
 — მიყვარხარ, ქალავ!

ღვთისმშობლის მონოლოგი

რატომ დამხატეთ მწვანე წალკოტში  
 ბაგით მღიმარით? თვალებით მშვიდით?  
 თქვენ ხომ არ იცით, როგორ გავრბოდი,  
 ნაკვალევს ცრემლით როგორა ვშლიდი,  
 თქვენ ხომ არ იცით, როგორ ვეწამე,  
 როგორ ვთრთოდი და როგორ ვტიროდი  
 და ჩემს სარკმლიდან შემოსულ ლანდებს  
 ჰქონდათ პროფილი დიდი ჰეროდის.  
 ვნება — ზმანება, შვილი — სიშორე,  
 სისხლის ცრემლებით გამოტირება.  
 რწმენა — სიმაღლე, გოლგოთა — ჯვარცმა...  
 მამაუფალმა ასე ინება.  
 ჰო, ადასრულა, რაც გარდუწვევითეს,  
 რაც დაუწერა განგებამ ბედად,  
 თქვენთვის ის ღმერთის ძეა მაღალი,  
 მაგრამ მე მაინც დედა ვარ, დედა.  
 და მეც ვიტვირთო თქვენი ცოდვები,  
 მეც რწმენის ჯვარზე ათასჯერ მაცვეს.  
 ზეცის ბილიკზე დამზრალ შრომანებს  
 ცრემლებით რწყავდა შემკრთალი მაცნე.  
 სხივი, რომელიც გინათებთ გზაწვრილს,  
 ჯვარზე გაკრული ღმერთის წულია,  
 ხეებს რომ ასე აკვნესებს ღამით,  
 ქარი კი არა, დედის გულია.  
 თუ განსაცდელი ელის ქვეყანას,  
 დღეები სევდით თუ დაიბინდა,  
 გვარადღეთ ჩემი ტანჯული შვილი,  
 მამაუფალი და სულიწმინდა.

# ზაალ ბობაოველი

## რისარტყელების ზინადარი

მაყვალა გონაშვილს საიუბილეო თარიღი შეუსრულდა.

ამ წერილს ერთი უბრალო დანიშნულება აქვს – მკითხველს აუხსნას, თუ რატომ უყვარს მის ავტორს მაყვალა გონაშვილის პოეზია და თავად ამ პოეზიის შემოქმედი.

მაყვალა გონაშვილის ლექსების პირველ კრებულს „ყაყაჩოების კოცნა“ ჰქვია და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ მისტიურმა, ფეერიულმა კოცნამ ისეთი კოცონი დაანთო, რომ მისი მხურვალეობა და სინატიფე დღემდე ლაიტმოტივად დაჰყვება პოეტის შემოქმედებას. არსთაგამრიგემ თითქოს სხვით ნაქარგი ქალამნები ჩააცვა ფეხზე, გიშრის თმაზე ჯიდა დაადგა და ისე გაუშვა პოეზიის უღრანებში სახეტიალოდ და თან მიანიშნა, რომ სახიფათო, ფათურაკებით და ტკივილებით სავსე გზებით ველო, თუ უნდოდა, მისი შემოქმედება ნაღდი პოეზიის ტვიფარით ყოფილიყო აღბეჭდილი. თუ რამ ჩაიბეჭდა სულში ამ მშვენიერმა პოეტმა, რომლის შემოქმედების გარეშე უკვე წარმოუდგენელია XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის ქართული პოეზია, ის ჩაიბეჭდა, რომ მისთვის უპირველესი საფიცარი და საესავი მიწის ის ბელტია, სამშობლო რომ ჰქვია სახელად, ოცნებებით უხედნავ ქარებს ადევნებული ქვეყანა, კაცობრიობის მადლსა და მირონს რომ წარმოადგენს – და კიდევ დედამიწის მარილს, რომლის გარეშე პეწი და ელვარება მოაკლდებოდა ჩვენს ცისფერ, ულამაზეს პლანეტას.

ჯანსუღ ჩარკვიანი, ქართული პოეზიის ჭეშმარიტი მაესტრო წერდა:

„მაყვალა გონაშვილის ლექსთა მშვენიერება, როგორც წვიმის შემდეგ ცისარტყელა, ისე გამოკრთა ცაზე... მე ვგრძნობდი, იმ ბავშვურსა და პირველყოფილ გულუბრყვილობას, რომელიც საფანელია ჭეშმარიტი პოეზიისა“.

„რა უნდა იყოს ღამაში ქალის მშვენიერი ლექსების გამოსარჩლებაზე უფრო საამაყო, როცა იგი „სევდით სავსეა, როგორც დრუბელი და თვით არ იცის, როდის იწვიმებს“. — ეს ფრანჟა კი ქართული მწერლობის კლასიკოსს ჭაბუა ამირჯიბის ეკუთვნის, რომლის „დათა თუთაშხია“ ქართველობისთვის ბიბლიის სადარ წიგნად იქცა.

განა რაღა უნდა დაწერო ამაზე უკეთ, განა როგორ უნდა შეაფასო ამ დიდებული ქალბატონის შემოქმედება, რომ რაიმე ახალი და ღირსეული წამოგცდეს...

მაყვალა გონაშვილი ხომ ათეული წლებია, რაც ფეხმომხველი მიუყვება ეკლიან უცნობ ბილიკებს და თან ათასი ჯორი და ტყუილ-მართალი მიჰყვება საპყარი მათხოვრის გუდასავით. არც კი ახსოვს, როდის და როგორ შეაჭრეს ფრთები, როგორ დაუხშეს ზეცის კარები. დაბზარული ხორნაბუჯივით სული კბილით უჭირავს და მაინც არ ტყდება, არ ნებდება წუთისოფლის მდინარეებს, შხის სხივებით ქსოვს ჩალისფერ დროშებს, კემსავს მეთაფორებით გაცვეთილ ფარდაგს, ბავშვივით ეთამაშება სიკვდილს კაცისა და მიწის უღელში შებმული და აქეთ გვებოდიშება, აქეთ გვთხოვს პატიებას, ნუ გამიწყრებით, თუ მარტის სულელ ამინდებს ვგვეარო. მის სულში ხომ ყოველივე ისე მეორდება, როგორც ასი, ორასი, ათასი, მირიადი წლის წინ მეორდებოდა: ფოთოლცვენა, ქარი და წვიმა, სიყვარული და თავგანწირვა, ერთგულება და ღალატი. ძნელია ყოველივე ამის ატანა, ამის გადახარშვა, მაგრამ პოეტია და უძლებს. რატომ? იმიტომ, რომ ისიც კარგად მოეხსენება, მის ნატურფალზე ცრემლები მზისფერ იებად ამოიწვევრება ხოლმე და არნახული



სურნელით აბრუებს გარემოს.

მაყვალა გონაშვილი ქართველი პოეტია, თხემით ტერფამდე ქართველი პოეტი, ქართულ სიწმინდეებში ჩაკირული პოეტი და რა გასაკვირია, გულის გულში ჰქონდეს ამოტვიფრული ილია ჭავჭავაძის – წმიდა ილია მართლის სამება – მამული, ენა, სარწმუნოება.

ამდენმა ფიქრმა და დარდმა

ჟამივით ხელი დამრია,

შენს წილხვედრ მხარეს მიხედე,

გვედრებ, ქალწულ მარიამ!

ვედრება ღვთისმშობელს, ევედრება ღვთიური მადლით სხვიმოსილ მაცხოვარს და უფლის ხილვას დანატრებული სხვის მიჰყვება ზეციური სანახებისაკენ, წმინდა საუფლოსაკენ, მაგრამ ყველა კარი და დარაბა დახშული ხვდება. გამჭვარტულ ცაზე როგორ გიპოვო, უზენაესო, – აღმოხდება სასოწარკვეთილს. ეს ტრაგიზმით სავსე განცდა რეალობისა ბევრ რამეზე დააფიქრებს პოეტს, თუნდაც იმაზე, რომ მისი საესავი სამშობლო, მისი საესავი ქართველობა ვერ ცხოვრობს ისე, როგორც უნდა ცხოვრობდეს ღვთისმშობიში ერი, რომლისთვისაც უპირველესი ჭეშმარიტება უფლის ათი მცნება უნდა იყოს. ის რასაც ახლა დაწვერ, შეიძლება მთლად არ ესადაგებოდეს ამ წერილის დანიშნულებას, მაგრამ... ეს რა მართლაც უამური ჟამი დაგვიდგა, ქართველებო, როცა ერთი ხელით ვზღუდავთ (სრულიად სამართლიანად) თამბაქოსა და ნიკოტინის მოხმარებას, ხოლო მეორეთი ვაკანონებთ თამბაქოზე მირიადჯერ მეტი ბოროტების მომტანი ნარკოტიკების ლეგალიზაციას. ალბათ, ამიტომაც შემოგვწყრა უფალი და კიდევ სხვა უამრავი ცოდვისა თუ ბოროტების გამო. მაყვალა გონაშვილი კი ეძებს გზას ხსენისა და მიდის იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ არაფერი არ გვემეველება,

თუ არ შემოაბიჯებს

ამ ქალაქში მზესავით

კაცი სხივზე მალალი,

მე – ცისა და მიწის...

და კიდევ: არ გვემეველება მანამდე, სანამ საკუთარ გულში, საკუთარ სულში არ მოვიძიებთ და არ აღმოვაჩინებთ არსთაგამრიგეს ჩვენსას. თავად პოეტს კი მისი წილი ქრისტეს კვართი და სამსჭუალი დიდი ხანია სულში საგულდაგულოდ გადაუ-



ნახავს და ისე მიუყვება გოლგოთის გზას და თან თანამოძმეით მოუწოდებს, ტაძრისაკენ მიმავალ გზას გაჰყვინენ, მით უმეტეს, რომ საქართველოს დედაქალაქისა და დღეს ჭეშმარიტად ღვთის კაცი – უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე უდაგას სათავეში. ღვთის კაცი, რომლის სიბრძნემ, გონიერებამ, წინდახედულებამ არაერთხელ იხსნა საქართველო უბედურებისაგან.

მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ ბედი ქართლისა, ლოცვით და ცრემლით აგვისათ სიბრძნის საღარო, რადგან თქვენ მყევხართ, მზის ნათელი ადგას ჩემს მამულს, სამოციქულო ეკლესიის მამამთავარო!

მიმართავ პოეტი საქართველოს მწვემსთავარს და ეიმედება მისი, ეიმედება, რომ ღვთისშობლის წილხედომილი ქვეყანა გადარჩება, თუმცა ეკვი მაინც ღრდნის და მოსვენებას არ აძლევს. აბა როგორ მოისვენოს, როცა ხედავს, რომ საკუთარი ფეხები გადაეჭვრით, ფრთები მოკვეთეთ ფუძის ანგელოზს, როცა „მოხვევია ჭიგოს ვნებით ვაზის ნაცვლად უსურვან“, როცა ხომლის მთაზე ასულს ზვრების ნაცვლად სახამთროს ბაღჩები ხვდება, იმ სახამთროსი, ყიზილბაშთა ჩაღმდამ თავეს რომ აგონებს. დიახაც რომ ძნელია და ტკივილამდე აუტანელი იმის დანახვა, როგორ შემოხვევია ვაზს ეკალბარდი:

ჩვენი საგალობლო,  
შენ ნათლულო მზისა,  
ნინოს თმით დახლართულო,  
ხეო სიწმინდისა.  
გაჩუქურთმეთ ტაძრებზე,  
ვით ღვთისმშობლის ხატი,  
გვინათებდა სტრიქონებს  
შენი ათინათო.

რამდენი სევდა და ვაებაა ჩაღვრილი ამ სტრიქონებში, რა მართალია პოეტი, როცა ხმამაღლა აცხადებს, გადახსნილი მაქვს ყველა ჭრილობა, სისხლით კი არა, სევდით ვიცლებიო. აბა, სხვანაირად რა იფიქროს და მოიმოქმედოს შემოქმედმა, როცა გონებადანილული ქართველები მხოლოდ ხინკლის ოხ-შივარიდან შესცქერიან საკუთარ ქვეყანას და ლამის ლოთის სიყვარულით ჩაატიონ ჭიქაში ივერთა მხარე. სწორედ ამ დროს ხვდება ქალბატონი მაცვალა, რომ მის გენში მისი დიდი წინაპრების შემკრთალი სული კვიის და ბორავს. დიახ, ცარგვალზე აცახცახებული ვარსკვლავების ხომლის ფონზე თრთიან და შფოთავენ წინაპართა წმინდა სულები და მოსვენებას არ გვაძლევენ, რადგან ამ ქვეყანაში ქარი რომ ქრის, ქარი კი არა, მამულის კენესაა, წვიმის დროს კი წვიმის წვეთების ნაცვლად უფლის ცრემლი მოგორავს ტატნობზე... ჩვენს მიტოვებულ სოფლებს კი ერთადერთ ერთგულ ჭირისუფლად ქარბორბალა შერჩენია, წალეკვით რომ ემუქრება ყველას და ყველაფერს. სწორედ ამის შემხედვარეს აღმოხდება მუნკის კვილივით პოეტს:

ეს ლექსი არაა, ეს ჩემი ცრემლია,  
ამდენ ხანს გულით რომ ვმალე,  
როდის გათენდება, როდის გათენდება?  
მალე, სანატრელო, მალე...  
.....

ამირანს მტრის არა, ნათლიის ჯინი სჭირს,  
ყორანი დასწევია მერანს,  
დღეს ნაწილ-ნაწილ გლეჯავენ საქართველოს,  
როგორც მაცხოვარის პერანგს.

ყოველივე ამის შემდეგ, რა მორცხვად, რა საყვარლად წამოსცდება ავტორს:

ვაი, როგორ მომენატრა  
მზეზე მოშრუკული შინდი.

და თქვენ ხვდებით, ძვირფასო მკითხველო, ამ მოშრუკული შინდის მონატრება უბრალო მონატრება არ არის, არც ბავშვობის მონატრებაა და არც იმ უმშვენიერესი მოგონებების მონატრება, ხანდახან ძილსაც რომ გვიკარავს ხოლმე, ეს იმ საქართვე-

ლოს მონატრებაა, როდესაც ქვეყანას მის ბედსა თუ უბედობაზე ღრმად ჩათვინებული ერისკაცები მართავენ, ქვეყნისათვის თავგანწირვა რომ შეეძლოს, რომელთა წმინდა სისხლიც უხვად იღვრებოდა ყარაყორუმის უდაბნოებსა თუ შირაზის ველზე... იმ საქართველოს მონატრებაა, ვაჟკაცს ვაჟკაცი რომ ერქვა და მანდილოსანს მანდილოსანი. ხედავთ, რა შესძლება პოეტს, ერთ სტრიქონში ჩაატიოს ვეება დარდი და ვაება, ტკივილი და სასოწარკვეთა მაშინ, როდესაც მზეც კი აღარ მშეობს, უფლის ყვაილი.

ყოველივე ამას გრძნობს და ხედავს პოეტი, გრძნობს, რომ ჟამი დამდგარა, ჟამი უქამური უსიტყვო კაცთა, რომ ჩვენი ცხოვრება ჩრდილში დამწიფებულ ხილს დამსგავსებია, უგემურსა და არაფრის მაქნის. ყოველივე ამის შემხედვარე შემოქმედი ვერ დარჩება გვერდზე და რინგის მსაჯოვით ვერ დაუწევებს ათვლას ნოკაუტში ჩაგარდნილ სამშობლოს. ამიტომაც ეს ბრწყინვალე ლირიკოსი, სიყვარულისთვის და დიდი ადამიანური ბედნიერებისთვის გაჩენილი სუსტზე სუსტი არსება, რომელიც ჭიანჭველასაც არ დაადგამდა ფეხს, ჯაჭვის პერანგს იცვამს, მუხარადს იხურავს თავზე და უშიშრად გამოდის მშობელი ქვეყნის სადარაჯოზე. ქალბატონ მაცვალას ბოლო წლების სამოქალაქო პოეზია გაკვირვებით ფოლადისებური სიმტკიცით, შეუვალობით, პრინციპულობით და, რაც ყველაზე მთავარია, სიმართლით, დიდი ადამიანური სიმართლით, რომელსაც არათუ ვერ შეედავები, ხმასაც ვერ ამოიღებ.

მაცვალა გონაშვილის სამოქალაქო პოეზია შიმშილით გასავათებული, ფიქრით გამოფიტული თანამოძმეების გამოსარჩლება, რომელთაც სამშობლო ერთ დიდ ფსიქიატრიულ კლინიკად გადაქცევით და აღარ იციან ზვავეში მოყოლილებმა, რომელ ერთ სატკივარს, რომელ ერთ პრობლემას უსამყელონ. თანამედროვე დემოკრატია ხომ ნებადართულ სიძულვილად ქცეულა ყოველივე იმისა, რამაც აქამომდე მოგვიყვანა.

გზა აბნევიდა ფუძის ანგელოზს,  
ჩამოქცეულა მაღალი ჭერი  
და შმორის სუნით მიბნედილ ქალაქს  
ავტომატების აღვიძებს ჯერი...

სული შეგეკვრებათ, გული შეგეკუმშებათ ამ ციკლის ლექსების წაკითხვისას. პოეტის მიზანიც ეს არის, რომ გამოაფხიზლოს ლამის საღათის ძილში ჩაგარდნილი ერი და ის საწოლგარა გამოაცალოს პირიდან, რომლითაც მის სამუდამო მიძინებას აპირებენ.

ჩემი სიმცირით მამცირებენ, ჩემი სიკეთით,  
პოლიტიკას კი საძაგელი სუნი აქვს შმორის,  
ვღგავარ დაღლილი სიმართლის და სიცრუის კართან  
და ვეძებ საზღვარს სიკვილისა და სიცოცხლეს შორის.

გუშინ იყო თუ გუშინწინ, როცა ძლიერნი ამა ქვეყნისანი ერთი ჯამიდან სვამდნენ, ერთი გობიდან ჭამდნენ და მაინც არ ინდობდნენ ერთმანეთს ცეცხლისთვის, ქალისთვის, აბრუებდათ პირველკაცობის ფინი და სურვილი, სიტყვებს, როგორც გვირგვინს, ისე ირგებდნენ თავზე ეს თვითმარქვია ქვემძრომები, როგორ „უხდებოდათ“ ბრძენის მანტიები გაზულუქებულ მანქნურებს, რომლებიც მრუდე სარკეების სამეფოში აცხოვრებდნენ ერს, რომლის ერთადერთ შეცოდებას ის წარმოადგენდა, რომ ქართველებად ვიშვით ამქვეყნად.

ამ ჩემს ტკივილს რას გაიგებს ჩვენი მეფე ქართველითა ქართველისა შემუსურელი.

ამ სტრიქონების დაწერა ჩვენს უახლეს წარსულში დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობას მოითხოვდა და ბარაქობა მაცვალა გონაშვილს, რომ ყველა პარტიასე მალა პატრია დააყენა. არც იმ ლექსის დაწერა გახლდათ მთლად უხიფათო, „თოჯინების სახელმწიფო“ რომ ჰქვია.

ვინ გიწოდათ თოჯინები  
შუშისთვალა მაცილებს?  
თუ ხისა ხართ, როგორ აფრქვევთ

სიძულვილის ბაცილებს?

.....  
თოჯინების სახელმწიფო,  
სახელმწიფო თეატრი.

ამ თოჯინების სახელმწიფოში ყველაფერი იყიდებოდა – სულიც, სხეულიც, სიყვარულიც, ერთგულებაც, იყიდებოდა გრომ-კაპიკად, იყიდებოდა ჩვენი სამშობლოც, უფლის კვართად გადაქცეული სამშობლო და არაფერი იყო განმკითხავი. და როცა ყველაფერი იყიდება, უკლებლივ ყველაფერი, იქნებ მართლა ბოლო გაჩერებას ვუახლოვდებით, რა გვეშველება? რა გვეშველება, როდესაც მოგონილი გულწრფელობით, ლიქნითა და ფარისევლობით ქადაგებენ ტელებიჭუნები, როდესაც ქვეყანა გაავსო ტელე-ჯარმა, ტელე-გმირმა, ტელე-პოეტმა, ტელე-პარლამენტმა. რაღა დაგვრჩენია ამ დროს?

მაშ, გამორთე ეგ ცრუ ყუთი,  
ჩემო ბრძენო ერო.

ეკრანს მიღმა — დარდიანო,  
ტელე — ბედნიერო!

ალარაგის ახსოვდა (თუ — ახსოვს), მზე რომ დედა არის ჩვენი, მთვარე კიდევ — მამა, ვარსკვლავები — დები და ძმები. აბა, რა გასაკვირია, თუ ამ დროს სიყვარული, თავგანწირვა, რწმენა, არც მეტი და არც ნაკლები, ერთ კუპონად ფასობს.

ჭრილობა გახსნილა და გველის ამბორი

არ მშველის წამლად და მალამოდ,

უნდა სხვივით გქსოვო, უნდა ცრემლით გკემსო

ჩემო დაფლეთილო ალამო.

მართლაც შემწარავე პანორამა გადაიშალა ჩვენი უახლოესი წარსულისა, როდესაც ქვეყანა იქცეოდა და მავანნი, ხელისუფლებაში სასწაულებრივად მოხვედრილი შადიმანები, ყურს გვიხედნიდნენ იმით, რომ თურმე საქართველოს ისტორია მათი მოსვლის შემდეგ დაიწყო. ამაზე დიდი ცინიზმი და ნიჰილიზმი წარმოუდგენელია და იმ მრუემ დიდი ღამის შემხედვარეს, მაყვალა გონაშვილს სწამდა, რომ თუ რამ იხსნიდა მის სამშობლოს, მისი ფესვები იხსნიდა, მიწაში მყარად ჩაკირული ფესვები, პაატა სააკაძის მოჭრილი თავი, ქეთევან დედოფლის დაშანთული მკერდი და უსახელო უფლისციხელის ნაისრალი ზურგი...

იქნება, მართლა გაიხსნას ზეცა...

თენდება, სადღაც ყივის მამალი.

მაყვალა გონაშვილი მაცხოვარივით ჯვარცმული ქვეყნის შვილია და ამ ქვეყნის შვილობა ბევრჯერ დააფიქრებს იმაზე, რომ ამოუება ამოთა და ყოველივე ამო არს, დააფიქრებს იმაზეც, რომ ცხოვრება ძლიერ ჩამოგავს ზღაპარს და ჭინკა—ჭორივით დაძრწის სოფლად.

მე გამოვექეც შენს ზღაპრებს, პაპი,  
გზად შევეჩხე ჯადოქრებს, დევებს,  
რად არ მახსოვდა, ღმერთთან მორკინალს  
ზღაპარშიც სჯიან, ზღაპრადაც სდევნენ.

პოეტი მიუყვება გზაწერილს, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, მიუყვება წუთივით მოკლე მარადისობის დაღლილი, თვალეში ბინდრაგუბებული მგზავრი, რომელსაც ის ეიმედება, რომ თუ აღესრულება და ცის სინარნარეს შეერწყმება, შეერწყმება სიმღერით და ესეც მისი ბედი იქნება. ტკივილისგან, დარდისგან, ვაებისგან სულშემძრული გაუთენებელ დამეებს ფხოჭნის სანთლისფერი მკრთალი თითებით, რადგანაც ზედავს, რომ ჟამი ისევ ერთი საცრით ცრის კუთილს თუ ბოროტს, მტყუანს თუ მართალს, როცა ღმილი რომ ღმილია, ისიც კი მავანთა სახეზე შემწარავ ლოკოკინას ლორწოვან ბილიკს აგონებს.

ერთხელ მოვსულვართ ამ ქვეყანაზე,  
ღმერთმა გვიბოძა გზა, ერთი ციდა,  
წამი არ გვრჩება სიყვარულისთვის,  
სიძულვილისთვის? რამდენიც გინდათ.  
წუხს იმაზე, რომ ხშირად ფუძის ანგელოზივით ჩამოქნილ

სილამაზესა და მშენიერებას ვერ ამჩნევენ და სხვათა გარეგნულ ფოიერვერკებს ეთაყვანებიან. არადა, ფოიერვერკს ერთი ცუდი თვისება გააჩნია — მყისიერად იფერფლება და ქრება. იცის, რომ ძნელია მოგონილი ბედნიერებით ცხოვრება, როცა ვნება რომ ვნებაა, ზოგჯერ დაფარულზე დაფარული, იმასაც სულ სხვა ქარებს უზიარებენ, როცა ალვის ხეებად ბაღბას და ქონდარს ასაღებენ, ციციანთულებს კი — მზედ.

სხვა რა მადარდებს? — თეთრი მერცხალი

ჩემს აივანზე აღარა ბუღობს

და ჩუმი სევდა ისე ყვავილობს,

ვით გაზაფხულზე ჭორი და სურდო.

მხარზე ყავს შესმული ფუჭი ოცნების და ტკივილების ვეჟანა ძერა, გადახსნილი აქვს ყველა იარა და უფალს შესთხოვს, პატრიების მომხადლე ნიჭი, ტკივილები ეკლებად შემასხიო. კიდევ ის უნდა, ვინმემ მუჭა გაზაფხული უსახსოვროს და დაეხმაროს, რომ როგორმე სიტყვით უწამლონ ამოების ბაზარს.

როცა დარეკავს ჟამი განკითხვის,

ცა სამაისო შვიდჯერ იელვებს,

რითი შეგავსებთ, ვიცოდე, მაინც,

ამ გასაოცარ სიცარიელეს.

ერთი რამ დანამდვილებით იცის — ბედს არ უნდა მიენდო, თორემ ნაფოტით აგათამაშებს წუთისოფლის მორეში და ბოლოს მოუსაგლეთში გაგრიყავს და გაგინაპირებს...

ბატონებო, საკმარად ბევრი ვისაუბრეთ მაყვალა გონაშვილის პოეზიაზე, მის მოქალაქეობრივ მრწამსსა და პოზიციაზე. ერთი კია, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ, უპირველეს ყოვლისა, ქალბატონია, სიყვარულისთვის და ბედნიერებისთვის დაბადებული ქალბატონია, რომლის პოეზიასაც სიყვარულის განცდა სულ სხვა პეწსა და ელვარებას მატებს...

პოეტის ლირიკულ გმირს შეუძლია მოთიბული ბალახივით მხარგაშლით გაწვევს მინდორზე და თავსაიათი დამშვენებული დაელოდოს თითრ ბედაურზე ამხედრებულ გულის სწორს. ცხოვრობს ისე, როგორც ცხოვრობენ მეოცნებე ქალები, მასპინძლობს დაღლილ ქარებს და წვიმებს და ვვას გეშით დაეძებს მარადიულ ნახევარს, კარგად იცის, რომ კაცი თუ ტკივილებით ფასდება, ქალს ლოდინის ნიჭი გამოარჩევს.

კოშკი ვარ, თეთრი კირით ნაგები

და ზეცას წვდება ჩემი ფიქრები.

ამ ფიქრებში კი სიზმრის კაცისთვის შლის მთვარის ლოგინს, ნისლეზად ჩამოღვრას აპირებს საყვარელი არსებისთვის.

და ჩემი ტრფობაც, არ გაგიკვირდეთ,

მეც ხვარე ბიჭის

დაგუბებულ მონატრებას გავს,

როცა ბალახსაც აქვს ქალის სიღბო,

როცა წყაროსაც აქვს ქალის სიტკბო,

როცა ხეებსაც აქვს ქალის ფორმა...

განა რისი ვადება შეუძლია მსხვერპლად სატრფოსათვის? შეუძლია სიყვარულის ქათიბი მოუქსოვოს, ფიფქოვით დააკვდეს ხელისგულზე და კიდევ ის, რომ მოქათქათე ღრუბლის ფთილიდან ერთგულების ძაფი დაართოს. ის კი იგვიანებს, საეჭვოდ იგვიანებს და გულშემძრულ ქალს ისღა დარჩენია, დაიწურწულოს:

მე უნდა ვზიდო შენი ცრემლები,

მე მოლაღატედ როდი ვშობილვარ,

აჰა, მოვედი შენს დასახსნელად

შენი სიზმრიდან და ბავშვობიდან.

მოდის ყველა შეყვარებული და უარყოფილი ქალის სახელით, მოდის იმ მივიწყებულ საყდარში, რადგან სხვაგან ვერ იპოვის სწორსა და ბადალს. იძირება ცრემლებში და ახსენდება ის დრო, როცა ქარის შეჟრჟოლებზე ვნებით კროთდნენ ფარდები, როცა ვნების პერანგი ღამის ტანზე შემოეფლითა, როცა ყველა კართან მოსისხლე მტერივით ჩასაფრებული ჰყავდა იმ კაცის სიცილი, რომლის გამოც

სულსაც მიეცემდი ეშმაკს შენი  
შენი გულისთვის, მაგრამ  
ამ ჩემს გზაწვრილზე  
ეშმაკიც არ ჩანს.

როცა ყველაფერი თითქოს ჩავლილია, როცა თითქოს ყვე-  
ლაფერი დამცხრალია, როცა ყველაფერი უბიწოდ მოჩანს სიმარ-  
ტოვის და ღმერთის ჩეროდან, როცა დავიწყების ლაფით ამოქო-  
ლილია მოვონების ყველა ჩერო, მაინც თავს გამოყოფს წარსული  
და სიზიფეს ლოდებოვით დამძიმებულ სიტყვას ათქმევინებს:

ვიცი, ჩემს ყოფას ჰქვია ცხოვრება,  
ვიცი, ამ კედლებს ოჯახი ჰქვია,  
იქ კი, საოცარ შენს საუფლოში  
სულ სხვანაირი ქარები ქრიან.

ეს ქარებია, თავს რომ არ ანებებს და გულს უკაწრავს, იცის,  
რომ

ქება ქარია, ალერსიც ქარი...  
ისე ჩაივლის, რომ ნაკვალევს  
არც კი დატოვებს,  
მაგრამ რა უეყო

ამ ტკივილის წითელ ყვავილებს?  
ამ ტკივილებით გაჯერებული ღამეები იცრიცებიან და რი-  
ჟრაჟისას ნატანჯი სული ცდილობს უმძრავ მდინარეს გაატანოს  
სიზმრად ნანახი თავდავიწყება, თუმცა  
დაუჭკვიანდი, აღარ ვებრძვი ქარებს,  
რა ხანია, სიზმრის აღარ მჯერა!

ვერ გავიგე, მაინც რად მგერის სევდას  
წარსულისკენ გადახრილი მზერა.

ვერ გავიგეო, აცხადებს და ის კი ავიწყდება, რომ სფინქსის  
გამოცანად ქცეული ეს კითხვა დღემდე პასუხგაუცემელი რჩება  
ყველასთვის...

ზომ გუშინ იყო, გუშინ იყო ის გაზაფხული  
და მაინც როგორ, ოი, როგორ მომნატრებია.

მაყვალა გონაშვილის ლირიკული პოეზია, მზით, ქარიშხ-  
ლებითა და ნიაღვრებით სავსე პოეზია მეტად საპატიო ადგ-  
ილს იკავებს თანამედროვე ქართულ სატრფიალო ლირიკაში  
თავისი ქალური კდემამოსილებით, არტახებში გამომწვევდელი  
ვნებებითა და წვიმის თქორებით, ადამიანური სიმართლით და  
გამოხატვის უბრალოებით...

მაყვალა გონაშვილმა კარგად იცის, რომ პოეტი თუ ხარ,

სული მაჩიტებით უნდა გკონდეს სავსე, საზრდოდ კი იის სურ-  
ნელი გყოფნიდეს, იმ ატმის ხეს უნდა ჰკავდე, აყვავებულ ატმის  
ხეს, რომელსაც მუდამ ამტვრევენ რტოებს, იმ ხეს, რომლის  
ჩრდილშიც ნეტარებით მოისვენებს დაღლილი მგზავრი და  
მერმე უკანმოუხედავად გაუყვება გზას, იცის, სად იწყება და  
სად მთავრდება მისი სავალი, ლექსებითა აქვს დაჭორფლილი  
სახე, სული კი მზითა და ლექსებით მოუჭედავს, ქართული სი-  
ტყვის ხოდაბუნებში უყვარს ზეტიალი.

ვარ სევდით სავსე, როგორც ღრუბელი  
და თვით არ ვიცი, როდის ვიწვიმებ,  
ფურცლავ ლექსიკონს, კვინძავ ძველ სიტყვებს,  
გადავიწყებულს, როგორც სიწმინდეს.

ამ სიწმინდებთან ზიარება, ქართულ სიტყვასთან გაუთავებელი  
ჭიდილი პოეტის არსებობის გამართლებას წარმოადგენს და  
როგორ შეიძლება არ დაუჯეროთ, როცა ასე საბრალობლად  
აცხადებს:

თუმც შვილივით ვზარდე სიტყვა,  
დედასავით დამიბერდა.

პოეტი და უნდა ვენდოთ, როცა თავისთვის ბუღბუღს კი არა,  
ქვეყნის ბედზე ჯაჭვით მიბმულ ძაღლს ადარებს, უერთგულეს  
არსებას დედამიწის გულზე, პოეტი და უნდა ვენდოთ, როცა  
ხმამაღლა აცხადებს, რაც ამ მიწაზე ეკალი ამოსულა, ყველა  
მათგანი ჩემს გულს ატყვიაო. არც იმაზე წუწუნებს, ჩემი წილი  
მზის სხივი, ჩემი წილი დიბა-ატლასი სხვას რატომ ერგოო,  
მაშინაც უნდა ვენდოთ, როდესაც გულიდან აღმოხდება დიდზე  
დიდი ჭეშმარიტება, ასჯერ მაინც უნდა წაიქცე, რომ მერე ერთხ-  
ელ მაინც ზეცად ამაღლდეო. ამისთვის იღვწის ეს მშვენიერი  
პოეტი და ხშირადაც აღწევს მიზანს.

მაყვალა გონაშვილის ლექსი უბატონო ქვეყნის – ქიზიყის  
მადლით და მირონითაა გაპოხიერებული, იქაური ხორმაკიანი  
მზის მხურვალეობა ამჩნევია მის პოეზიას, შირაქის ველის უს-  
ასრულობა ასაზრდოებს მის ნაზარევს და ისიც სიყვარულით  
პასუხობს მშობლიური კუთხის სანახებს, რომლის ერთ მადლიან  
ბელტსაც თავად წარმოადგენს. მიწის შვილია და მიწის თემა  
ისე ძალუმადა, ისე უშუალოდ და ძალდაუტანებლად შემოდის  
მის პოეზიაში, რომ ზოგჯერ ვერც კი გაიაზრებ მის სიდიადეს.

ჯერ ამიხილეს თვალები, მერე  
მიწის ხორკლიან მკერდზე გამიშვეს,  
და მიწა, როგორც დაღლილი კაცი,



*ბადათერ არაბული,  
ეკა ტალახაძე,  
მაყვალა გონაშვილი,*

*დვანან —  
ზაალ ბოტკოველი,  
ფანე ჯაფარიძე,  
თემურ ჩალაბაშვილი*

ჩემგან ითხოვდა შევლას და ალერსს.

ღიახაც რომ შევლა და ალერსი სჭირდება მიწას – ჩვენს მარჩენალს, რომელზეც მიჯაჭვულნი ვართ ჩვენი წარსულით, აწმყოთი და მომავლით და ვერაფრით ჩავუგდებთ ხელში საჯიჯგნად გადაძთივლთ. ჩვენი ქვეყნის ოკრო-ბოკრო გზები სულს გვივსებენ ნათელით, თუ მშობლიურ მიწამდე მივყავართ, აღთქმულ მიწამდე. ნახეთ, რა ნატოფი, რა უმშვენიერესი სტრიქონები უძღვნა პოეტმა მიწას, რომელიც თქვენი ნებართვით მთლიანად მომყავს:

ვით მშვენიერი პატარძლის კაბა,  
მზემ მოისროლა ჰრული მერდინი  
და იწვა მიწა, სურვილით საესე,  
მკვრივი კერტებით მიმოთუნთილი,  
ბალახის თმებში იბნევედა იებს,  
გადახსნილიყო ცის ლურჯი კარი,  
სხვაგვარი ცეცხლით იწვოდა მიწა, –  
მარადიული ვნება და ქალი.

ახლა ვერც ვიხსენებ, ასეთი ვნებით და გატაცებით ვინმეს ოდა მიედღვნას ჩვენი მარჩენალი მიწისათვის.

მაყვალა გონაშვილს სხვათა სიკეთისა და სათნოების დანახვა შეუძლია, მათი ნიჭიერების დანახვა. ეს კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ვისაც შური და ბოღმა არ აწუხებს სხვათა სიკეთეთა გამო. მართლაც, რა ბედნიერებაა, როცა შეგიძლია ასეთი ბრწყინვალე სტრიქონების დაწერა:

გარდაცვალება კაცთა ხვედრია,  
უკვდავთან სიკვილის არა აქვს ხელი.  
შენ შეურთდი ზეცაურ წიაღს  
და ისევ უფლის სახელით მღერი.

ეს ციტატა იმ ლექსიდანაა, საქართველოს მაფშალიას – ჰამლეტ გონაშვილს რომ ეძღვნება.

ბედნიერებაა, როცა ხედავ, როგორ იღებს მკვრივიდან გულს პოეტი და ცაზე მხედ ჰკიდებს.

ლომის ძეო, ლომის ძმაო,  
ლომო, ლომად ბერდები,  
მხრებში როდი იხრებიან  
შევვრცხლილი ქედები.

როგორ უხდება ეს სტრიქონები ახლა უკვე მარადიულ ნათელში მყოფ ჯანსუღ ჩარკვიანს – ჩვენს ჯანუკის.

მართლაც მშვენიერი ლექსი უძღვნა მეგობარ პოეტს ლალი თოთაძეს, რომელიც მზის ცრემლივით დაიარებოდა მშობლიურ მიწაზე, სიზმრის პერანგებს ქსოვდა, ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ ჯერ დაუკრეფავი მისი მტევნები როგორ ნატრობდნენ აგვისტოს ხვატსა და მზის ტორებს.

და შეიკვეცავ სევდისფერ დალალს,  
რადგანაც ქარებს ამაოდ სდიე,  
შემოვა შენში მალალი ღმერთი  
და სასთუმალთან დაგიწყობს იებს.

არანაკლები სიმძაფრის ლექსით აღბეჭდა თავისი სიყვარული ზერა რომანაძისადმი – სიყრმის მეგობრისადმი.

მანამდე უნდა იყო მორჩილი,  
ლექსით და ლოცვით ღამის მთვეელი,  
მანამდე უნდა გაექცე პატოვს,  
როგორც დაღლილი ნაზარეველი.

მანამდე, სანამ შურის ვჯარზე არ გაგაკრავენ, სანამ ტალახის გუნდას არ გესვრიან მოშურნენი და მუცლით მეხლაპრენი...

ჩემი მოკრძალებული აზრით, მაყვალა გონაშვილი ერთნაირი ძალმოსილებით იმორჩილებს როგორც სამოქალაქო, ისე სატრფიალო ლირიკის სადავეებს, გვახედებს ადამიანის სულის ჩაბნელებულ ხეხუევებში, დაგვაფიქრებს ადამიანური ყოფის უმტკივნეულეს პრობლემებზე და კიდევ სხვა უამრავ რამეზე, რასაც ჩვენი ცხოვრება ჰქვია, ცხოვრება სულ ცოტა სამი ათასი წლის ისტორიის მქონე ერისა, რომელმაც საკუთარი სისხ-

ლით დაწერა საკუთარივე მატთან და დღევანდლამდე მოატანა. ვფიქრობ, დღევანდელ გამოწვევებსაც გაუძლებს, გაუძლებს ცრუმესიათა პარპაშს ღვთისმშობლის წილხვდომილ მიწაზე, რათა საუკუნეების მიღმაც ამაყად იფრიალონ ქართულმა ბაიარაღებმა ფარნაუზისა და დავით აღმაშენებლის სულის სახად. ყოველივე ამაზე მოგვითხრობს მაყვალა გონაშვილი თავისი ლექსით, თავისი პოეზიით, ბქევის ხიდზე უხდება სიარული ამ დროს, რომ სათქმელის სიმძაფრე და გამოხატვის საშუალებები სინერგიის სადარ ჰარმონიაში იყოს ერთმანეთთან. მე რომ მკითხვით, ამ ბქევის ხიდს პოეტი მინიმალური დანაკარგებით გადის, უფრო მეტიც, ისე გადის, ერთი ბქევიც არ უვარდება თმიდან. რას ვგულისხმობ და იმას, რომ ქალბატონი მაყვალა პოეტია და სრულად აქვს გასიგრძეგანებული, რომ სათქმელი, რაოდენ მძაფრი და მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს, თუ პოეტურ საფანელში არ გაქვზა, თუ პოეტურ ქურაში გულის სისხლით არ გამოიწროთ, შედეგი საგალალო და გულისსომოკვლევი იქნება. პოეტი თუ ხარ, იმის გააზრებაც უნდა შეგეძლოს, რომ „ბოლოს სიკვდილიც მოკვდება სიცოცხლის გარდაცვალებით“, რომ

და როგორც ზანგ ქალს საყურე ერთი  
ფერად ყვითელი და სასწაული,  
რტოზე ეკიდა ფოთოლი მჭკნარი,  
ვით სიმარტოვის დღესასწაული.

სულისშემძვრელი შედარებაა, ბატონებო. მჭკნარი ფოთოლი სიმარტოვის დღესასწაულს აგონებს პოეტს, იმ სიმარტოვეს, რომელიც ყველა ჭეშმარიტი შემოქმედის მარადიული თანამდევია და რომლის გარეშე ვერ შეიქმნებოდა ის შედეგები, რომლებიც ჩვენს არსებობას შევბას ჰკვრის და სიცოცხლის წყურვილს უხანგრძლივებს...

პოეტია და იმის დანახვაც შეუძლია, როგორ ჟონავს გუმბათებიდან მზის მადლი.

აი, კიდევ ერთი მინი-შედეგრი:  
ცა კაბასავით დამივიწროვდა,  
ვდგეკვარ მუხლამდე ღრუბლის გუბეში,  
წვიმის კიბეთი ჩამოდის ციდან  
სიგრილვე – მიწის ჩუმი ნუგეში.

ამ ჟრუანტელისსომოგვრელი სტრიქონების მერე უკვე აღარ გვიკვირს, როცა პოეტის ბაგე გადათიბული მინდვრის სურნელს აფრქვევს, როდესაც სარკეს ისე ჩაქვერის, როგორც გვალივისგან დაშრალ მდინარეს, როცა იმის დანახვა შეუძლია ცეცხლისფერ ვარდებს რა უსწრაფესად მოიყრის ტანზე შემგლისფერებული ზეცა, ყაყაჩოსავით როგორ ტყდება შუქი.

აი, ასეთი პოეტია მაყვალა გონაშვილი, რომელსაც შეუძლია თქვას, რომ ნატერფალზე ჩემი ცრემლები ამოდიოდნენ მზისფერ იებადო და დაგვაჯეროს ამაში.

რაც ჩემთვის ყველაზე მთავარია, ის გახლავთ, რომ პოეტი საოცარი სინარნარითა და სიჩაუქით იმორჩილებს ქართულ სიტყვას და მას არანაირ პოეტურ აქსესუარებზე არ ცვლის, არ აკინებს. ღიახაც, რომ თავანკარა ქართულის, უმშვენიერესი პოეზიის პატრონია მაყვალა გონაშვილი და როცა იგი დაეჭვებით გვეკითხება:

როგორ გგონიათ, ვიპოვნი ჩემს თავს?  
მეწევა ბედი? როგორ გგონიათ?!

პატიოსნად უნდა ვუპასუხო:  
ქალბატონო მაყვალა!  
ბედის შქევენისა რა მოგახსენო, როდის იყო ბედი ნამდვილ,

ჩაკირულ შემოქმედებს ქეოდა, აი, რაც შეეხება საკუთარი თავის პოვნას, დაუფიქრებლად გეტყვი – შენი თავი დიდხანია, რაც ნაპოვნი გაქვს, შენი ადგილი, შენი ნიშა ქართულ მწერლობაში, დიდი ხანია, ნაპოვნი გაქვს, უფრო მეტიც, თანამედროვე ქართული პოეზია წარმოუდგენელია შენი მზისფერი, მზისდარი შემოქმედების გარეშე.

ღმერთმა დაგლოცოს!

## ქთევან დოლიძე

### ლექსების ნაწვეთარაზე

თმას შევიღებავ ინითა,  
გავხდები შენი ხვარამზე,  
ნაშენი ლექსის ფილითა  
ხან ცას ვიქნები, ხან ასე

თაბერუს დავახვევ თითისტარს  
გამოღწეული ჯარაზე,  
მერე შეგ ხვდები კვირის თავს  
ლექსების ნაწვეთარაზე.

### ლირიკის რიკულენი

აყვევი ლირიკის რიკულებს,  
რიალებს ფიქრები, რიალებს...  
გულის კუნჭულიდან გიყურებ  
და მთელი სამყარო ტრიალებს.

თუ გინდა ქარს ჰკითხე, ნიავეს,  
თუ გინდა ფანტელებს იანვრის,  
ლექსებიც რომ დაშიფრთიანე...  
შენამდე ქარბუქში ვიარე.

შენამდე ვებრძოდი ყამირებს  
და გზაზე მიპოვე ტიალი...  
და თმებში ჩაყინულ ყვავილებს  
სულის მოუბრუნე ფრიალი.

შენი სიყვარული ვიხურე,  
ნიმფებმაც ვარდისფრად მიმფერეს,  
აყვევი ლირიკის რიკულებს  
და გულში ჩაკიდულ კიბეებს.

### პაუზა

პარპალებს პატრუქი, ანთია,  
პაუზა, ცოტა ხნით პაუზა...  
თვითონვე ვიკერავ ნატყვიარს,  
ვისვენებ და მღერის კარუზო.

არ მინდა, რომ სიკვდილს მადიანს  
ჩემივე სხეულით გავუგოსო  
ნავი და ვიცურო ქარლია...  
პაუზა, ცოტა ხნით პაუზა...

თვითონვე ვიკერავ ნატყვიარს...  
ვისვენებ და მღერის კარუზო.



### ნიკალას

ჩემო ნიკალა, რახანია არ შეგ ხვედრიათ,  
გახსოვს, შენს ნახატს ვეამბორე მაშინ სიღნაღში?!  
შენ გაგელიმა... გამაფრთხილეს როცა სასტიკად, –  
არ შეეხო... და თვალებში ცრემლი მოხარშეს.

კინაღამ ნაგავს მიახვეტა ეგ „კრუხ–წიწილა“  
მეწოვემ და ბედისწერამ მოხატა ფუნჯით...  
მე ვენაცვალე შენს ცხოვრებას, მერე მხატვრობას,  
შავი მუშამბაც აღარ დაგრჩა, – ფერით გარუჯე.

გრაფო ნიკალა, დრო დადგო ამტვევანების,  
აღარასოდეს შეაწუხებს ქვეყნის ვალები,  
მილიონებად შეაფასეს შენი მონასმი,  
ღვინის ქაფშია ხელოვნების შადრევანები.

დღეს ჩვენს ქვეყანას ხომ აკლია ზღანევიჩებიც,  
რატომ მიღიმი, უწყინარო, ნაღლო მხატვარო,  
ჩემო ძმობილო, კარგო კაცო, გრაფო ნიკალა,  
ლამის ეს სული სამრეკლოს მტრედს გამოვატანო...

ჩემს სიყვარულსაც უაქიმე, სხვისა მკურნალო,  
მიშველე ნიკაალ... ვინაცრები ლამის ბუხარში...  
შენ გაგელიმა... გამაფრთხილეს როცა სასტიკად, –  
არ შეეხო... და თვალებში ცრემლი მოხარშეს...

### იმედის სამოსახლო

უკვე რამდენი წელია  
შენს გულში დავიბუდეო,  
შენს გადაქანცულ სიზმრებსაც  
დამეებს თეთრად ვუთევო.

ჩემო წყალო და ვენახო,  
ვერჩასალეწო ზღუდეო,  
იმედის სამოსახლო ხარ,  
ამადაც მოგვეუდეო.

**ასკილები**

*მათი გვირგვინის ფურცლები,  
ფესვი და ნაყოფი მრავალ  
დააფადებას კურნავს...*

უნდა სიყვარული შემაშველოთ...  
მე ვინ შემეყვარებს აღდრებიანს...  
იმათ არ მოუხმობ ვისაც ახლა  
ნარგიზი, პეონი ან ვარდები აქვს.

წმიდა ბერი გვიცავს გაბრიელი,  
ჩემო სულიერად მარტვილებო...  
აყვავდით ჩემო ასკილებო  
და ამომიქარგეთ სადილეგო...

**ფრიალო კლდეზედ**

ჩემო სხივო და სინათლე,  
კლდით დაგებულო მახეო...  
ბევრი გეძებე საკარგემოდ,  
ფრიალო კლდეზედ გნახეო.

ჩემო სიცოცხლის მზეო და  
ჩემო სიკვდილის ღვარ-ხეო,  
ნეტავ, თივადამც გამახმო,  
ყვავილად შეგენახეო.

**ორქიდეას მარხილით**

მოვიარე სამყარო  
ორქიდეას მარხილით,  
ველტყევი და ვერთხილი,  
გული შემოვერხვილი...

გაჰყვა წლების დინებას  
გზები შემობერტყილი,  
სული ავიყვავილე  
აარონის კვერთხივით...

თვალი ვერ ამეხილა,  
დავრჩი თვალდაფეხვილი...  
მაგრამ შენ რომ მეხილე,  
წუთისოფლის ტეხილი

გავიარე ფორხილით,  
ორ კლდესა და ორ კიდეს  
დავეკიდე თითებით...  
მერე? – ხელი მომკიდე.

**გაზაფხულების თექა**

ცხოვრება არის მარტივი,  
სიყვარული კი რთული, –  
ეს ფიქრებია სატივე  
სანაპიროზე გულის.

მოუჭერი, ტივი შევკარი  
და გამოვცურე შენკენ,  
ამოვიგლიჯე ეკალი,  
გწიწკნი ლექსების ნეკერს.

ზეცა დაგვცქერის ცხრაკარა,  
ტკივილმაც დაილექა...  
და მომახურე ნაქარალს  
გაზაფხულების თექა.

**სთხოვე მეზორნეს**

სოფელში, ტყესთან, განაპირას,  
ცა რომ ბარდნიდა,  
ვჩუქნიდით ორნი  
სიყვარულებს გულის მადნიდან.

გვენთო ბუხარი  
და ვლოკავდით ერთად ქვამარილს,  
გამთუნიისას გვალვიძებდა  
კატოს მამალი.

შუალამისას მგლის ყმუილი,  
ძაღლის წრიალი,  
მერე სიჩუმე,  
სიჩუმეში თოვლის შრიალი.

და ვარსკვლავები...  
ბუხრიდან რომ იყურებოდნენ...  
მოატრიალოს ეს ბორანი –  
სთხოვე მეზორნეს!

**სიჩუმის ვიტრაჟი**

არსებობს სიჩუმის  
წუთების ვიტრაჟი,  
როდესაც სიჩუმეს  
მინაზე დაქარგავ.

პირველი მზის სხივი  
გაატანს რკინაშიც,  
მე კი მაქვს ვიტრაჟი  
მიტად და არაკად.

რადგანაც შენ მყავხარ,  
მფარავი კარავი,  
სულს მირიჟრაჟებ და  
მაშორებ ბალაგანს.

შენა ხარ პოეტის  
დარდების მკვალავი,  
რომელიც არავის,  
არავის არა ჰგავს.

**სიჩუმე ხმაყრომს**

სიჩუმე ხმაურებს ანგრევს...  
იქ არა... აქ უფრო ცივა...  
მირეკავს ცელოფენის პარკებს...  
ჩვენ კი ფოთლები გვხვდა წილად.

შემარქვი, რაც გინდა უტყვი...  
ჩემით გაგიტუნებ დილას...  
მითიდან მოვიხმე შურთხი,  
რომ ჩვენთვის ეზიდა თივა.

ზამთარი მოგვადგა ყუნწზე,  
მინდვრებს კი ფიფქები რთვილად,  
შენს სუნთქვას თვალებით ვუსმენ  
და წუთისოფელი მტკიავა.

**ქეხვეფრა**

შევიბნევი სიცოცხლის ამქარად  
ასკილებს – უწითლეს მაქმანებს,  
ღობესთან სიცივე ჩამდგარა  
და უკვე ზამთარი ამოქნარებს.

მალე ჩამოგვირწევს აკვანად  
ბუნების უთეთრეს აკვარულს,  
თოვლში შემეყრები ნაქარალს...  
და გზა აერევათ მანქანებს...

**ღვთის საჩუქარი**

ვინ გაგაჩინა ჩემდა იმედად,  
წუთისოფელმა ბევრჯერ მითოფა...

მზიდან მოფრენილ უთბილეს ქარებს,  
გამოატანე სულის მშვიდობა.

რა ვიმსახურე მაინც ასეთი,  
ჩემი კალამი ცეცხლში იწრობა,  
შენა ხარ ჩემი სიცოცხლის მგზავრი,  
ჭირშიც და ღვინშიც რომ შეიცნობა.


შენა ხარ ჩემი სულის ტადარი  
და ტყუპისცალი ჩემი ღირსება,  
ჩვენ ბედისწერამ არ გაგვიმეტა,  
არ დამაწერა შუბლზე სხვისობა.

როგორ გავბედი უშენდღებოდ,  
რომელიც გულში ისრად ისობა...  
შენა ხარ ჩემთვის ღვთის საჩუქარი  
და სიყვარულის მარადისობა.

**ცრემლისოფელი**

შენ მე დამხატავ, დიდი ხნის შემდეგ,  
როცა სიმშვიდის გრივალები წამოგეწევა...  
როდესაც ხსოვნით დაბურტყილ ბაღებს  
სუნთქვა – კენწერო, ფესვი – მიწა გამოეწევა.

შენ მე დამხატავ, გაცოცხლდება სულის შრეებში  
პატარა ჩიტი, ოდესღაც რომ იყო ფერადი...  
ფოლადი გული რომ დაგიდნო, ქარი წეწავდა...  
და ერთი ცრემლისოფელი რომ გაგიფერადა.



**თამაზ წიხლაური**

**მოლოდინი**

ღვიძილში ვარ თუ ძილშია,  
დღე იყოს, ღამე ბნელობდეს.  
გული შენს მოლოდინშია,  
მოდი, როდემდე გელოდდეს.  
ჩემს გზას მზის შუქი აღვრია,  
ეგება სხვა გზას არ ჰგავდეს,  
მოქალაქერსო ნადვლიანს,  
დარდს შორად დამიკარგავდე.  
დრო შენს ნაკვალევს მალავდა,  
დრო — ჩემი გრძნობის მეკობრე,  
შენ რომ სიბნელით გზარავდა  
ის ღამეც დავიმეგობრე.  
მოდი, რომ დილის რიჟრაჟი  
მტრედისფერ ამიკიაფო,  
დავიცხრო სული გიჟმაჟი,  
ჩემი წუხილიც გაიამბო.

ღამეს გაფიცებ გათეულს,  
 ცისკრის ანარეკლს წყაროზე,  
 შენ მგოსანს ცნობა წართმეულს  
 ისევ შენ მეაგვაროზე.  
 ზენამ მოგაგოს სანაცვლო,  
 ტრფიალის დიდმა დედამა.  
 მოდი, დამწვას და დამნაცროს  
 მაგ თვალთა შემოხედვამა!

\* \* \*

მაგ თვალებს შვის დარო რარიგად აკვესებ,  
 ვერ მოურჩი ფიქრსა და შენს გზაზე ხეტიალს,  
 ვით გითხრა რა მტკივა, რა დარდი მაკვესებს,  
 ჩემს სათქმელს ისევ ეს ლექსები გეტყვიან.  
 ნიაგსაც ვაფრთხილებ, მაგრამ ვერ ვჩერებ,  
 ამ დილით ეს გული ეჭვებით ალესა,  
 ნაზ მხრებზე ჩამოღვრილ მაგ თმათა ჩანჩქერებს  
 ფრთები რომ შეახო და მოეაღერსა.  
 თავნება შვის სხივი მახელებს მეტადრე,  
 ლიცლიცით მოგყვა და გზად აღარ მოგცილდა,  
 ჩემი საყვედური მნათობსაც შეგკადრე,  
 ძოწისფერ ბაგეზე ურცხვად რომ გკოცნიდა.  
 ეს გული ეჭვების გრიგალმა არია,  
 ვერც ლექსით ვერ გითხარ დარდი და ვარამი,  
 ოჰ, შენთან სიცოცხლე წამების დარია,  
 უშენოდ სამარის სიბნელე-წიკვარამი.

### შენამდე...

შენამდე არა მიშავდა,  
 არც რა მიჭირდა შენამდე,  
 გნახე, მზეც გადამიშავდა,  
 ტრფობის ქარ-ცეცხლში შემაგდე.  
 შენამდე ღზინი მქნადა,  
 შენამდე რწმენით ვიცადე,  
 დღეს გულიც გადამქნა და  
 ჩემს მტერს რაც მე განვიცადე.  
 შენამდე ლექსით ვქუხდი და  
 ლექსი მყვა ღზენის სათავე,  
 გულს ჯაურად დამიდუღდი და  
 არც მომკალ, არც გამათავე.  
 შენამდე არა მიშავდა,  
 არც რა მიჭირდა შენამდე,  
 გნახე, მზეც გადამიშავდა,  
 ტრფობის ქარ-ცეცხლში შემაგდე,  
 შენამდე...

### ნეტა

ნეტა გულისთქმას არ აველოდი  
 გრძნობას დამათრობელს ბადაგადა,  
 ნეტა სიახლოვეს არ მყოლოდი,  
 შენს გარდა მე სხვა ვინ დამდაგადა.  
 ნეტა არც სიზმარში ჩამყოლოდი,  
 აღარც კოშმარები გამთანგადა,  
 ნეტა იმ ქარიშხლებს გაჰყოლოდი,  
 რომლებიც ცხრა მთას იქით დაგკარგადა.

\* \* \*

ხან ღობე-ყორეს ვედები...  
 ხან ვლოთობ თავაწყვეტილი...  
 ნეტა სად დამებედები  
 სიცოცხლის ბოლო წერტილი.  
 თავს ვესხმი ღმერთის წილსაც  
 ოცნების თეთრი რაშებით,  
 სიკვდილ-სიცოცხლეს დიახაც  
 ლექსებით ვეთამაშები.

### ქიზიყისადმი

აი, ქიზიყი, ბასტიონი სამშობლოსა,  
 გულით უდრეკი, მაგრამ მუდამ მრავალტანჯული.  
 ზედაშის კულტით საესავი ყველა დროისა,  
 ხალხიც უწმინდეს სალოცავზე ჰყავს მიჯაჭვული.  
 ელიის მთიდან ხარბი მზერით რომ ვიხედები,  
 ეს მთაც ამ კუთხის უძველესი რწმენის ხატია,  
 ერთმანეთს მიჯრით ენაცვლება ტურფა ხედები,  
 თითქოს ნიკალას ჯადოსნურ ფუნჯს მოუხატია.  
 მოსჩანს მიდამო ღვთის სამოთხედ სათვალთვალეები,  
 კავკასიონზე მოელვარე თოვლის საბანი,  
 აქ დაეხუჭა წმინდა ნინოს ნუკრის თვალები,  
 ანგელოზთაგან ვაზის ცრემლით ჩამონაბანი.  
 გაქვავებულან ხორნაბუჯზე ჟამთა ჰუნენი,  
 კამბეჩოვანზე გადავლილა წლების მარულა,  
 ო, რა გმირობებს ინახავენ საუკუნენი,  
 რაც ისტორიის მრუშე მტვერით გადაფარულა.  
 მიწად ქცეულან ვალმოხდილი ქიზიყელები,  
 უხორცოსავით უშიშები ბრძოლის ველზედა,  
 მათ გუგუნს ექოს მისძახოდნენ, მთები, ველები,  
 „არ გაიხაროს, რომ მღეროდნენ მტერმა ჩვენზედა.“  
 სულ იღორძინე, იშვეგრძელე, იხარე ჭერო,  
 მომხვდურის თვალწინ აჯაგრულო ლომის ფაფარო,  
 ქიზიყო, ქვეყნის კბილით მჭერო, სისხლით ნაჯერო,  
 სამოთხის კარო, რკინის ფარო მზით დასაფარო.





# თმარ ჯაფარიძე

## გთხოვ არაფერი არ თქვა

გთხოვ, არაფერი არ თქვა,  
 თუმც ვიცი, მგონი, გეთქმის,  
 არც ის ამბავი გათქვა,  
 რომ ვიღიმოდი შენთვის.  
 გთხოვ, არაფერი მკითხო,  
 მე მოგიყვები ჩემით,  
 რომ, სადაც უნდა ვიყო...  
 ადამ და ევას ჩვევით –  
 გულს გაპოვნინებს ფეთქვა,  
 სულის გაიყოფ დუდილს...  
 ნეტავ, რა უნდა გეთქვა,  
 სათქმელად მაინც თუ ღირს?!

\* \* \*

ყველაფერია, როგორც ადრე...  
 ან, უფრო კარგად.  
 არვინ იტანჯავს ახლა თვალებს  
 შურით და ფარსით,  
 სამოთხესავით აყვავილდა  
 ქალაქი, მაგრამ...  
 უშენოდ ყოფნას სამოთხეშიც  
 არა აქვს ფასი!

## სულში კარია ღია

ერთხელ დავტოვე სულში  
 კარები ოდნავ ღრიჭოდ,  
 დრო იხელთე და, წუთში,  
 შემომისახლდი, ბიჭო.  
 ნამძვს რომ ელოდი, ტანადს –  
 დაგხვდა გართხმული ღვია,  
 თოვს და ქარია...თანაც –  
 სულში კარია ღია.  
 გესმის...რა ღლიდა დუმილს?!  
 ხედავ...იმას, რაც არ ჩანს?!  
 უკვე განიცდი, სულის  
 კარია ღია რომ დამრჩა.  
 შენც მართალი ხარ ცამდის,  
 თუკი თვლი დროის კარგვად  
 აქ ყოფნას...ჰოდა, წადი...  
 კარი გახურე კარგად.

## შენ მუშა ხარ

სისხამ დილით უცნაურად გიხარია,  
 რომ მთაწმინდა ღრმად სუნთქავს და ნისლს ახრჩოლებს,  
 რომ მალაროს დაქსენი რახანია,  
 რომ აქ ეტრფი სიმაღლეს და ხარაჩოებს,  
 შენ მუშა ხარ –  
 მეოცნებე და გულღია,  
 შენ მუშა ხარ –  
 და არ გავხარ სხვა მაჩოებს.



ჯერ ვერ ხვდები, რა ახარებთ ხეზე ყორნებს,  
 სიზმარიც კი არ გინახავს, ცუდი, წუხელ,  
 ჯერ არ იცი – დღეს რომ მიწა ჩაგიყოლებს,  
 ჯერ არ იცი – დღეს რომ დედას დაამწუხრებ,  
 შენ მუშა ხარ...  
 მიწა გითვლის ნაბიჯს ყოველს,  
 შენ მუშა ხარ –  
 არ ელოდო სასწაულებს!  
 ვწუხვარ – ეს დღე შეგახვედრებს, სწორედ, იმ წამს,  
 სიზმარშიც რომ არ გინახავს მსგავსი წუთი,  
 ვწუხვარ – რომ დღეს გიღალატებს, ფეხქვეშ, მიწა,  
 ვწუხვარ – მაგრამ, მე რას ვუხამ ნამდვილ წუხილს,  
 მუშა ხარ და...  
 სამკაპ ფიწლით ხვდები დილას,  
 მუშა ხარ და...  
 ფიწლიანი გელის მწუხრიც!  
 ეს მძიმე დღე, უკვე ფიქრობ, როდის გავა,  
 და ფიქრები შენს ოცნებებს გარს უვლიან,  
 ჯერ არ იცი, რომ ვერ დგახარ ფეხზე მყარად,  
 ჯერ არ იცი, რომ წამშობი ჩართულია,  
 შენ მუშა ხარ –  
 მოგიწელებს ეს ქვეყანა,  
 შენ მუშა ხარ –  
 ეს ხომ იცი, რა რთულია?!  
 თავი მოგწონს, ახალგაზრდა დევემირს გავხარ,  
 ვითომ იყო მართლა ტყვეთა გადამრჩენი,  
 ჯერ არ იცი, თავს რომ ცოცხლად დაიმარხავ,  
 ჯერ არ იცი, ზღაპრის ბოლო, დანარჩენი.  
 შენ მუშა ხარ –  
 ბედი გაზის შუბლზე  
 დამლად,  
 შენ მუშა ხარ –

და ეს არის განაჩენი!  
 მარტის ბოლო კუდს მოიქნევს ახლა, შენთვის,  
 და გამზირის ყვავ-ყორნები ქედს იხრიან –  
 რადგან დარჩა მზიანი დღე, მხოლოდ ერთი...  
 ხვალე მოთოვს... ხვალ პირველი აპრილია,  
 მუშა ხარ და...  
 შენს ოფლს ახლა სისხლი ერთვის,  
 მუშა ხარ და...  
 ეს არც ისე ადვილია!  
 აქ უშენოდ აყვავდება, მალე, ნუში,  
 სოფელში კი...ო, სოფელი... ტყემლებს მიაქვს,  
 უკვე იცი ზღაპრის ბოლო... ის, რაც გუშინ  
 არ იცოდი და ქვა-ღორღის ითმენ ხრიალს.  
 შენ მუშა ხარ –  
 დამარხული მიწის გულში!  
 შენ მუშა ხარ –  
 დამარხული თვალვებია!

**მტრედი რაფაზე**

ალბათ, ნამდვილად ჯობია ამდენ  
 დავიდარაბას და, თუნდ, ამ ფრაზებს,  
 პურის ნატეხი, ისევე რომ დავდე  
 მტრედისთვის, დილით, ფანჯრის რაფაზე.  
 დიდხანს ვარკვეი – რამდენი? ვინ? ვის?  
 და დღეც გავიდა, რუტინის მსგავსი,  
 მაგრამ, რაც მტრედზე მოყვევი, იმის,  
 რა გააკეთე ნეტავი, ფასი?  
 ...  
 სხვა რა მაქვს შენთვის – ხმელა პურიდა,  
 ღმერთმა შეგარგოს, მაღლობაც არ თქვა,  
 ბოლოსდაბოლოს შინაური ხარ,  
 ამიხმაურე თუნუქის რაფა.  
 მგონი, არ გვიჭირს თავის გატანა –  
 მე შენ გიშველი, შენ – მე განმკურნე,  
 ხვალაც მოფრინდი, ჩემო პატარავ,  
 და ფანჯარაზე მომიკაკუნე.

**ძალა არაა თავზევით**

დარჩენილ სიცოცხლეს ვჯერდებით  
 (სხვა ძალა არაა თავზევით),  
 ერთიდა შემომრჩი ჩემ გვერდით,  
 მეც არსად მივლია სხვა გზებით...  
 და გულის სიღრმეში ვბრაზდები,  
 ვბერდებით, რომ ჰაი-ჰარადა,  
 არადა, გაუთლეთ რა გზები,  
 რა გზებით ვიარეთ, არადა.  
 ვწუხვარ და... გზადაგზა ვჩერდები –  
 სუყველა დაუტოვე წარსულთან,  
 მხოლოდ შენ მეგონე ჩემ გვერდით,  
 მაგრამ შენც სხვა მხარეს წასულხარ...  
 და სუსტად მინათებთ შენ და მზე,  
 ბილიკებს შემორჩათ ბინდიდა,  
 მე მარტო მივდივარ ჩემ გზაზე,  
 შენც მარტო, შენი გზით, მიდიხარ.

**დამაგვიანდა**

უცებ გამექცა დრო და მომენტი,  
 შევნიშნე ყველა შანსი გვიან და...  
 მერე ათასი, ან უფრო მეტი,  
 ნაბიჯით მაინც დამაგვიანდა  
 შენამდე მოსვლა!  
 ვდარდობ ხანდახან,  
 დაფიქრებული კარგზე და ცუდზე,  
 რომ ვერ ვიარე მე შენს მხარდამხარ...  
 და მხრების ტკივილს რომ ვეღარ ვუძლებ!  
 ამ აფეთქებულ ტყემლის ყვავილებს  
 ვიცი, ქარები გადაგვიან და  
 გაიყოლებენ იმედს ზვალინდელს,  
 ვერ დავეწვი – დამაგვიანდა!  
 შიშის მხეცები და საცეცები  
 დამდევენ და მე დავალ ქვიან და  
 ციცაბო გზებით, ხელის ცეცებით...  
 ვერ გავექცი – დამაგვიანდა!  
 მუნჯი პოეტი – ყრუ ნაპირებით...  
 ვიქეცი დრამად და გახელებად,  
 გედის სიმღერას თუ ვაპირებდი,  
 ნეტავ საერთოდ აღარ მემღერა!  
 წილხვედრი ბედით – კენტით და დინჯით,  
 ახლაც აგურის დამა მქვია და...  
 შენამდე მოსვლა ერთი ნაბიჯით,  
 ან უფრო მეტით, დამაგვიანდა.

**დრო მისას იტყვის**

თუკი გაქვს რამე სათქმელი დროზე,  
 სულ არ გჭირდება კოდი და მორზე,  
 გინდა იმღერე, გინდა – ლექსად თქვი,  
 გინდა გაავერლიბრ-ვერბლან – (და)პროზე.  
 თუ ვინმე ისევე წვალობს და მწერლობს,  
 უსწორებს კალამს გაღუნულ წვეროს,  
 გაჩუმი, რადგან დრო იტყვის თვითონ,  
 ვინ არ წეროს და ვინ უნდა წეროს.  
 იმღეროს ყველამ თავის ნებაზე,  
 (დღეს ვინდა დაობს გემოვნებაზე?!)  
 ყველამ მისი თქვას... დრო მისას იტყვის,  
 შენც შენი თქვი და შენც იჯამბაზე.  
 თუ დაგიმტკიცეს სითუთრე შავზე  
 და საღი აზრი გაგიკრეს ჯვარზე,  
 დრო იტყვის მართალს!.. რასაც ამბობდი  
 შენ ისევე ის თქვი... და გააჯაზე.  
 ...და თუ წააგე მაინც ცხრა ომი,  
 ხან კი ცხარობდი, ხან – არც ცხარობდი,  
 დრო ბოლოს მაინც იტყვის თავისას,  
 (ასი წლის მერე), ღმერთის წყალობით.

**ვიდრე კარგად ხართ**

არ მენადვლება ამ ლაქვარდების ფერისცვლა,  
 არც ის – რას ვიზამ?! რა გააკეთე?! რას ვშვრები?!  
 ვიდრე საღამოს სახლში ბრუნდება ჩემი ძმა,  
 ვიდრე ოთახებს შტურმით იღებენ ბავშვები!

არ მედარდება იმქვეყნიური ქარები,  
 ვერამოხსნილი ინტეგრალ-განტოლებანი,  
 დედამიწაზე, ღიმილიანი თვალებით,  
 დააბიჯებენ ვიდრე ტატო და ლევანი!  
 არ მენადვლება დეკემბრის სუსხი, უხეში,  
 ან ჩვენს ბაღებში ზამბახები რომ ჭკნებიან,  
 ვიდრე წვიმებში ცეცხლი ანთია ბუნარში,  
 შვილიშვილებზე ვიდრე მზრუნველობს ბებია!  
 არ მეძნელება მე პაემანი სიკვდილთან,  
 არ მზარავს მისი იერი ფაფარაშლილი,  
 ვიდრე სუყველა მხიარულია ირგვლივ და,  
 ვიდრე, კარგად მყავს ბიძაშვილ-მამიდაშვილი!  
 არ მეფიქრება, რომ ქარიშხლები გვივლიდა,  
 არ მეფიქრება დამარცხება და ის ბრძოლა,

ვიდრე ხანდახან კვლავ დედულეთში ვივლი და...  
 სუფრას გამიშლის, ვიდრე, ბიძა და ბიცოლა!  
 არ მენანება დგომა იმ ბოლო სადგურთან,  
 სადაც მკვირცხლდება დღეები – ადრე ზანტები,  
 ვიდრე ჩემს ახლოს დაეძებენ და საკუთარ  
 თავს პოულობენ, ლექსებში, ადრესატები!  
 ო, ღმერთო, მცირე სურვილებისთვის დამინდე,  
 მაგრამ, აზრი აქვს ვინ მიმშობლა და რას ვმშობლობ,  
 ვიდრე შენ მყავხარ... ვიდრე მე გყავარ... და ვიდრე...  
 ქართველს ჰყავს მისი ხელ-ფეხ მოჭრილი სამშობლო!  
 არ მენანება მოკლე დღეების ფერისცვლა,  
 არ მენანება, თუკი ამაოდ დავშვრები,  
 ვიდრე სადამოს სახლში ბრუნდება ჩემი ძმა,  
 ვიდრე სადამოს სახლში მხვდებიან ბავშვები!



## ჰანო ჩხიკვაძე

### ქიზიყური ზელოკანტო

მოვარის შუქით განათებულ ტურბაზის ეზოში იდგა, ყელ-  
 მოღერებული.


მართალია ბუერის სიმსუბუქითა და სილამაზით ვერ დაიკვებ-  
 ნიდა, მაგრამ სამაგეოროდ იმის აღნიშვნა მაინც აუცილებელია,  
 რომ ხმის ნებისმიერ რეგისტრს თავისუფლად ფლობდა.

მოაწყდნენ ფანჯრებს ჩვენი მაშინდელი, თვალუწვდენელი  
 სამშობლოდან ტურისტული საგზურით ჩამობრძანებული  
 სტუმრები.

კონკრეტულად ვის მიუძღვნა შთამბეჭდავი შუაღამის „რო-  
 მანსი“, ვერ გავიგეთ, ეგ კია, ვიღაცებმა აიფანზე ტაში დასცხეს  
 და ასე, აპლოდისმენტების თანხლებით ეზოდან გაბაკუნდა  
 მოხეტიალე ტრუბადური, თავჩადუნული ჩოკინა.

შეიძლება ამ შემთხვევის გამოძახილი იყო ჩემი მოგვიანებით  
 დაწერილი ლექსი, „დილა სიღნაღიდან“:

„ჯერ ალაზნის ზამბარა ველზე არ გაწელილა,  
 გალაჯანთან მიბმული ბალახს კოცნის ჭედილა.  
 სიღნაღიდან „ბროწლებში“ გალაჯანს რომ გავხედავ —  
 ბიჭი მოაჩაქჩაქებს თავჩადუნულ სახედარს.  
 მოდიან და მოჰყვებათ აყვებულ ძაღლივით,  
 ენაგადმოგდებული ბროწეულის ყვავილი.  
 ბრძნული თავის კანტურით, მომთმენი და კეთილი,  
 თვინიერი ნაბიჯით მოდის ყურაცქვეტილი.  
 აღარავის უყურებს, აღარავინ ვახსოვართ,  
 თითქოს სიღნაღისაკენ მოაბრძანებს მაცხოვარს...  
 თითქოს ბებერ კედლებთან, როგორც ღვთიურ მომავალს,  
 გადმოაყრის ბზის ტოტებს მხიარული ოსანა.  
 სად არ მომჩვენებია მაგ თვალების ციმციმი,  
 დახწევილო ბულულო სანჩო-პანასას სიმძიმით.  
 დამიიწმებს ნიკალა, ის მონე და ეს მანე —  
 სულ სხვაგვარად ამშვენებ ქიზიყს — ამ ჩვენს ესპანეთს.  
 ვიდრე ველზე ალაზნის გაჭიმავენ მზის ტილოს,  
 ფრთხილად, ქვებზე ლამაზი ფეხები არ იტკინო.  
 გამაგონე შენი ხმა, რაც არ უნდა მოჭორონ —  
 ნადვლიანო, ერთგულო, იბაკუნე ჩოჩორო!“  
 კახეთში „ცოცხალი წიგნების“ ეგიდით მიმავალს ასეთი  
 ამბავიც მახსენდება:



რამდენიმე ახლობელი რთვლობაზე მიგვიპატიჟა მეგობარ-  
 მა პოეტმა ქალმა, თან ყურძნის კრეფაში შეგვეშველეთ, თან  
 გამოგატანთ კიდეც და, რაც მთავარია, ჩემს სახელგანთქმულ  
 მამიკო წყალობასაც გაგაცნობთო.

წყალობაზე ბუერი რამ მსმენოდა, მისი დაყენებული საო-  
 ცარი ღვინოც არაერთხელ მეგემნა, მაგრამ თავად „ავტორს“  
 ახლოს არ ვიცნობდი.

ჩავედით – გავცდით საგარეჯოს და ხელმარცხნივ ჩარიგებულ  
 ვენახებში, ერთ-ერთი ჩვენი მასპინძლისა იყო.

რალა დაგვხვდა მოსაკრეფი — სამიოდე მწკრივი დაეტოვათ,  
 ალბათ, სტუმრებს რომ გვეხალისა.

ხელმარცხნივ, ღობესთან, დიდი მსხლის ძირში  
 სახელდახელოდ შეკრულ, გაურანდავი ფიცრის მაგიდას, ზედ  
 ყველის თეფში, პომიდვრით და ბუსუსა პიკული კიტრით თავ-  
 მოდგმული ჯამი რომ დაუდგამთ, წყალობა უზის, ჭადარა, შავი,  
 ცოცხალი, მუტყველი თვალებით და იდაყვებამდე სახელოაკე-  
 ცილი სატინის ხალათით.

წყალობამ წინ დამისვა და თიხის ჯამში შავი, კუნაპეტოვით საფერავი დამისხა.

დალევა ჯერ ადრე ხომ არ არის-მეთქი.

მემრე ვინ გასმევს? აგე, როგორც მე მაქ პური ღვინოში ჩაბუხუბუბული, ჯამში ვერ ჩაიყარე, ბოლლიწო მიირთვი და რაც დარჩა ესეც ჩამოგკრიფოთო.

შევეუსრულე თხოვნა თუ ბრძანება.

კოვზი, ქალოო!

მომართვა ხის კოვზი ქმართან შედარებით ტანსრულმა „ქალომ“.

ბოლლიწო ადრეც მქონდა გასინჯული, როგორც მაშინ, ახლაც, მაინცდამაინც დიდი გემო ვერ ჩავატანე. მაგრამ წყალობას რა ვუყო, ხათრი როგორ გავუტუნო, მივდევ, მივყვები პირაცმაცუნებულ ბერიკაცს.

წყალობა ბატონო, კოვზებით ბარემ სადღეგრძელოები ხომ არა ვთქვათ-მეთქი.

სადღეგრძელოები მემრეო.

მემრე, მემრე!..

სხვა რა გზა მაქვს, როგორც იქნა მეც გავედი ბოლოში და ტანში მომთენთაემა სიამოვნებამ დამიარა, საფეთქლები გამითბო.

აბა, ახლა სად არის ვედროები-მეთქი.

მოგვართვეს, მეც და დანარჩენებსაც, პირგანიერები, სიტკბოთი გაზინზლულებს კრაზანა-ფუტკარები რომ დაბზუოდნენ.

სტუმრები დარჩენილ მწკრივებს შევესიეთ. წყალობა კი მაგიდასთან, ქეჩადაგებულ სკამლოგინზე მიწვა, დააწყო ერთმანეთს მიტყუპებული, შიშველი ფეხები, ამოუდო მარჯვენა ხელი ლოყას და ძუძუთა ბუშის უმანკო გამომეტყველებით მიეძინა.

— გადაიქანცა... მთელი თვეა აქ ათენ-აღამებს, ყარაულობს... რა ქნას, მომრავლდა ხელმრუდე ხალხი... მერე რა მტევანია, თვალი ვის არ გამოექცევა... თანაც გზისპირია... ახლა ეს მესამე დღეა ვკრფოფო და მეტი რა შეუძლია ადამიანს, — ბოდიშობს მეუღლე წყალობას ჩაძინების გამო.

მარტო გადადღის ბრალი არ არის, ბოლლიწომაც გამოჰკრა შუაკაური.

პურჩაყრილი საფერავი მეც წამოსაწოლად მეძალაგება, მაგრამ ამის დროა?

ვიდრე პირველ ვედროს ავავსებდი, ვენახის თავში სახედარმა დაიყოფინა.

ყროყინი არ ჩაეთავებინა, რომ წყალობა მაშინვე ცქვიტად წამოდგა.

— დაიძინე, საით, კაცო? — ჰკითხა ცოლმა.

ჯორ უნდა დავხედო, მზე მიადგებოდაო, ვაზის გაკრეფილ მწკრივს აუყვა ახალგაღვიძებულის ფრატუნით.

მაღე ჩამოიარა.

ისევ მიწვა და გაჯაგრულ ლოყას მუთაქის ნაცვლად, ახლა მარცხენა ხელი ამოუდო.

დიდხანს ძილი არც ამჯერად აცალეს.

ვენახის თავიდან ისევ მოისმა შევეარებული ბიჭვიით ყელ-მოღერებული სახედრის ბელკანტო.

საითაო, ისევ ჰკითხა დედაკაცმა.

ჯორ უნდა დავხედოო!

ავიდა, დახედა, ხომ არაფერი უჭირსო.

გადამოვილიდან ბალახიანში გადააბა და სკამლოგინაზე კვლავ ხვრინვა ამოუშვა.

ბოლო მწკრივის გაკრეფამდე, კიდევ ორჯერ მაინც აგვიარა და ჩაგვიარა.

ამასობაში მზე დასავლეთისკენ გადაიწონა, მსუბუქმა ნიავმა შეაშრიალა გამსუბუქებული ვაზის ფოთლები და ჩოკინამაც დაასრულა თავისი სოლო კონცერტი.

ლაფაროში მაგიდიდან გაქრა ბოლლიწოიანი ჯამები, უცებ დაიხატა კახური, მაღლიანი, „ნატურალური“ სუფრა, მწვანელით, ხაზვითა და ცხარე წიწაკით შეგემებული, ვებერ-

თულა ჯამში ჩაჭრილი კიტრისა და პომიდვრის სალათით, ნაჩერტებში ერბოჩამდგარი გუდის ყველით, „ზოლიანი“ ღორის ხორცის შამხით, ოხშივარაუარდნილი ყაურშით, ხაშლამით და, რა თქმა უნდა, ხმლის პირებოვით სუფრის გარდიგარდმო გადაწყობილი, ბოლოწაწვეტებული შოთებით.

აბა, გადაიბანეთ ხელი ჩემო ძვირფასო სტუმრებო, დაცვარული ხელადა არავის დაგვანება, თვითონ დაგვისხა გრილი, მაცოცხლებელი წყალი. მერე თავდაც შეისხურა, გადაიწმინდა სახიდან ძილის ნარჩენები და სუფრის თავში „დაფუძნდა“, ვითარცა მჭვრეტეველი, ტკბილმოუბარი, მოსავლის დაბინავებით გულდამშვიდებული თამადა.

რა თქვა, რა სიტყვებით მოკაზმა თავისი სადღეგრძელოები, ამის გახსენებას რა აზრი აქვს, თუკი მარტო, მაგრამ გულში ჩამწვდომ, გრძნობების ამღვლებელ აზრებს, იმ ხმის ტონით, სილადით, დამაჯერებლობით ვერ გადმოვცემ.

ლაპარაკი რომ შევიძლია, მხოლოდ ეს არ კმარა ქართული სუფრის წვერთა გულთამძვრობელობისათვის.

„სიტყვა უნდა გეთქმოდეს“, ყური რომ დაგივლონ.

რომ გეთქმოდეს, ამის უფლება სწორად გავლილი ცხოვრებით უნდა მოიპოვო.

ჰყავდა სოფელსაც და დიდ-პატარა დასახლებებსაც ჭკუის საკითხავი კაცები.

ჰყავდა...

ახლა?

ახლა ვილა ჰყავს ამ დაქცეულ თუ გაქცეულ საქართველოს, ვიკითხოთ ერმაც და ბერმაც, მწერალმაც და ტრიბუნებზე ამხედრებულმა ახალი ყაიდის პოლიტიკოსმა „მოდერნებმაც“.

„წიგნი იმისთანა რამ არის, რომ თქვენი სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას — სოფელში წაიღებს, საიდგან სად კაცს კაცთან გალაპარაკებსო“ — ილია ბრძანებს.

რა მიაქვთ და რა მოაქვთ დღეს? თუ არ წავიდ-წამოვიდნენ, ერთმანეთს არ შეხვდა წიგნი და მკითხველი, გიჟებოვით, თავისთავს ხომ არ დაუწყებენ ლაპარაკს, რას წაიღებენ ან რას ჩამოიტანენ?

„ცოცხალი წიგნების“ მოგზაურობა, პილიგრიმობის ეს ფორმა, თავისთავად საინტერესო პროექტია, ოღონდ ამ „წიგნებმა“ იმათი ნდობა უნდა დაიმსახურონ, ვინც ჩვენს მიწვევებულ კუთხე-კუნჭულებში დახვდებიან.

უნდა ადღეეს გაწვევითი კავშირი, თუკი წიგნი ვერ მიდის, უსახსრობის, უტირაჟობის და კიდევ სხვა მრავალ მიზეზთა გამო, თავის მკითხველთან, მწერალმა ასე „ცოცხლად“, თავად უნდა ჩააკითხოს.

ჰოდა, ჩვენც ჩავიცვით ბანდულ-ქალამანი, დავიჭირეთ რკინის კეტი და ჯერ საგარეჯოს, მერე გურჯაანს და სიდნალს, ბოლოს კი დედოფლისწყაროს ვესტუმრეთ.

თურმე როგორ მოგვენატრებია ერთმანეთი!

მოგვენატრებია ქართული სიტყვის ზეიმი!

ჩვენ ჩვენი ვუთხარით, იმათ თავისი შეგვახსენეს, არც საყვედური დაგვაკლეს, რატომ დაგვივიწყეთ, თბილისს იქითაც არის საქართველო და ნამდვილი მკითხველი, რომელსაც ქართული ლიტერატურის მაჯისცემამდე აქვს ყური მიგდებულიო...

შეხვედრების დროს დაფარვივით წიგნები, ლიტერატურული პერიოდიკა, რომელთა შერეობაზე კულტურის სამინისტრომ იზრუნა...

\* \* \*

ჩემი ქიზიყელი მეგობრები, შემოდგომის მძიმე, მღორე ნისლელებით ნელ-ნელა იმ ასაკში შედიან, ერთ დღესაც, მზის-გულზე მიფიცხებულები ერთმანეთთან გაკვირვებულები რომ დაიჩივლებენ, ქალებს რო დავედვით, გვახსოვს, მაგრამ რისთვისინ დავდევდით, ეგ კი აღარაო.

კაკო და გოდერძი თავს იმართლებენ, მოდასა და წესს არ ეღალატებოდა თორე, ვინ ოხერი... რა დრო იდგა, ისე დღე

როგორ გავიდოდა, თბილისიდან რომელიმე უწყებას არ „დავ-  
ფუასებინეთ“. იყო ერთი მისვლა-მოსვლა, არიქა, სტუმარია  
დედაქალაქიდან ჩამოსულიო და დაიცლებოდა ნახევრად რაი-  
კომი.

საპატიოდ ითვლებოდა სამსახურის გაცდენაც, ქეიფიც,  
თუნდაც ყირაზე დადგომა, თუკი სტუმარს ზედებოდი, სტუ-  
მარს აწონებდი, აცნობდი შენი რაიონის წარმატებულ დღე-  
ვანდებლობას და უკეთეს მომავალს. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ  
იყო ეს სტუმარი თუ სტუმრები, მაღალი ინსტანციებიდან თუ  
რედაქცია-რადიო-ტელევიზიიდან, ანდა სხვა ნებისმიერი უწყ-  
ებებიდან, პატივისცემა ყველას უნდოდა, ყველას შეჭარბოდნენ  
და შესციციებდნენ, თუნდაც ეს სტუმარი ცოცხი ყოფილიყო.

თანაც თუ ამ ცოცხს კაბა ემოსა, ან „ლევინის“ ჯინსში ჩატ-  
ენილი უკანალიც უთიმთიმებდა, ხომ სტუმარ-მასპინძლობის  
ჟინი აპოთუოზს ადწევდა.

დაქორდნენ მანქანებით, იღებდნენ, იწერდნენ, ადარებდნენ  
ძველსა და ახალს...

დოვლათიც იყო და ამ დოვლათის მოხმარების მადაც!  
დიდი, ვარვარა შხე დაჰყურებდა ალაზნის ველს.

ნამხარს აცლიდნენ მტკენებით დახუნძლულ მწკრივებს.

წელსაო, აი, წელსაო, შარშან ხომ ძაან ვივაჟკაცეთ, იმას  
გადაუჭარბებთ, იგეთ მოსაჯალს მივიღებთ, ოღონდ იმან არ დაგ-  
ვალაატოს, ღმერთი არ გაგვიწყრეს და სეტყვამ არ გამოგვდოს  
სარმაო, იჭაჭებოდა მიკროფონთან დაპირებებში გაწაფული,  
ორდენოსანი მევენახე.

ნუ გეშინიათ, ზარბაზნებს რო დაუგვრიალებთ გომბორი-  
დან, სეტყვას თქვენამდე როგორ მოუშვებთო, აიძვლებდათ  
ცენტრიდან მოვლინებული პასუხისმგებელი მუშაკი ან ადგ-  
ილობრივი, იდოლოგიის მდივანი, რომელიც სასურველი კი  
არა აუცილებელიც იყო, რომ მამალი დედაკაცი ყოფილიყო.

ჰპირდებოდნენ და მართლაც რა იყო იმ ცხონებული კომუ-  
ნისტების შეუძლებელი?

იდოლოგიური ხაზის გამტარებელი, პარტიაზე ჯვარდაწერ-  
ილი, გაუთხოვარი კოჭბროლა, თითქმის ყველა რაიონს ჰყავდა.

ესენი იყვნენ პოლიტიკური ამინდის მაკონტროლებლები,  
ოქქები, დადგენილებები, საიმედოდ გაბანტული საქმიანი  
საქალაქელების ჩრჩილები, ცენტრის ერთ-ერთი მთავარი  
საყრდენები...

ჰოდა მიდიოდნენ და მოდიოდნენ-მეთქი საქმიანი ქვეყნის  
მაშენებლები, კულტურის მუშაკები, ხელოვნები, თეატრები,  
მწერლები, განსაკუთრებით შემოდგომის პირისკენ, ნაადრევად  
ჩაწურული ყურძნის ტკბილი შემაჭრებას რომ იწყებდა.

მერე ყველაფერი სუფრით მთავრდებოდა, ღონიერი, ჯანმრ-  
თელი, ალაღად მოტანილი პურ-მარილითა და მასპინძლობით.  
იყო ერთი მიბრძანდი-მიბრძანდი, უფროს-უმცროსობა, რიგ-  
ითობა, ძარღვიანი სადღეგრძელოები, თუმცაწონება ქართული  
სიტყვის მაღლით, როგორც გიორგი ლეონიძე იტყვოდა, ღონ-  
იერი, ბედაური სიტყვით... გაჭრიდა ნუნუა და აზუნუნდებოდა  
გრძნობით გააღმასებული თვალთა ისრები, ღვინით გათამამე-  
ბულთა სატრფიალო ღირიკა და კაფიებიც გაეღვარებოდნენ  
მოკეჭნავეთა ხმლებივით.

თავს აწონებდნენ ერთმანეთს თამამი, ბედის მაძიებელი ქა-  
ლაქელი ქალები და ფლირტით თავბრუდახვეული პროვინციე-  
ლი სახელისუფლებო ნომენკლატურა...

ამიტომ მოინანიეს მაშინდელი ცოდვები კაკომ და გოდერძიმ,  
საქმეს სჭირდებოდა, თორემ ვინ ოხერიო...

აღნიშნულ თემაზე, ერთი ანეკდოტისა არ იყოს, მაინც კმაყო-  
ფილები იყვნენ ადგილობრივი ხელისუფალთა თანამეცხედრეები,  
თანამდებობით განუზღვრებელი პირველი ნახევრების მხარს  
მიყრდნობილები რომ ადარებდნენ ერთმანეთის მუუღლებების  
საყვარლებს და ბედს შეგუებულები ქმრებს შესუქუნებდნენ:  
„იი, ქაა, ჩვენი ყველასა სჯობნებიაო“...

ეს ხუმრობა(!) ყველამ იცის და თავიდან აღარ მოეყვები.

— კარგი დღეები და წლები მახსოვს. დიდიდან საღამომ-  
დე რომ ვიფიქრო, წყენის ნამცეცი არ გამახსენდება, აქაურ  
საძმოსთან ვგეთი გაუზზარავი ახლობლობა გვქონდა. ნეტავი  
სისხლისმიერ სანათესაოსთან გვაკავშირებდეს იმნაირი მტკიცე  
სიყვარული — იმიტომ, რომ მეორე ნახევრებიც დირსეულები  
გვყავდა და გაგებით გვეკიდებოდნენ, კარგი საქმეების საკეთ-  
ბლად შემართულებს, სიძულვილის შხამით ტვინს არ გვიხ-  
ვრეტავდნენ, — ამბობს გოდერძი.

— ჰო, მაგ საკითხში ძაან გაგვიმართლა... ზოგ დედაკაცს  
ისეთი ენა აქვს, ხანჯალს ხელს დაგავლებინებს და ძმის მო-  
საკლადად გაგაქცევს! — იღუშება კაკო.

ეს და ამნაირები ამათ არ ეხებოდათ, ამიტომ უყვარდათ  
ერთმანეთი, მეც და ქვეყანაც.

ჰოდა, იყო წლები, სიხარული რომ სიყვარულობდა, ზოგჯერ  
„მოპარულ“ ხილსაც თუ დაგვაგემოვნებდით, ვისი რა ცვდებოდა?

თავისი ეშხი ჰქონდა სუფრიდან სუფრაზე თვალთა შუქუნსაც  
და ზოტობაზე, ტელევიზიის ხალისიან, თამამ გოგოსთან ჩახ-  
უტებულ „ჭიპხახუნასაც“.

„ღმერთმა შაარგოს... ბოლოი მაინც სახლში არ უნდა  
მოიდეს?“ — ხუმრობდნენ ჩემი მეგობრების ცოლები.

ჰაა, საკუთარი დედაკაცი მწვანეს რო აგინთებს, უკაცრავლი  
პასუხია და ვინ რა ფეხები უნდა მოგჭამოს?

აი, ეს კაკო, ახლა წინ რომ მიზის, მაშინაც დინჯი, ვითომ  
ჭიანჭველას ფეხს რომ არ დაადგამდა, ვგეთი გახლდათ...

წითელწყაროს საავიაციო სამხედრო ნაწილის პოლიგონი-  
დან, ზებგერითი თვითმფრინავები ვინ იცის საიდან სადამდე  
აკონტროლებდნენ სამხრეთისა თუ აღმოსავლეთის საზღვრებს  
და, როგორც კი ცაში აიჭრებოდნენ, ადგილობრივი ბულები  
იმათ დედაკაცებს ყურადღებას მოაკლებდნენ?

მოტორის ხმაზე სცნობდნენ კაცოუ, რომელი ქალის ქმარი  
ბურღავდა მოღრუბლულ ცას თავისი საპაერო ხომალდით.

ერთი ამთვანი, კაკო, წინ მიზის-მეთქი და, რაღა დროს  
მაგების გახსენებააო, ვითომ მორცხვობს, თან გვერდით მჯ-  
ლომ გოდერძის ხელზე ხელს დაპკრავს, რათა, სულ ჩემზე რო  
ლაპარაკობთ, ეს ნაკლები იყოო?

ლოყაზე ხელშემოდებული გოდერძის მეუღლე, ეთერი, მიმ-  
ტვებელი ღმილით უყურებს ორივეს.

ზოგი ეხლა იფრინეთო, — ნიშნს უკებს.

— სადღაა პოლიგონი, თორე, ვინ მამამადლი... მოდა და  
წესი იყო, თუ თანამდებობა გინდოდა, სიყვარულზეც უნდა  
აველო შეფობა, მაი!.. — თავს იმართლებს კაკო.

— ქერათმიან მფრინავებს მურთხივით შავგვრემანი შვილები  
გამოსდიოდათ! — ატრიალებს ჩაკუჭკუჭებული გოდერძი.

ჰო ვერე იყო, მფრინავები ცასა ბურღავდნენ, ესენი იმათ  
დედაკაცებს...

ახლა ისეთ ასაკში არიან, რომ რაღაცების გამხელა, რასაც  
გრიფი „საიდუმლო“ ელო, უკვე ცოლებთანაც კი შეიძლება.

დაილოცოს, უფალო, შენი სამართალი, უთქმელსა და და-  
ფარულს თან რომ არ გვატან, თორემ ამდენ საიდუმლოს ჯო-  
ჯოხეთის რომელი საწყობი დაიტევდა!

ოცდაათი კილომეტრის სიმაღლეზე, რეაქტიული თვითმფრი-  
ნავის მრისხანე, დაუნდობელ პილოტს, კაკოს ქვეშ ამოდებული  
თავისი ცოლი რომ დაენახა, რა დღეს დააწვედა აქაურობას,  
სეტყვა მონაგონი იქნებოდა.

თუმცა, ვეგბ ძალიანაც არ სწყენოდა.

კაცია და გუნება, ერთმა შემთვრალმა „აფიცვრმა“, არხ-  
ალისკალოში, ორჯერ მიმიწვია თავის ცოლთან საცეკვაოდ,  
რადგან „ტანცი-მანცში“ დაკარგული დრო, ნუნუას როცა არ  
სვამდა, ენანებოდა... ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და შესამედ  
მისი თხონა არ დამჭირვებია, ხოლო მეოთხედ...

იღგა ნაზი შემოდგომისკენ ჩამტკბარი ამინდით გაჯერებული  
ღამე, განათებულ სასადილოში ხელჩართული სმა, ხორხოცი  
და გარეშე მოთვარის მკრთალი შუქით შემღვრეული სიბნელე.

სასადილოს უკან სათიბი, ძეძვის ღობის მიყრუებულ კუთხეში მიგრირებული, ბზისა და ბალახის სურნელოვანი ბულუღი, ისე, სხვათაშორის ფაქინად აკოკოლავებული, ზედ მსუბუქად რომ გადმოგემხობა და შენ ცოდვებს გარეშე თვალისაგან დაიფარავს...

ვიდრე სუფრასთან დაგბრუნდებოდი, ქალმა სასადილოდან გამომკრთალ სინათლის შუქზე შემათვლიერა და საჩვენებელ თითზე დახვეულ ცხვირსახოცით სახეზე შერჩენილი, პომადის „ნივთმტკიცება“ წამაშალა.

ვევებით. ვიგონებთ, ვიცინით, ისევე ვეგვებით. თურმე ყველაფერი ახსოვთ, ყველა დეტალი.

აქაურობისაგან განსხვავებით დიდი ქალაქი გულმავიწყია. დიდი ქალაქი საიდუმლოს არ შეგინახავს.

„შშობელ მიწაში მიდგას ფესვებიო“, შუბლზე და გულის ფიცარზე დაგვაწერა გიორგი ლეონიძემ.

ეს ისე, სხვათაშორის.

დიდი ქალაქი გულმავიწყია-მეთქი.

შეიძლება იმიტომ, რომ ბევრი უაზრო, არაამქვეყნიური, არაბუნებრივი, უსახური პრობლემა ტანჯავს.

აქ კი, ისევე ის ძველი სურნელი ტრიალებს, ძროხას ნაცნობი ჭიშკრისკენ ზმუილით მოაქვს დასაცლელი ჯიქანი, ღობეს წითელი ვარდის კოკრები გადმოჰკიდებია და დამორცხვებული, ჯერ კიდევ მწვანე მტვეანი ფოთოლს ეფარება.

— ჩვენი იუმორი მაინც სულ სხვაა, საფერავივით არის, თუ არ დააგემოვნე და ვერაფერე გადაუშვი, ნამდვილ ღირსებას ვერ შეიგრძნობ, — ამბობს გოდერძი, — 1941 წელს, 22 ივნისი. სოფლის ცენტრში ზიშხიმებს ხალხი, ქუდზე გამოსული კაცი და ქალი შეჰყურებს ბოძზე დაკიდულ რადიოს, ლევიტანის გამყინავი ხმა რომ აზანზარებს. მიუტოვებია ხალხს ცეცხლზე შემოდგმული რძის ქვაბები, გახურებული თონები, აკვნებში აჩხავლებული ჩვილები, სახნავი და სათესი.

ყვავივით აყრანტალეებული რადიო ტანში ცრის დიდ-პა-ტარას.

პაი, დედასაო, ბორჯავს მკერდში დაბრაგუნებული მუშტი. იბრაგუნოს რა, ფუჭი ქაღილია, ყველა აქ არის, სოფლის თვალს ვაჟკაცის, მიხოს გარდა.

კაცი გასაჭირში გვახსენდება — ისიც მოისაკლისეს, მიხედ-მოიხედეს, გასძახეს, გამოსძახეს.

არ არის მიხო.

მიატოვეს რადიოც, ლევიტანიც — რაღა იყო მოსასმენი და გასაგები, მიხოს შინ მიაკითხეს.

მივიდნენ და რას ხედავენ, წვეს თუთის ჩრდილქვეშ ტახტზე, გულიანად ხვრინავს და თრთიან ყოველ ამოსუნთქვაზე თუთის ფოთლები.

მოკლედ, ერთ ადგილზეც არა ჰკიდია, მტერი რომ მოშლიე-ინობს და თითქმის უკვე გამოიარა კენიგსბერგი, მოლდავეთი, ნახუარი ბელარუსია, სადაცაა მიხოსაც თავს დაუკრავენ და ხიშტის წვერით უკანალზე მიუღიტინებენ...

ეცნენ, შეანჯღრიეს, გაიღვიძე, რა ძილქუში დაგეცაო.

ერთი-ორი შემოულაწუნეს კიდევ და, როგორც იქნა სა-გონებელში ჩააგდეს.

რა გინდათ, რას დამეხვიეთო, დააჭყიტა თვალები.

რაღა რა გვინდა, ადე, კაცო, ომი დაიწყო, ომიო.

რა დაიწყოო? — ყურებს არ დაუჯერა.

ომი დაიწყო, ომი, დროზე თუ არ გავინძერით, შეიძლება ხირსასთან უკვე სანგრებსაც თხრიანო.

ომიო!

დიდი, გაბანჯკვლული ფეხები ფლოსტებში წაუყარა მიხომ და აღუღებულმა მკერდი ჩაიძვინდა, პოი, დადადა, ამ დე-დაიმასქინილმა შახაბასმა ხო შათხარაო!..

ანეკლოტს დიდი წვერები აქვს, მაგრამ გოდერძის ხათრით ვიცინით.

მეორეც გინდათ? — გვეითხა შეთამამებულმა.

მიდიო!

ისევე ამ მიხობზეა:

შუალამისას ცოლს აღვიძებს.

ილიასთან ხელი შეუცურა და ხმათროლოლებულმა — გაახ-ილე თვალი ჩემო მტრედო, ყურში ჩაუჩურჩულა.

რა შავი სიკვდილი გინდაო, გადმოღრინა ცოლმა.

გადმობრუნდიო.

რათაო, რა გინდაო, გაუმეორა.

აუვარდა სისხლი თავში მიხოს:

— ფული მჭირდება, დილაძე ერთი ასი დოლარი მასესხე!..

არ იცი, ამ შუალამისას რა მენდომება, რაზე გაგაღვიძებ, მე შენი ცოცხალი და მკვდარიო!..

ვიცინით — ეს ახალა და კარგია, თავისუფალი, დემოკრატიის იავარდით მოფენილ გზას დამდგარი ქვეყნის პირშოა.

ერთი მეც მათქმევინეთ, მაგრამ ჩემო დაო, ეს შენ არ უნდა მოისმინო, მოუბოდიშა კაკომ გოდერძის მეუღლეს.

მაგიდასთან კაცები დავრჩით.

— წელი არ მახსოვს, ვახუშტი, წიქა, იგივე ალექსი ჭინჭარაული და ერთი მესამეც ქედებში იყვნენ ჩამოსულები, კულტურის სახლში სახალხო მთქმელების სადამო ჩაატარეს და მერე ძია არსენა (მაშინდელი თავმჯდომარე), კობაძე სტუმრებს უპურმარილოდ ხომ არ გაუშვებდა.

მაგრად მოუღხინეს, მეორე პოეზიის სადამო სუფრასთან გამართეს, ნაშუალამევს ჩასხდნენ მანქანაში და წამოვიდნენ დიღინ-დიღინით

წინ, მძღოლის გვერდით, როგორც უფროსი კაცი, წიქა დააბრძანეს, უკან ვახუშტი და მათი მეგობარი.

მეც წითელწყარომდე გამომიყოლეს.

მოდიან, ხუმრობენ, ლაღობენ, კაფიებს აელვარებენ ხანჯლებივით.

უცებ ვახუშტი ჭინჭარაულს ეუბნება: წიქა პაპა, ხო კარგად დაპურდი და დაღვინდიო.

ძიან კარგად, რაც მართალია, მართალიაო.

პოლა იცი რას გეტყვობ:

„ახლა კი დროა წიქაო,

ყვერები გამოიქაო“.

პასუხის გასაცემად სულ რამდენიმე წამმა იკმარა:

„მერე რომელ ერთს მოგადგეო,

ფხანამ თუ გამიბრიქაო“.

აბა, იქ ამბავი ატყდა.

სკარბეზული პოეზიის იშვიათი ნიმუშები, ზოგი იმ დონის შედეგია, ცოდვაა, უხერხულობის საბაბით ფართე მკითხველამდე რომ არ მივიდეს.

ფხიზლობდა საბჭოთა ცენზურა, როგორ დაუშვებდა, რაც დღეს ეკრანზე, ფილმებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში უხამსობის ღვარცოფია.

კარგსაც მიაყოლებდნენ ხოლმე, თორემ ასაკრძალი უნდა აკრძალულიყო.

ამას წინათ, კომედიური სპექტაკლების ფესტივალზე, ერთი ჩვენი ძალიან სახელოვანი (წარსულის) თეატრის სპექტაკლი ვნახე. ორ მოქმედებაში მგონი ექვსი ქალი მაინც გააუპა-ტიურეს. არა აუცილებლობიდან გამომდინარე, ხასიათების გამოსაკვეთად ანდა დამდგმელის „ღრმა“ ჩანაფიქრის ნათელსაყოფად, ისე, უმიზეზოდ, რეჟისორის ხუმტურების დასაკმაყოფილებლად იყო სცენაზე ერთი ქანაობა, ქმენა, ღრენა და კებნა...

აფსუსს, შემომჩვილა სპექტაკლის შემდეგ, ფოიეში, გაოგნებულმა ერთმა ძველმა თეატრის მოყვარულმა:

გამაგებინეთ, ჩემო ბატონო, რკინის ფარდა იმიტომ ჩამოგვლიჯეთ, რომ ნამდვილ ხელოვნებაზე, ნამდვილ არტისტებზე უარი გვეთქვა და, ამდენი სისხლისა და უბედურების ფასად, აღვირახსნილობის ჭაობში ჩავძირულიყავით? რა

აქვთ ჩაფიქრებული, ასეთ და ამის მსგავს საძაგლობას რატომ გვაგუებენო!

მეორე ქალბატონმა კიდევ:

ტელეარხებით თეატრიც რომ გარყვნეს, თქვენც ხედავთ, მაგრამ რა მანტიერესებს, იცით, ამ ქალბატონებს ქმრები ან შეილები არა ჰყავთ?... ვიღაც ვერხილა რომ მოიგდებს, აუპატიურებს იმათ ცოლსა და დედას, სცენაზე ხუთასი კაცის თანდასწრებით, ნეტავ რას ფიქრობენო...

მოკრძალებით შევბედე, ხომ გაგიგონიათ, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს-მეთქი.

ასეთ მსხვერპლს არა, ბატონოვო — მომცილდა გაღიზიანებული.

ჯერ კიდევ რამდენი ძველებურად მოაზროვნე მაყურებელი გვყავს, ღმერთო! იმის მაგივრად რომ მოიწონონ, როგორი ოსტატობით ასრულებენ ყველაზე უფრო ინტიმური ურთიერთობის, ორგის ელემენტებს... ზოგს ისე დაუელაშდა გაუთავებელ ხახუნში თვალები, რომ უმაღლესი სიამოვნებაც მგონი ჩვენს თვალწინ განიცადეს.

ხანდაზმული თეატრალი კი რაღაც დრომოკმულ, ზნეობრივ ნორმებს მისტირის.

მორჩა, ჩაიქროლა, იმ მატარებლით, თქვენ რომ გახსოვთ, ვიღა მგზავრობს, ქალბატონო!

ანა კარენინა ერთხელ ჩაუვარდა ბუფერებს, მეორედ ამ შეცდომაზე აღარ გაიმეორებს!

ერთ კონკურსში გაგზავნილი ჩემი ნოველა საუკეთესოებში შეირჩა და პორტალზე მკითხველთა განსასჯელად დაიდო. ვიღაც ფსევდონიმს ამოფარებულმა კუტკალიამ მომწერა, „ეე, ძმაო, სულ დაირბევე? რაღა დროის ამ სტილით წერაა, რომელი საუკუნეა, გარეთ გამოიხედე, **брат!**...“

მეც გავიხედე, გარეთ უფშური ნოემბრის დილა იდგა...

მაშინ კუტკალიას არ გაუძარტლა, ნამდვილი მკითხველების რჩეული ჩემი ნოველა გახდა...

დღეს რა მოხდებოდა?

ეპ, უწყინარი ანეკდოტიდან, სერიოზულ თემებამდე მივედი, მაგრამ ასეა ჩვენი ცხოვრება აწყობილი — ხაფანგმა, უნებლიეთ, ხელი რომ მოგაწეწკოს, მაშინაც კი დროსა და ხელისუფალს აგინებს, იმ ხაფანგში შენს მაგივრად რატომ არ ჩაყო თითი!

აცხონოს ღმერთმა იმისი სული, სოფელ მადაროში ერთი თავმჯდომარე ჰყავდათ, მართლა წესიერი და ღირსეული, მეტსახელად „რკინის კაცს“ ეძახდნენ. თავმჯდომარის უკითხავად ჩიტებიც ვერ დაფრინავდნენ მის სამფლობელოში, ვერც რაიკომ-აღმასკომის აჯილდები დათარეშობდნენ თავიანთ ნებაზე.

ბევრ რამეს ყვებოდნენ „რკინის კაცის“ საქმეებზე. უყვარდათ და არც უყვარდათ, სამართლიანობისთვის მებრძოლს, როგორც წესი, მადლიერებისა და უმადურობის შუქ-ჩრდილი ადგას.

მოკლედ, როგორც ყვებოდნენ, ილიას გიორგოვით ყოფილა.

როცა გავიცანი (ასაკში რომ შევიდა, დაწერა განცხადება და თავმჯდომარეობა მიატოვა, როგორ არ ეხვეწნენ, მაგრამ „რკინის კაცი“ იყო და ვინ გადაათქმევინებდა), უკვე რიგითი კოლმეურნი იყო, სავენახე მიწა გაეპიროვნებინა, ვაზი გაეშენებინა და უვლიდა.

მახსოვს, ზვარში, წალამგადახურულ ქოხთან, წახრილი საჩრდილობელი ფშატის ქვეშ ვისხედით.

წლებით და შრომით სახედადარულმა კაცმა გვერდზე მოიღო თავისი ჩალის ქუდი და წინ დამილაგა იდაყვებამდე სახელოაკცილი, შბაბაინით დაწინწკლული დიდი ხელები.

თვალეებში სიბერის ღიბრი მოსძალებოდა, მაგრამ მზერა მართალი, პრინციპული კაცისა, მოკრძალებითა და პატივისცემით განგაწყობდა.

კარგა ხანს ვისაუბრეთ, მე როგორც ჟურნალისტმა, იმან, როგორც რესპოდენტმა.

- ეხლაო, რასაც გეტყვით, განა არ ვიცი, ვერ დაბეჭდავთო,
- რომ აიხირეს, კახეთში ორჯერ უნდა გავზარდოთ ვე-

ნახების საერთო ფართიო, ჯერ ეს ერთი — მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით მარცხენა ხელზე ცერი მოღუნა

— ყურძნის გარდა, სხვა აღარაფერი გვჭირდება? და, მეორეც, — ახლა არათითიც მოკვცა, — ორჯერ მეტ ფართზე გაშენებულ ვაზს მოშველი არ უნდა? დარგვა-გაშენება კმარა? ჯერ რაც გაშენებულა, გადაგვარდა, გადაჯიშდა მოუვლელით, იმას მივხედოთ! ქალაქისაკენ უჭირავთ თვალი, სადღაა მუშახელი, შვილო, როგორ გავწვდებით... აგე, რაც გავაშენე, ვუვლი, მაგრამ როდემდე, ვიღაა მერე ამის მიმხელი? ჯერ ის დაამაგრე ადგილზე, ვინც დოვლათს შექმნის და მერე შენი კარნახი და პლენუმების გადაწყვეტილებები არ დასჭირდება, სად რა დაირგოს და რამდენი...

გამკაცრებელი სახე სინანულის ღმილიმა შეუტოკა;

— მაგრამ აქ სხვა მულამია. ეს არის ჩვენი უბედურება — ვენახის ფართს რომ გაზრდი და კრემლს უპატაკებ, მერე რამდენიც გინდა, ღვინის ნაცვლად, ჩამოასხი შაქარწყალი, იქ ვედარაგინ დაეჭვდება ამდენ ჰექტარზე ათჯერ მეტი მოსავალი როგორ მოიყვანო... ამხელა უკიდევანო ქვეყანაში ერთი დიდი, საერთო ტყუილია აგორებული და ამ ტყუილს მივსევავართ... სადამდე გაგრძელდება ასე, არ ვიცი...

გაგწმდით, დარხეული ტოტის ჩრდილი ელაციცებოდა შაბიამინან ხელის ნებებს.

ერთხელ, „რკინის კაცთან“, თანასოფლელი მისულა კანტორაში, ჩვენ სალოცავს საკლავს შევიპირდი და კოლმეურნეობის ფარიდან ბატკანი უნდა მომცეო.

შენი შესწირეო.

ჩემი რო მყოლოდა, შენ ხო არ მოგაკითხავდიო.

მერე, შე დალოცვილიო, თუ არ გყავდა, ღმერთს კოლმეურნეობის იმედით ცხვარს რატომ პირდებოდიო?

გამოისტუმრა უარით.

ასეთები ვის უყვარს? არც რაიაღმასკომში და არც იმათ ზემოთ დიდად გულში არ ჩაჰქროდათ, თავისი თითის კარნახით რომ ვერ ათამამებდნენ, მაგრამ ნიშნად მაინც სჭირდებოდათ, ერთი მართალი და პირდაპირი კაცი, მის მამხილებელ სიტყვას ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავდა თავად პირველი პირი — იმ სიყვარბის ერთ-ერთი მამამთავარი, სარჩულივით რომ ჰქონდა გამოკრული მაშინდელ წეს-წყობილებას...

კიდევ ვიტყვოდი რამეს, მაგრამ...

„არ მინდა ძველი დარდები,

რომ გულში აიწეწოსა“...

მითუმეტეს, რომ იმ ძველს ოთხმოცდაათიანი წლებიდან დღემდე აგორებული ახალი ტყუილიც დაემატა, დაედო, როგორც დაბეგებულ, ჭიით შეჭმულ თოვლს, ახალი... ტრანსფორმირებული სიცრუის აგიტატორები ახლა სხვა მხრიდან შემოესივნენ ქვეყანას, როგორც კალიის ლაშქარი, ნაირნაირები, შავეები, მულატები, ყვითლები, ვიწროთვალეებიანები... მოაწყდნენ, როგორც წარღვნა, ამოავსეს ყველა გასავალ-გამოსავალი, ყველა სარდაფი, ფარდული, კუთხე-კუნჭული, ველი, ტყე და მინდორი...

აღარ იცი, საიდან ამომეგება შრომით მოღლილი „სეჩუანელი კეთილი კაცი“.

ეს ჩემი ბედოვლათი, კანონიერი მემკვიდრე აქაურობისა, სალაყობნეა ჩრდილს შეფარებული, სოფლის ამპობაზე გულმოოსული, ან წნორის „ბირჯაზე“, მანქანას მიყუდებული გასაღებს ატრიალებს და დედაქალაქში წამსვლელ მგზავრებს ელოდება.

მიწისთვის რომ მიეხედა, მიიღო დახმარება, თან ცხრა მთას იქით გადაკარგულმა, საშოგარზე წასულმა ცოლ-შვილმაც „დაამაყუთა“, მაგრამ ამან უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, შეიძინა სატაქსაოდ მანქანა და უწყინარი სახედრიდან, კომფორტულ, ჩვენი ახალი „გულშემატკავრების“ ნახმარ, „მერსედესის“ სალონში გადამჯდარს, მუშტრის მოლოდინში, უქმად უწყვეტა საჭეზე ბათმანიანი ხელები, სათოხე, კუნთებდაყრილი მკლავები...

აბა უთხარი რამე!  
 მაშინვე თითს ხელისუფლებას თვალელებში წაატაკებს, სულ იმის ბრალი ყოფილა თონზე და მიწაზე გული რომ აიყარა, ინდოელი და შრილანკელი რომ დაუდის მამაპაპის სისხლითა და ოფლით გაპოხიერებულ მამულში...

ცხელა.  
 როდის აღარ ცხელა შუა ზაფხულში.  
 „რაო, მინდორში წალუნული სეჩუნელისთვის გრილა?“  
 იზრდება, გრძელდება ქალაქებში, დაბებში, სოფლებში, ქუჩებში დამწკრივებული ტაქსების მწკრივები, ვინ არის გამზომი, თორემ ჩინეთის დიდი კედლის სიგრძეს გადააჭარბებს.

როდემდე ვუყუროთ გაუქმარებულ, წელანგარა, საჭუნე „დაგუბებულ“ ენერგიას? არ სჭირდებათ ხელის ამკრავი და გამოძეხიზლებელი, როგორც ბაგასთან, დახლებთან დაბმულ, გადამყიდველ, სქელკისერა ხარებს?

თორემ, აგე, გამოვიდა ამასწინათ ვიღაც არამკითხე კონგრესმენი და, ჩვენაო, საქართველოს მთლიანობას ხომ ვცნობთ, ახლა იმასაც ვცდილობთ, რომ თქვენმა ქვეყანამ ევროინტეგრაციის ტრაექტორია შეინარჩუნოსო.

დემროთ, უკუღმართი ფანტაზია რას აღარ გამოიგონებს ჩვენი ყურადღების დასაბლაგვებლად და მოსადუნებლად — „ევროინტეგრაციის ტრაექტორია“ რაღა უბედურებაა, ამიხსნას ვინმემ და გაეროს კარზე ჰარაკირს გავიკეთებ.

ანდა რომ ვერ შევინარჩუნოთ ტრაექტორია და თოკს მოწვევტილი ჯამბაზივით მანქანა მომლოდინე დათვს ისევე ჩაუვარდეთ ხაზაში (თუ უკვე იქ არ ვიმყოფებით)?

ეკ, ამერიკა, ამერიკა, რად გადამიჭრა იმედის ძაფი შენმა კონგრესმენმა — მეგონა ევროკავშირის კართან გულაძგერებელი ვიდექი და თურმე... არა, ეს „ტრაექტორიის შენარჩუნება“ საიდანღა მოიგონეთ!

მოკლედ, ერთი კინოგმირისა არ იყოს:  
 „შენც კარგი ვინმე ხარ, აბესალომ!“

აი, აქ, ნასახლარების შორიახლო, ჩამოშლილი ეკლესიის გვერდით, ფეხდაუდგმელ ყამირზე, ჯერ ბოჩოლებსაც რომ არ გაუუკნიათ ხანსასა, ახალი ბალახი, მზით გამთბარი ჭიანჭველების ქარავანი რომ მიდი-მოდის, უცებ, ცამოწმენდილზე, აქოჩრილი ყვავილებიდან პეპლები რომ ამოფარფატდებიან, თოთრად გაიელვებენ და ახალგაშლილ გვირილას დააფრინდებიან, მიწაში ნახევრად დაფლული, მძიმე, წარწერებიანი ქვები რომ მღუმარებენ, ჯერ კიდევ გინახვენ, გვახსენებენ იმ ყველაფერს, რის დაფიწყებასაც გულმოდგინედ ცდილობ, ესენი მფარველობენ იმას, რის გარეშეც არაფერი იქნები არც შენ და არც შენი სამშობლო.

ყველაფერი მოგვტირის, რაც ჩვრებში გახვეული ჩვილოფით მივაგდეთ და იმასაც არ ვუკვირდებით, ვაითუ ეს ძახილი განწირული მომაკვდავის ხროტინია.

აქმუელი ფრინველების მსგავსად, დედამიწის კუთხე-კუნჭულებში მიმოფანტულები, ვდგვართ მომლოდინე, წარღვნამდეღი ქანდაკებების აჩრდილებივით და ველოდებით.

მოლოდინში თენდება, ღამდება,  
 თენდება, ღამდება,  
 თენდება, ღამდება,  
 ღამ...

თვალსაწიერზე აყუდებულა ხორნაბუჯი, ელია, იქით, ყვარლისკენ კალაპოტის შავი სარეცელით ყელგამშრალი ღურუჯი, აქეთ ხირსა, ნეკრესი, მომხდურ მტერს შელწეილი ციხე-ქალაქები, მოკვეთილ მუხუსავით სისხლგამდინარე ალბანგადმეთი... ყველაფერი გთხოვს, რომ შენს მარღვში წმინდა სითხე არ გაწყაოდეს, არ მოღუნდეს, გულგრილობით არ გაიყინოს...

რაც ხორნაბუჯიდან მოჩანს, იმას ვერც ეიფელიდან, ვერც კილიმანჯაროდან და ნიაგარადან ვერ დაინახავ. ჰიმალიას სიმაღლე კოჭებამდე ვერ მისწვდება იმ მთა-გორებს, ზედ მარადიულ მხედრებად რომ ამოსულან ტაძრები და ციხე-კოშკები...

ვერა-მეთქი, იმიტომ რომ ჩემია.  
 მორჩა და გათავდა.  
 ყველა დამპყრობელს სხვადასხვა ნიდაბი აქვს მორგებული, თორემ სახე და გულის ზრახვა, როგორც ვაშლი გადაჭრა... ჩემია!

ეს უნდათ.  
 ეს სიტყვა უნდათ დამავიწყონ, ამ სიტყვის მაგიური ცეცხლის ამოძირკვა, განელება ჰქონდათ, აქეთ და მომავალშიც ექნებათ ჩაფიქრებული.

ჩამოყვანილი ქიხიციში წინასაოპერაციო განწყობით დადღასმული, დაღლილი და აქაურობა დამხვდა, როგორც ჟანგბადის ბალიში — ერთგული, მოყვარული, უღალატო ძველი მეგობარი.

შეხვედრახე, ლიტერატურის მოყვარულები მრავლად რომ მოვიდნენ, მუსიკალური სასწავლებლის სააქტო დარბაზში ნდობის ძაფები უცებ გაიბა.

ათწლეულების წინ უფრო აქტიურად ხვდებოდა მწერალი და მკითხველი ერთმანეთს.

იძულებითმა პაუზამ გრძნობები გააცია, მაგრამ მთლად რომ ვერ გააქრო, მაშინვე დაერწმუნდი, როგორც კი ლიტერატურული სადამო დაიწყო.

მკითხველებმაც და მწერლებმაც ვიგრძენით, თურმე როგორ მოგვანატრებია ერთმანეთი.

აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ვიდრე ნაწარმოებს უცხო მკითხველამდე მიიტან, ჯერ შენი ლიტერატურის, ქართული მწერლობის გულშემატკივართან უნდა მიხვიდე. უღლეური ამბიცის ყვავილი უცებ ჭკნება, როგორც კი სადღაც გამოცემული მცირეტირაჟიანი წიგნის პრეზენტაცია ჩაივლის და რამდენიმე ეგზემპლარით ხელდამშვენებული, კმაყოფილი და გაფუყული დაბრუნდება.

ტყუილი, თოჯინა, ტყუილი! შენი დიდი თუ მცირე ძეგლი ჯერ აქ უნდა დაიდგას!

ვაჟა გერმანიამი არ გაუშვა ილიამ, პოეტსაც დაკარგავთ და ვერც ფილოსოფოსად დაგვიბრუნდებაო.

მაგანი ზეირიანად თბილისის ერთ უბანს არ გასცილებია, თავისი ნაღვანით ჯერ ქართველი მკითხველის ნდობა არ მოუპოვებია და უცხოს და უცხოებს მიელტვის. ვინმემ ხომ უნდა ჰკითხოს, სათბურის სასუქით გაჯეჯილებულმა, ასეთი რა გვირგვინი დაწანი, რომ მთელ მსოფლიოს მოაფრქვიო და ჯერ შენ მშობელს არ გააგებინო ვინ ხარ, რა ხარ და რა გიდექს მაგ ხურჯინში, ასე რომ ეფერები და ელოლიაფები, შენს ვაი თავანბიცემელ მებოტებებთან ერთადო.

ნებისმიერმა ავტორმა ჯერ თავისი, ყველაზე საჭირო და საინტერესო წიგნი — სამშობლო უნდა წაიკითხოს.

ამაშიც კიდევ ერთხელ დაერწმუნდი, კახეთში მოგზაურობისას.

ლიტერატურული სადამოს და გულითადი გამასპინძლების შემდეგ დედოფლისწყაროელმა მწერლებმა ხორნაბუჯის დასათვლიერებლად წაგვიყვანეს.

ხორნაბუჯი... სამყაროს ერთ-ერთი საოცრება, ადრეულ წლებში ბევრჯერ მინახავს და რთული რელიეფის მიუხედავად, ავსულვარ კიდევ, მაგრამ ახლაც სიამოვნებით ვესტუმრე, რათა კიდევ ერთხელ გავოცებულიყავი — როგორ, ან რა ხელმა „აზიდა“, როგორ ჩაადულაბა, ჩამოქნა და, ჩამოასხა...

მანქანა შორიახლო შევაჩერეთ, ტყუწვილიში უფრო დიდი, ღონიერი მანქანის ბორბლებით ნაბურღავები საურმე გზა, ფეხით გავიარეთ.

ხორნაბუჯის მისაღვომებთან წელამდე ბალახი ყელყვლაობს. ალაგ-ალაგ ყვითლად მოსდება ქერიფქლა, ქვათესლა, ალაგ-ალაგ ყაყაჩო და თურგვირგვინიანი გვირილა...

ყველაფერი დუმს, ნაშუადღევს სიცხეს მიუსავათობია თუ სხვა ამოუხსნელი მოლოდინით გარინდულან შავ-თეთრად დაჭორფლილი ღოდები.

ერთხელ, ადრეულ წლებში, ამ მიდამოებში, ზემოთ მიმავალ



ბილიკზე დამდგარი, ვეებერთელა, ლოდზე შემოხვეულ შავ უხსენებელს წვაღეჭი. გიურზა იყო თუ სხვა მოდგმის მცურავი, ცხადია ვერ დავადგინე — მის წარმომავლობაზე დასაკვირვებლად სად მეცალა, შიშმა უკან გამომაბრუნა.

ახლაც მრავლად იქნებთან, ქვიშაზე გაცურებული ჯაჭვის სხივითა პერანგებით ერთმანეთში ჩახვეული გველგესლები, მახრჩობელები, გიურზები, ხორნაბუჯის მარადიული მცველები, ხერელებში, ბალახის ძირებში, ქვების ქვეშ და ჩამავალი მზის ალმაცერ სხივებზე, ქერეჭისფერ სალ კლდეებს შეფარებულები.

წინ ადგილობრივები გაგვიდგინენ, ხელჯოხებით მიჰკვალავენ ბალახმომალეებულ ბილიკის დერეფანს.

შეუდექით აღმართს, ლოდებს შორის დატოვებულ ვიწროებს. ჩხრიალებს ფეხქვეშ ქვა-ლორდი, ბუჩქები, ნაპრალებში ამოსული, გადმოხრილი ხეები ტოტებს გვიწვდიან, გვეხმარებიან.

ავდივართ, ავდივართ... ავადწიეთ, ავმალღლით და... ციხე კი არა, ზეცას მხარშედგმული ატლანტია.

ფრთაგამლილი ორბები, სვაგები, ბორები ხელის აწვდენაზე დასტრიალებენ უხსოვარი დროის კედლებს, თითქოს ჰაერში გაყინულ, გიგანტურ კვერცხებს — ციხის ქონგურებს. ეტყობა,

უფრო გენეტიკური მახსოვრობის გამო, ფრინველ ლემისმჭამელებს აქ დაღვრილი სისხლის სუნი კიდევ უღიზიანებთ ყნოსვას.

ცის ოთხივე კუთხიდან, მომლოდინე მეთაურივით, ჟამი იყურება.

ჟამი — როგორი უსაზღვრო ტვეადობის სიტყვაა — წარსულის მოწესრიგებული ქაოსი.

სხვა რომელი მწვერვალის და კოშკის სიმაღლიდანაც არ უნდა გადმოიხედო, ეიფელის თუ პიზის, ჯომოლუნგმასი თუ კილიმანჯაროსი, იმას ვერ დაინახავს „ცოცხალი წიგნის“ ავტორი, რასაც ხორნაბუჯიდან. იმ ჟრუანტელს ვერ იგრძნობს, აქედან გადმოიზიარებს რომ წამოგაძახებინებს:

— ეს არის ბაღლი, შენი სამშობლო!  
ვის, ვის და, სიფხიზლისკენ მომწოდებელი ეს უკვდავი ფრაზა, პირველ რიგში „ცოცხალ წიგნებს“ უნდა ახსოვდეთ.  
ახლა კი, როგორც ზღაპარშია, ჩვენც ისე დავამთავროთ:  
„ელასა-მელასა,  
ჭიქა მეკიდა ყელასა.  
მთქმელსა და გამგონებელსა,  
ძილი გაამოთ ყველასა!“  
ვაჰ, კაცო, კიდევ ძილი?

## ზაზა მალულარია

### მინავ...

მიწავ, მშურს შენი... შურით კეთილით,  
(განა ეს ჩემი სულის მარცხია?)  
ზეციერებას ხარ მოკვეთილი,  
მაგრამ ღვთიური მადლი გაცხია.  
სად ცა, სად მიწა?! — იტყვის მაჟანი  
და ირონიით ჩაიქირქილებს...  
ვისთვის ხატი ხარ, ვისთვის სავანე,  
ხელში სკიპტრა და თავზე გვირგვინი.  
შენ სისადავეს სცნობ, არც ღალატობ,  
სარჩო ურიცხვი გიღირს აბაზად,  
ათანასწორებ ბრძენს თუ კალატოზს,  
თუმც სათანადოდ ვერვინ გაფასებს.  
შენ დუმხარ... არად გიღირს სათქმელი,  
რადგან თავად ხარ თავის უფალი,  
ამ პრიორიტეტს მიწყვი გართმევდნენ  
ჭკუა-გონებით „თავისუფალნი“...  
შენ არაერთხელ იხილე ომით  
გადაბუგული ვაზი... სახლები...  
გახსოვს კრწანისი, გახსოვს დიდგორი...  
გახსოვს დაცემა და ამაღლება...  
საუკუნეებს, ათასწლეულებს,  
თუნდაც ყოველ წამს — ბჭკარედს წუთისას,  
შენ იმეორებ და ასხეულებ  
ახალ ვარძიად, ახალ უბისად.  
კდეამოსილი ლაღად წევხარ (და



დრო გუნდრუკს გაკმევს — დამლა მდებელი)  
მტვერად მქცველი გარდატეხათა,  
მაგრამ ხელაზლა დამბადებელი!  
ღმერთმაც ხომ შენგნით შექმნა სვიანი

სახე ადამის — ხატად თავისად,  
 შეგასისხლხორცა ადამიანთან  
 და მის მემკვიდრედ გაგიტავისა.  
 ბევრმა გაგყიდა — უფლის ბარაქა,  
 მრავალ შენს ქომაგს მოსჭერეს მარჯვენა,  
 ბევრმა სიცოცხლე გიძღვნა ზვარაკად,  
 კაცობრიობის გადასარჩენად.  
 მენტა რაზმები მიწვივ გჭეკავდნენ,  
 არ შეუმკიხართ თაიგულებით,  
 სისხლს გზვრებდნენ, გულ—ღვიძლს გლევდნენ, გჯვავდნენ  
 ნერონები, თუ კალიგულები...  
 და თუ სხეული შემოგეფლითა,  
 გული მარადუამს გიღულს ზვიადად,  
 კვლავ ფენიქსივით დგები ფერფლიდან,  
 დაცემის შემდგომ უფრო დიადი!  
 კაცთა მოდგმათა ჭრელი ნიღბებით  
 წლებს მიუძღვები ღუნედ, ვით ხარი,  
 ამდენ ტვირთისგან რომ არ იღლები  
 მიწავ, როგორ არ მშურდეს მითხარი?!  
 ... აღარსადაა ჩინგიზ ხანი და  
 არც ქუფრიანი შაკ-აბასები,  
 ხორცს რომ გჯიჯგნიდნენ, გგლეჯდნენ ტანიდან  
 და სისხლს რომ ზვრებდნენ შენსას თასებით...  
 არც შოპენია, არც ბეთჰოვენი,  
 ფალიაშვილი... გაქრა ვაგნერიც...  
 შოთაც წავიდა... მოსე ხონელიც...  
 ყველა დამარცხდა... ყველა დაგებდა...  
 თითქოს სარკმელი ნისლმა მოჩრდილა,  
 მშობლებს წარსტაცა ძენი უკლებლივ  
 და წელთა რისხვას შერთო მორჩილად,  
 ვით გაყიდული მამულუკები...  
 შენ კი მარად ხარ — ქართლში... ირანში...  
 მთელს ღუნიაზედ შენ ფლობ სარბიელს...  
 მტვერად აქციე მზე, თუ ტირანი  
 და ერთ სივრცეში მიმოაბნიე.  
 შენს წიაღს ვერვინ ვერ განერიდა,  
 ყველას თავისი ეზლო ავ-კარგი,  
 ბედისწერა ხარ  
 ბედისწერიდან  
 ბედისწერაში გადანაქარგი.  
 მიწავ, როდესაც წასულთ ვიხსენებ,  
 ჩემში იშლები სხვა დედაენად,  
 მაშინ ეს ჩემი შურიც მყის ქრება  
 და მებრალეები, როგორც კაენი...  
 ... მხოლოდ იესო — „მწყემსი უბრალო“  
 ვერ დააჩოქე... კრახი იწვნიე...  
 მხოლოდ ჯვარცმული ქრისტე, უფალი,  
 შენს მარწუხებში ვერ მოიმწყვდიე!  
 ვერ გამოსცაღე მასხედ ძირძველი,  
 ესდენ მსახვრალი შენი სიმყარე,  
 ის ერთადერთი ვერ მოინგლე!  
 ის ერთადერთი ვერ დაიპყარი!  
 რადგან ერთია მხოლოდ ღმერთი და  
 შენი არსებაც ქვეყნად ერთია,  
 თქვენ ძალას იკრებთ ერთმანეთიდან  
 და წარმოადგენთ არსით ერთ მთლიანს.  
 ერთ სივრცეში ხართ, ერთ სათვალავში,

ერთი რიტმით ჟღერს თქვენი კლარნეტი,  
 ღმერთი იესო — ზეცის ბადაწმი,  
 შენ კი დეჰანის მთელი პლანეტის.  
 და მიწავ, როს „ის დღეც“ ჩათავდება —  
 ჩემი ცხოვრების მკაცრი ფინალი,  
 ერთს გთხოვ, დამიდექ ღმერთთან თავდებად,  
 რომ თქვენს სამსჯავროს შევხვედ მცინარი.  
 რომ თქვენს წინ წარვსდგე, როგორც ზვარაკი,  
 ვით სიცოცხლისთვის სწრაფვა უკმარი,  
 მძაფრი ცხოვრების იგავ-არაკი —  
 გზებს თაობებს რომ გადაუკვალავს.  
 და როს გავხდებით შენაერთები,  
 როცა შენს სხეულს ვიგრძნობ ლოდებად,  
 სული ტანჯული, ჩემო ღმერთებო  
 თქვენს მკაცრ განაჩენს დაელოდება...  
 ვიგრძნობ, როდესაც დავძლევ ამ ზღუდეს,  
 თქვენს მჩქეფარე სისხლს მკლავეში ვეჭურად...  
 ... და მერე მიწავ, დე სხვებს შეშურდეთ,  
 რაც სიცოცხლეში შენი მე მშურდა...

განთიადი

შეხე, ცის დისკო როგორ იპობა  
 და მზის წინწკალი მუნ ვით ენთება,  
 ითვლის წამით-წამს ლიპთა ლიპობა  
 და ბნელქმნილ ღამის შემოთენთება.  
 ღამის სიცვრეს, როგორც შეშლილი,  
 ცისკრის ამბოხი ნუსხავს, მზე დილის:  
 წმინდა გრაალის აზარფეშით  
 იღუძალება შემობრძმედილი.  
 დამე ეცემა, ვით ბოროდინო,  
 ქუჩებს აწყდება დრტვინვა ბოშების,  
 ცას სიახლეთა სხივი პოტინობს —  
 ცისკრის სურნელით შეზარხოშების.  
 დღე იბადება სულთან კირული,  
 უჟამკარობის ხუნდთა მტვერეველი,  
 დღე — მდუმარების ძილისპირული  
 და სიყვარულის ცეცხლის მფრქვეველი.  
 სულო, აღელდი და ცა გასერე,  
 კაპუეტით შეინაგარდე,  
 გასწვდი იღუძალს, ღვთიურ მთა-სერებს,  
 დაეშვი, ოლონდ არსად დაგარდე!

\* \* \*

ვუცქერ შენს სახეს და მართლაც მჯერა,  
 მშვენიერებას არ აქვს საზღვარი,  
 უსაზღვრო არის თვით ბედისწერაც,  
 რასაც გმობენ ან ხოტბას ასხამენ.  
 ვუცქერ შენს ხელებს, ნატიფს მტვენებით  
 (შეხებისას რომ თრთოლას იწყებენ),  
 თუკი ოცნებით აგედევნები  
 ნუ გამექცევი... ნურც გამიწყრები...  
 ვუცქერ, თუ როგორ ირხევა შენი  
 გრძნობის ამრევი ტანი კენარი,  
 ნაზი ღიმილი თუ როგორ გშვენის,

ასე უხვად რომ აფრქვევ ვერცელ არეს...  
 და როცა სუსხი მოგიაბობრებს,  
 შენს ტუჩ-წარბ-წამწამს ჭირხლით შეჰბურავს,  
 მზე გადმოსცურავს შენთვის მთა-გორებს  
 და შარავანდელს მოგფენს მეფეურად.  
 შენ რომ წარსულში გემოგზაურა,  
 თვალს მისწვდენოდი ჩვენი მგოსნების,  
 არ აცდებოდა ხოტბა ზღვაური  
 სასიქადულო ლირიკოსების!  
 ალს აპკურებდი ბედასლ დროებას –  
 სხივს შეჰმატებდი კრულს და უნიათს,  
 გალა მერის ეშხს არ იგლოვებდა,  
 ტიცინი კი თვის თამუნიას!  
 თუმც მე გაგბედე დღეს შენზედ წერა...  
 დაგნათლე ცის და მიწის კავშირი...  
 ახ, ნეტავ ვისი ხარ ბედისწერა –  
 გულს ვის უჩქროლებ ნეტავ ბავშვივით?  
 რადგან მზის სხივად მოდექ ჩემს ფაცხას,  
 უხილავი, თუ ხილულ ძაფებით,  
 ჩემი ცხოვრების მუხად შეგრაცხავ  
 და შენს სიტურფეს დავეწაფები!

**ოცნება**

მიყვარს ოცნებათ გონებაში შმაგი დინება:  
 შემოსარტყლული იდეალთა სერპანტინებად...

ექსპანსიური,  
 ექსცენტრული,  
 ზოგჯერ გლჰურიც:  
 აკვნესებული სალამურზე პირად ტეხურის...

მიყვარს ხილული, უჩინარი, მძაფრი, მარტივი,  
 ხანაც ნოემბრის ტაროსივით, ხანაც მარტივით  
 ზოგჯერ წუპაკი... უხიაკი...  
 ზოგჯერ ავხორცი  
 (აქ ოცნებებმა ერთმანეთი ქიშპით დახოცეს)...

მიყვარს ოცნება მოსხლეტილი, ვითარც გავაზი,  
 დაუოკებელ ქროლის ჟინს რომ სინით გათავაზობს...  
 ისიც, ქაჯს რომ ჰგავს:

სულაბურძგვნილს, გრძნობააჩეჩილს,  
 პენტაგრამათა ფოლიანტებს რომ მოგაჩეჩებს...

ყველა ოცნებას სიშლევე და ზვავი სჩვევია  
 და ერთურთისგან თითქოს არ რით განირჩევიან...

მათში სიკერპე, სიდიადე იგი არსია,  
 რისთვის მრწამსაც კი უკუაგდებ, გვემას აიტან,  
 თუმცა ახდენილ ოცნებასაც რალა ფასი აქვს:  
 რასაც ელტვოდი დაიპყრობ და მორჩა... ჰაიდა...

მე მხიბლავს სახე მეოცნების,  
 როს ვჭვრეტ დღევრემილს,  
 არახდენილი ზმანებებით ნატანჯ-ნაგვემის,

ვინც შეუცნობლად დაბანაკდა ვნების ყორესთან  
 და სული თვისი შეურყენელი მასში მოლესა...  
 მე პატევს ვაგებ ყოველივე სალუქს, უმართავს  
 და შენც ქართველო, ცნება ესე გულს დაირახტე: –  
 მას გაუმარჯოს, ვის ერთხელაც არ გაუმართლა –  
 არახდენილი ოცნებების მეზაირალტრეს!

**სისხლის მორევში...**

*(ძღვენება აფხაზეთის დაცემის ოცდამეხუთე წლისთვის)*

სისხლის მორევში მორიალე გედი ხარ ნორჩი,  
 შეღებლილა ალისფერად შენი მანტია...  
 ცრემლში იხრჩობი მოყვრისაში და მკვლართა მძორში...  
 წყალი გწყურია...  
 არვის მოაქვს...  
 ყველა ზანტია...  
 არავის ესმის გულსაკლავი მღერა გედისა,  
 სულთმობრძავისთვის ემეტება არვის ფერება...  
 შენ სიკვდილისთვის მიუნდვიხარ წერას ბედისას,  
 ბედის, რომელიც გაპირდებოდა არდაბერებას...  
 შენ ძმათა სისხლში მოცურავე სპეტი გედი ხარ,  
 შენთვის ამ წუთას არც ქრისტეა და არც ალაჰი,  
 ბოლო წვეთამდის შეანთხიე სისხლი ბედ-იღბალს,  
 თუმც მირონცხების საპირწონედ გეზლო ტალახი...  
 ჩამოიქუფრა არემარე...  
 ზეცას მონაცრულს  
 კვლავ წაეკიდა მეხთა ჭექა, ცეცხლით ნაჭედი...  
 შენ კი კვლავ სისხლის მორევს არღვევ,  
 შენ კი კვლავ ცრემლის მორევს არღვევ,  
 შენ კი კვლავ ცეცხლის მორევს არღვევ...  
 გთხოვ, არც გაჩერდე!

**გვირაბის ზოლოს თუ დგას ნათელი**

გვირაბის ბოლოს თუ დგას ნათელი,  
 იმ ნათელს ღმერთი ჰქვია უცილოდ...  
 სჩანს, ბევრი ღამე თეთრად ათენე,  
 თეთრად აღამე მწუხრი უძირო...  
 ახლის გაჩენა უფლის წესია,  
 რითაც საზრდობს დღეთა დინება  
 და ყოველ მრწამსზე უმტკიცესია  
 მისი გაფურჩქენა და გაბრწყინება.  
 უმთავრესია გერქვას სახელი:  
 პირველი – სიყრმის,  
 მეორე – საქმით  
 უსასტიკესად ნაჯაფ-გახედნილ  
 ქვემეგრდომს რასაც ცხოვრება გარქმევს.  
 სულაც რომ თავთან დარჩე ეული,  
 არ შეეუო ბედთან კორიდას,  
 გზა ჭეშმარიტი და ღირსეული  
 გამოარჩიო უნდა ორიდან...  
 და ვით თემისის მკაცრი სასწორი,  
 ვით შაითანთა მაცდური კასტა,  
 ერთი გზა ღმერთთან გაწონასწორებს,  
 ხოლო მეორე გამრუდებს მასთან...

გინდ ავი გარქვან, გინდაც ტარიგი  
 (სულს მიათრევედ თუნდაც წვალებით),  
 სახელისაგან გრჩება თარიღი —  
 დაბადების და გარდაცვალების...  
 და თუ სავალი ოფლით გათელე,  
 სათნობაზე არ თქვი უარი,  
 გვირახბის ბოლოს თუ სჩანს ნათელი,  
 ფორთხვით მიაღწევ, ბიჯით თუ არა...

**ზვიად გამსახურდიას მონოლოგი**

იყო... არა იყო რა... და ზღაპარიც დასრულდა...  
 არ დასცალდა გაფურჩქვნა მამულს, ტანჯვით დაოსილს...  
 სტოიციზმით აღვსილი ვეთხოვები წარსულს და  
 ვიძირები მომავლის უნაპირო ქაოსში...  
 რაც წმინდაა, იმას ვთმობ(ვიცი, დამგმობს ჯვარცმული,  
 ვინაც რწმენა ჩამიდგა და ერისთვის მაცხოვრა)...  
 რადგან სული წარმტაცეს იმედშემოდარცვული  
 და ნათხოვარ იმედით რაღა ვარგო მაცხოვარს?!  
 დაცემულის გათელვა ძველთაგანი წესია,  
 დაცემულის ნუგეში კი რჩეულთა სასჯელი,  
 როცა კალაშნიკოვით სულში ტყვიას გეგვრიან,  
 უღიმღამო სიცოცხლეს აღარც უნდა დასჯერდე...

ოცნებებით დაჭრილი, უსახლკარო გზირი ვარ,  
 ჩემს ჯინაზე ღრუბლებმაც დარაბები დახურეს,  
 ანგლოზის მომტვრეულ ფრთებს ვიგლეჯ და ვტირივარ,  
 ხოლო ეშმა დონიჯით, ნიშნისგებით დამყურებს...  
 ყველაფერი ჩაცაკვდა... ყველაფერი დასრულდა...  
 სიმარტოვის სარკეში ღამე უღრენს თვის სახეს,  
 მალე ღმერთსაც განდევნის ჩემს ხსოვნიდან ავსული,  
 მიწას თუ არ დავეშვი, თუ არ გარდავისახე...  
 ცხოვრებიდან არარა არ იშლება მყისიერ,  
 დავიწყებით წარსულის არაფერი მთავრდება,  
 ყოველივე ახალი ძველის დასაწყისია,  
 ყოველივე ძველი კი ახალს უხმობს თავდებად.  
 ღმერთო, უკან გიბრუნებ ყალამსა და საჭრეთელს  
 და დაჩონჩხილ სამშობლოს გულთან ერთად გთავაზობ,  
 რომ მის დამზრალ ძარღვებში სისხლი კვლავაც აჩქეფდეს,  
 რომ კვლავ მედგრად გაიხმას „საქართველო ლამაზო!“  
 თუკი ჩემი სიცოცხლე საკმარია სავსებით —  
 გამოფხიზლდეს მამული, განწირული რულისთვის,  
 ტრაგიკული არსებით  
 ვერტერს დავემსგავსები,  
 ოღონდ „ერთის“ კი არა — ერის სიყვარულისთვის!  
 გთხოვ, ეს ძღვენი უფალო არა... არ იუარო...  
 მე ჩემს ყოფას ჩემთავად გამოვუტან განაჩენს,  
 რომ მამულის ხსოვნაში ერისკაცად თუ არა,  
 ერთ უბრალო, შეწირულ შვილად მაინც გადავჩქე...

**შმაგი ჭინჭარაული**

\* \* \*

თან წარმიტანე, გვედრებ ზღვაურო,  
 ძმობას გაფიცებ, აქ ნუ დამტოვებ!  
 ეს გულიც ისე ვეღარ ხმაურობს,  
 მკლავს მწუხარება და სიმარტოვე.  
 გემუდარები მარგუნე, ცაო,  
 დაგვალულ მინდვრებს წვიმად მაპკურე,  
 დედაო მიწა, დასალოცავო,  
 წყურვილს მოგიკლავ, რომ დამაპურე.  
 შენ მაინც მიძმე, კავკასიონო,  
 ნუ დამამადლი ამაყ ჭიუხებს,  
 ნუ დამამადლი დედა-ბინების  
 მშვენიერების ულევ სიუხვეს.  
 კვლავინდებურად გელტვი, ქარაფო,  
 ჩემი ტანჯული სული განაცხე.  
 შემირგე, ჯიხეთა სააგარაკო,  
 დაბლა ჩანჩქერად ჩამომანარცხე.  
 მზეო, მინდა, რომ გავხდე უხოროცო,  
 მზეო, ოცნების ქალის სადარო,  
 იქნებ შენ მაინც შემისისისხლხოროცო  
 და ცივ გულებში სითბოდ მატარო.



აღოზნის ხედი ჩემი სოფლიდან

მზე ცის ტატნობზე სისხლისფრად იწვის  
 და მიწას ვარდის სურნელი მოსავს.  
 შეკვივლებაა ცისა და მიწის,  
 როდესაც მუზა წალეკავს მგოსანს.  
 ცადატყორცნილი ხე — გიგანტები  
 უაღერსებენ ერთურთს ჩრდილებით,  
 ჩამოწყობილან მთების კალთები,  
 დალალებივით ჩამოშლილები.

თითქოს მოკლე გზა ედოს ალაზანს,  
 მიიზღაზნება ისე რონინით.  
 ისე დინჯი და ისე ლამაზი:  
 თითქოს პოეტის გამოგონილი.  
 შორს საინგილოც შესულა თვალში,  
 იქაც ბიბინებს მწვანედ ჯეჯვილი...  
 გასხვისებული ობოლი ბავშვი,  
 დედის გულიდან ამოგლეჯილი!

\* \* \*

ზოგისათვის ეს ცხოვრები მხოლოდ ერთი წამია,  
 ზოგისათვის მთელი ყოფა უკუნეთი ღამეა,  
 ზოგისათვის რომანია ცრემლის ზვირთთა დინება,  
 ზოგისათვის უცაბელი ქვეყნად გამობრწყინება.  
 ზოგისათვის — მოთხრობაა, ნოველების კრებული,  
 ზოგისათვის — ლეგენდაა ლექსად აფეთქებული.  
 ზოგისათვის — სტროფია და ზოგისათვის — სტრიქონი,  
 ზოგისათვის — წამებია, მთელი ქორონიკონი.  
 ზოგის ყოფა ყინვაა და ზოგის მზეა თაკარა.  
 ზოგის — გვემა-გოდებაა, ეულ სულთა ძახილი;  
 ზოგის — შხლა-შერკინება, ამოწვდილი მახვილი;  
 ზოგისათვის — დილემაა, სულ შენება, შენება.  
 ზოგის — ერთი შეკვილება, ერთი გადაჭენება.  
 გაუმარჯოს ჩვენს ცხოვრებას, ბოლოს მაინც წამიერს.  
 ვიყოთ, გვწამდეს და გვჯეროდეს,  
 ამინ! მრავალჟამიერ!...

\* \* \*

ცა ნელ-ნელა მოიღრუბლა და ჩამოწვა ბინდი.  
 ხოლო მთვარე ცის კიდეზე ჩამოხრჩობილს ჰგავდა.  
 მოგვევლინა კიდევ ერთი ზამთრის ღამე დიდი,  
 უცებ ცაზე გაიჭიმა ღრუბლის თეთრი ფარად.  
 მე ვიდექი მარტოდმარტო, ნელი ქარი ქროდა,  
 ღამე იყო თეთრზე თეთრი, თოვდა, თოვდა, თოვდა...  
 მიჰყვებოდა პირველ თოვლზე შენი ფეხის კვალი,  
 ღამე იყო ისე ნაზე, როგორც პატარძალი.  
 ვიდექი და ისე მწვავდა შენი ტრფობის ალი,  
 თოვლის ფიფქებს ვეხვეოდი შენი ზიბლით მთვარალი.  
 მე შენს ზილვას ვოცნებობდი, გული შენ გიხმობდა,  
 შენს ნაკვალევს გამოვყევი, თოვდა, თოვდა, თოვდა...

\* \* \*

არ კვდება სული ობლად მთენილი,  
 კიდევ აცოცხლებს მუხა საშური.  
 გრძნობა — გულიდან გამოდენილი,  
 აზრი — გონიდან გამონაჟური.  
 ვებრძვი ცდუნებებს, როგორც ფაუსტი,  
 ო, გადარეულ ცდუნებებს ვებრძვი...  
 და მეფისტოფელს თუ ვერ დაუხსნლტი,  
 მიწამ შემჭამოს ეშმაკის კერძი!...  
 ვინძლო გონებას უხმოთ მაშინვე,  
 თუ ვერ გაუძლო გულმა ცდუნებას!

პოეტები ვართ და არ გვაშინებს  
 ერთხელ წასვლა და არ დაბრუნება!

### იასამნები

ისე დამათრობს თქვენი სურნელი  
 და დამედება გულზე მაღამოდ,  
 ვით სანუკვარი ქალის სურვილი.  
 იასამანო, იასამანო!  
 თავბრუს მახვევთ და სატრფოს მაგონებთ,  
 იასამნებო, სანამ დაჭკნებით.  
 ერთხელაც მოვალ, იმდენს გაკოცებთ,  
 რომ სულ ბაგეზე შემომაკვდებით!

### მაისი

მეჩურჩულება ნათელი ღამე,  
 იღუმალ ზღაპრებს მიყვება ტვერი.  
 სივრცეს რონინით მიაპობს მთვარე  
 ყოვლისშემქმნელის ნაღდი შედევრი.  
 ღამის მეჯლისი ჰქონდათ ვარსკვლავებს  
 და ჰარმონია სუფევდა სრული.  
 მიუყვებოდი მთვარის ნაკვალევს  
 და ცაში გაჭრას ღამობდა სული.  
 გზამარას გვერდზე მიუყვებოდა  
 იასამნების მთელი ამქარი.  
 იწვებოდა და არა ქრებოდა  
 ციციანთულა მიუსაფარი.  
 თავი მოიკლა რევერანსებით,  
 დაგვეშვიდობა კეკლუცი მთვარე.  
 გრანდიოზული იყო სავსებით  
 დაუვიწყარი მაისის ღამე.  
 გააცისკროვნებს ზეცას აისი,  
 ებაასება თელას ჭადარი.  
 მოაქვს სურნელი „გლეჯავს“ მაისი  
 ულამაზესი ქალის სადარი.  
 დილით მზე ღრუბლის ფთილებს ართავდა,  
 ათქვირებული ყეფდა მაისი.  
 იდგა ბერძუნა თავის ამქართან,  
 იდგა მეფური სიდარბაისლით.  
 მიუყვებოდი მყუდრო ხეივანს,  
 გულ-მკერდს მიშვერდნენ ქვაფენილები.  
 თოვლის ბარდანებს მოგაგონებდათ  
 ხეები თეთრად დაფერილები.  
 მთის სიოს ჰანგზე ღალად იმღერდნენ,  
 შედევრებს ჰქმნიდნენ იადონები.  
 გეღები ყელებს ისე იღერდნენ,  
 როგორც ნამდვილი პრიმადონები.  
 იფურჩქნებოდნენ ვარდის კოკრები,  
 ყველგან გრაცია დაგოგმანებდა.  
 ლოდები, როგორც ლომის ბოკრები,  
 გარინდებული თვლემდნენ ჭაობთან.  
 ზღაპრულ დემონებს ემსგავსებოდნენ,  
 იძურწებოდნენ ღრუბლის ფთილები.  
 ბიჭუნებს ურცხვად ეტმასნებოდნენ  
 ცის კაბადონზე ქალიშვილები.



## ჯემალ მესრიშვილი

### „ომონების წიხე-კომქები“

**რა მწარედ ცდება, ვინც ფიქრობს: ჭკუა-გონების გამოჩენით საზოგადოებას თავს მოაწონებო. პირიქით, ადამიანების უდიდეს უმრავლესობაში ეს თვისება სიძულვილსა და გაბოროტებას იწვევს.**

**არტურ შოპენჰაუერი (1788-1860)**

ეს ძველისძველი, თანაც ნებაზე მიშვებული ტყეპარკი შუახნის მხატვრისთვის სულმოსათქმელ კუთხესა და შთაგონების აღსადგენ წყაროს წარმოადგენდა. ხელს თუ არა უშლიდა რა, ყოველ დილა-საღამოს, ზოგჯერ კი, თავის პატარა სახელოსნოში მუშაობით გამოფიტული, სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად იქ შუადღისასაც გადადიოდა ხოლმე. თანაც ეს არანაირ სირთულესთან არ იყო დაკავშირებული. შინიდან გამოსული, ორიოდ კორპუსსა და უფასო კვების სასადილოს უკან მოიტოვებდა, ავტოსტრადას გადაკვეთდა და ცოტა ხნით ჩამდუმარებული ტყეპარკის ნებაყოფლობითი მძევალი ხდებოდა. მაგრამ...

ამ დილასაც, როგორც კი ტყეპარკში თავი შეეყო და ერთმანეთში ტოტებგადაკვანძილი მუხნარი გალია, თვალი შორიდანვე გაუწვდინა ერთ აწოწოლაგებულ ფიჭვს, ბუნებრივი ფლუგელის მაგივრობას რომ უწევდა: მრხეველი სუსტი ნიაჰი მტაცებლის ნისკარტივით მოკაუჭებულ ფიჭვის წვეროკინას კომპასის ისარივით აწვალებდა... ღამით თანაბრად ჩამონამული ხეები თითქოს მოთმინებით იცდიდნენ, როდის შეაძრებოდათ სისველე! თუმცა როგორ უნდა შეშრობოდათ – მნამაჰი თქორი ახლაც ცრიდა!..

წლევანდელი წელი რაღაცნაირი უქმურობით გამოირ-

ჩეოდა. აქა-იქ ჩაგლეჯილი ღრუბლებიდან ჟამ-ჟამად გამოჭვრეტილი მშიშარა, უსითბო მზით გულმოცემული გაზაფხული ვითომ თავისებურად შეფხუკიანებას ღამობდა, მაგრამ ბაიყუში ზამთარი ფენს არ იცვლიდა! წესით ამ დროს შვინდები მაინც უნდა გადაყვითლებულიყო, მაგრამ შვინდებს ვილა დაეძებდა – ჯიბრიანმა სუსხიანობამ ხეებს ჯერ კოკორიც არ გამოატანინა!..

გზიდან გადახვეული მხატვარი მოუთმენლად, თუმცა მოგონილი გულგრილობით ვითომ ალაღბედური მიმართულებით მიაბოტებდა ბლაუჭა ბარდებს შორის, ვინმეს ეჭვი რომ არ აერთვა – ეგეთი დამიზნებით მანდეთ რისთვის მიდისო!

გუშინ დილას ბარდნარის სიღრმეში შემთხვევით ერთი ისეთი ჯუჯა გრაკლის ბუჩქი შენიშნა, შემოქმედებითი აღმაფრენისაგან მაშინვე დაიმეხა, მაგრამ თავისებურად ვეღარ დააკვირდა! მოახლოებული მოსეირნების შიშით იმ ჯაგეკლიანს გულგრილად გაეცალა, რადგან გამოცდილებით იცოდა: რაც შენში დაუოკებელ ინტერესს აღძრავს, სხვას კი ეს არ ესმის, უმალ ბოროტდებიან და თუკი შესაძლებელია, მაშინვე ანადგურებენ! იმ საოცრების განადგურებას კი რა უნდოდა: ჯოხის ერთი-ორი გადარტყმა ან სქელლანჩა ბოტასიანი წიხლის კვრა და მორჩა – ნაკვალევიც აღარ დარჩებოდა! თუმცა, ვინ იცის, იქნებ იქ შემთხვევით შეფრთხილებულმა ჩიტებმაც მოსპეს! ან თავისითვე...

არა, შემოქმედის ბედისწერამ მაინც რა სახილველით დააჯილდოვა! გრაკლის ტოტებში ერთმანეთის ახლოახლოს, თანაც სართულ-სართულ ობობებს იმხელა და ისეთი ძაბრისებური, მჭიდრო ქსელები გაებათ, მომავალი ნახატი და თვით მისი სახელწოდებაც კი ელვისებურად დაებადა – „ობობების ციხე-კომქები!..“ თუ გაუძარტლებდა, ვან გოგის „მხესუშნირებისნარი“ რაღაც უნდა გამოსვლოდა, ანდა... თუმცა ყველაფერი შთაგონების შენაგარდებასა და ლაგამამოდებულ დაკვირვებაზე იქნებოდა დამოკიდებული!

ნახატი უნდა ყოფილიყო სადა და პლასტიკური!.. ოღონდ უნაკლო რაკურსის შესარჩევად ახლოდან დაკვირვება იყო საჭირო!.. ან მის ბუნებრივად გადმოსაცემად რომელი ხერხი უფრო გაამართლებდა – ხაზობრივ-სიბრტყობრივი თუ მოცულობით-სიღრმისეული!.. თუმცა ეს ერთი და იგივე იყო! მთავარია...

როგორც მუდამდღე, ტყეპარკის შუაგულში ახლაც მოულოდნელად ატყდა ერთმანეთში არეულ-დარეული ძაღლების გააგებული ყეფა-ღრენა... მალე ამაჰი პატრონის მიერ წიხლნადრუში ძაღლის წკავწკავ-წკამუტუნიც გაისმა...

უღვედოდ და უალიკაპოდ გამოყვანილი ძაღლების მფლობელების გამომწვევი უნადვლელობისგან აქ მოსეირნე მასიველებს სიცოცხლე ჰქონდათ გამწარებული, მაგრამ რა უნდა ექნათ – ძაღლის პატრონები არავის ჩივილს აინუნშიაც არ აგდებდნენ!..

ძაღლების მედგარმა ყეფა-ღავლაჰმა მხატვარს აბრეშუმის ძაფით გაუწვევითა მღელვარე ფიქრი და თვითონაც იმ ძაღლებზე უარესად აედრინა გული! ოღონდ ამხელად საკუთარ თავზე – რამდენი ხანია აპირებს ერთი ბარაქიანი კეტი თვითონაც გამოეჭრა, მაგრამ ვერა და ვერ დააყენა საშველი! ვერა, აგერ, რა ამბავი ჰქონდათ – გაელა-გამოვლა არ გინდოდა?!

ნავარდსა და ერთმანეთს დანატრებული, თანაც ამძუნებული ძაღლების ყეფა-ღმუთუნი უფრო მატულობდა. რომელიღაც ხმაგამძლე ვაჟბატონის კორდიანი ბრძანება ყველას შიშით ახედებდა იქითკენ.

— მოდი აქ!.. მოდი აქ-მეთქი!..

— როკი, როკი!.. თავი დაანებე, შე საძაგელო! — ის-მოდა ძაღლიან კაცებს ამ ბოლო ხანებში საეჭვოდ ატორღიაღებული ბულდოგიანი ქალის თვალთმაქცური წივილი-კვილი, — ტოგო, შენ როგორმე ეგ გაათრიე, ამას მე თვითონ მივხედავ, — როკი, როკი!.. მე შენ გიჩვენებ!..

საქმეგაჩენილმა პატრონებმა ახლაც დააცალკევეს იმოდენა მოჩხუბარი ძაღლები. ისინი ისე შორს იყვნენ, მათგან რაიმე ხიფათი არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ მხატვარმა მაინც გეზი გაიმრუდა და მთავარი გზიდან ნეკერჩხლის კორომის შემოსაბრუნისკენ დაუხვია, რათა თავიანთი მოვლილი ძაღლებით ჯერ ტყეპარკის ქედმაღალ მბრძანებლებს გაეველოთ!

კორომს რომ დაუმხარდამხარდა, უკანიდან წამოპარებული ძაღლი ეცა და გულმკერდზე აეტოტა.

— მიშველეთ! — შეიღრიალა მხატვარმა და პირისახეზე ხელები აიფარა, ყანყრატოში რომ არ სწვდომოდა. ელვისებურად მიხვდა, წინააღმდეგობის გაწევა ძაღლს უფრო გაააყვებდა. თან იგრძნო რა შეუპოვარი ძაღლის გასაკვირი სიძიმე და ძალ-ღონე, არამცდაარამც არ უნდა წაქცევიებოდა, თორემ... — მიიიშვე-ლეთ!

გახალისებული ძაღლი არ იკბინებოდა. უკან-უკან ბარგანობით დახეულ მსხვერპლს ფეხდაფეხ მისდევდა და გულმკერდიდან ტორებს არ აშორებდა — ცხვირ-პირში ღორბლსა და ცხელ ოხშივარს აფრქვევდა და შემოგებებულ თითებს დინგით ისე იცილებდა, თითქოს ამ უცხო კაცის გადაკოცნა დაუვალედათ!

— ჰე, ჰე, ჰე! — ატყდა ერთი წიოკობა და განწირულის ირგვლივ უმაღ შემოგროვდნენ ჯოხიანი და უჯოხო მოსეირნეები. ერთ-ერთმა მათგანმა, ცხვირჩაჭყლეტილმა კაცმა ძაღლს თეძოში ჯოხი გამეტებით უთავაზა. თავის მსხვერპლს ძაღლმა ახლა კი თავი ანება, ბოლომომწვარ ჯოხს გააყვებით სწვდა და ღრღნა დაუწყო.

— ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ! — გამამხნევებელი სიცილით მოვარდა ძაღლის პატრონიც. იგი ოცდასამიოდე წლის შავშუბლა ქალიშვილი აღმოჩნდა. თავის ძაღლს ქეჩოში ჩააფრინდა, ჯოხს პირი გააშვებინა და წრიდან გაათრია.

— მიგიყვანო შინა, რას გიზამ! — ძაღლს ყურში აღერსით შემოუწკაპუნა და ზეზელა მიცვალებულს დამსგავსებულ უცნობს, დადობლილ სახეს ცხვირსახოციით რომ იწმენდა, ისევ სიცილ-სიცილით მიუტრიალდა, — ტყუილა შეშინდით — ჩემი ძაღლი არ იკბინება!

ამასობაში წელან ერთმანეთთან მოჩხუბარი და უკვე შერიგებული ძაღლების პატრონებიც მობრძანდნენ და გამომწვევად შედგნენ თავ-თავიანთი ძაღლებიანად. ოღონდ არა დაზარალებულის გამოსასარჩლებლად ან ვითარების გასარკვევად! ეს დაგვიანებული შავშუბლაც მათი მარაჟის ახალი წევრი გამხდარიყო და ზედვე ეწერათ — თუ საჭირო გახდებოდა, მზად იყვნენ, განუკითხავენ წაჰქომაგებოდნენ!

— რომ იკბინებოდეს, ხომ გიკბენდათ კიდევ, არა?! — გაქვავებულ მხატვარს რაღაც შტერულად გაუმეორა მომხრეთა გამოჩენით გულმოცემულმა შავშუბლა ქალ-

იშვილმა, — ჩემი ძაღლი არ იკბინება!

— აბა, სამადარიჩოდ მქონია საქმე, ყელის გამოღადვრას რომ გადაგრჩენილვარ! — გადაფითრებულ სახეზე მხატვარს სწეულმა ღიმილა ხოჭოსავით გადაუარა, — მე აქ ცდისპირი კი არა ვარ, ეს ვაზუსტო — ვისი ძაღლი იკბინება და ვისი — არა!.. დაკბენასაც თავი დაანებეთ — ელდისაგან კაცს შეიძლება გული გაუსკდეს!.. ამაზე გიფიქრიათ ოდესმე?!

გადაფითრებული უცნობის ნაბჭობს დაძაბული მოსეირნეები თავის მხურვალე კანტურით ადასტურებდნენ.

მეძაღლეებიდან ერთი ტანმოქნილი, კადნიერსიფათიანი მუტრუკი მხატვარს წინ ფალავურად წარუდგა და აგდებულ კილოზე ჩამოუძარცვლა.

— არა, ტო, ხო გეუბნება, ჩემი ძაღლი არ იკბინებაო და მეტი რაღა გიყოს, ჰა?!

— კი მაგრამ, აქ მოსიარულეებმა როგორ უნდა გავიგოთ, რომელი ძაღლი იკბინება და — რომელი არა?! — ორჭოფულად შეუტრიალა მხატვარმა, — მაშინ რა გამოდის — თქვენი ძაღლების ფერადი ფოტოსურათების პატარა ალბომები უნდა შემოვიღოთ და ტყეპარკში გაშლილი ალბომებით ვიაროთ: ო, ის ძაღლი იკბინება და უნდა მოვერიდო!.. აი, ეს ძაღლი კი არა და შემიძლია მშვიდად გავიარო!.. თან დროთა ვითარებაში თქვენი ახალ-ახალი ძაღლების ფოტოსურათები ვცვალოთ და თითოეული მათგანის ზნე-ნირიც ჩავიწეროთ, რათა...

მოსეირნეებს დამცინავი სიცილ-ხარხარი აუვარდათ და ძაღლების გაპირქუშებულ პატრონებს გამომწვევად დაუწყეს ყურება — წუპაკი თავგებივით ხომ გამოთხარეთ კატაო! მაგრამ ნიშნოგებულები მაინც არ აპირებდნენ ფარ-ხმლის დაყრას.

— შენ ეხლა იგეთ რამეებს გაიძახი... — მხატვარს გულმშრალად შეაწყვეტინა ერთმა ტურჩებამობრუნებულმა მეძაღლემ, — ეს გოგო გასაგ...

— რატომ არ გინდათ, გამიგოთ, — შავშუბლა მაინც თავისი აზრის გაყვანას ლამობდა, — ეს ლაბრადორის ჯიშისაა — უბრალოდ, გაგეთამაშათ!

მხატვრის თავშეკავებულმა ამოოხვრამ უნებურად გახაზა ამ შავშუბლა ქალიშვილის გონებაშეზღუდულობა.

— გესმით, გაიგონეთ — გაგეთამაშაო! — მხატვარმა ჯერ გარშემორტყმულ მოსეირნეებს მიმართა, მერე კი ისევ შავშუბლას მიუბრუნდა, — კი მაგრამ, იმას აღარ კითხულობთ, მეც მსურდა თუ არა მასთან თამაში?! ძაღლთან თამაშის წუთისოფელი რომ მქონდეს, მე თვითონ გავიჩენდი!..

მხატვარი წამით დადუმდა და ცოტა მოშორებით, წელან ნაჩხუბარ, ახლა კი ერთმანეთთან შეხმატკბილებით მოთარეშე ძაღლებისკენ — შავშუბლას ლაბრადორიც მათ შორის უკვე კამარა-კამარა რომ დანაუარდობდა — ჯერ სვედიანად გაიშვირა ხელი, მერე კი თითი სქლად ჩამოლაფულ ბრეხენტის საწვიმარზე დაიდო, — ყველა მათგანი ყოველდღე ასე რომ გამეთამაშოს, ტლაპოში ამოვლებულ ჩურჩხელას არ დავემსგავსები?!

ნალად შემომდგარ მოსეირნეებს ხელახლა აუვარდათ ხალვათი ხარხარი. მათ ზედვე ეტყობოდათ — ეს კაციც სწორედ იმას ეხებოდა, რაც ღიდი ხანია, თავადაც აწუხებდათ, მაგრამ მათ ამგვარად ჩამოყალიბება და გადმოცემა არ შეეძლოთ! ეს კი ადგილიდან ფეხს არავის აცვლევინებ-

და! პირიქით, დაგვიანებით გამოსული მოსეირნეებიც ემატებოდნენ და ემატებოდნენ – თან თავის მიტრიალ-მოტრიალებით ხმადაბლა კითხულობდნენ, რა ხდებაო!.. ბოლოს ვიღაც მიხვდა და პირიდან პირში ჩურჩულით გადადიოდა – მგონი ეს „ის მხატვარი“ უნდა იყოსო!

ძაღვების პატრონებს გულ-მუცელი ეძღვრებოდათ არა იმდენად ნაიძულევ ორატორზე, რამდენადაც მისი მსჯელობით მოცინარ მსმენელებზე.

– ამას აღარ უკვირდებით, – მხატვარმა შეშუბლას მორიდებით გაუგრძელა, – შინ ყოველდღე ასეთი ამოგანგლული რომ დაგზრუნდე, მყავს გამრეცხავი?! დრო?... ენერგია?... ამდენი სარეცხის საშუალების ფული?... ანდა, აქედან იქნებ პირდაპირ საქმეზე ვიყავი წასასვლელი, გამოსაცვლელი კი არა მაქვს, მაშინ?!

მხატვარს სახე მოეღრუბლა და ლაბრადორის პატრონის ყოყმანით გახედა.

– ან რა მოუხერხო იმ შეურაცხყოფას, რაც წედან მომაყენეთ?!

შავშუბლამ თვალდაცეცებით იკითხა.

– ვინა, მე?! რა შეურაცხყოფა მოგაყენეთ?

– ახლავე აგიხსნით, – მხატვარმა იმ ყაიდაზე მიუგო, ქალიშვილს ეს საწყენად არ უნდა დარჩენოდა, – თქვენთვის სრულიად უცნობი კაცი ტყეპარკში ჩემთვის მივსეირნობ, თქვენ კი დამცინავი კვილი-წვილით „ნუ გეშინათ, ნუ გეშინათ!“-ო გამორბიხართ და ყველა ჩემკენ მოახედეთ – ვინ არის ეს მშიშარაო! ჰოდა, ერთი ამიხსენით, თქვენ ვინ დაგავალათ – აგერ, იქ ვიღაც კაცი რომ მიდის, ერთი გამოსცადეთ – მშიშარაა თუ გიჟივით მამაციო?!

მსმენელები კვლავ ახარხარდნენ. მხატვარს უნოროდ გაეღიმა და განაგრძო.

– ვიღაცის ამხელა ძაღლი მოულოდნელად ზედ რომ შემომგარდა და კინადამ გადამაქცია, თან ენას ცხვირ-პირზე მისვამდა, ცხადია, შემეშინდებოდა, მაშ, რა მომივიდოდა?! აბა, თქვენებურად რა უნდა დამმართოდა – ხელები ჯიბეებში არხეინად ჩამეწყო და ყელი მომეღერებინა, სასულე ამომფათროს-მეთქი?!

მხატვარი წამით ჩადუმდა.

– სხვა გრძნობების მსგავსად შიშის გრძნობაც ხომ ღვთისგან გვაქვს დანათლებული და რა არის ამაში დასაცინი?! ეს გრძნობა რომ არ გაგვაჩნდეს, ადამიანს როგორ უნდა ეარსება – იგი მთის დაკლაკნილ გზაზე მიმქროლავ უმუხრუჭებო ავტომობილს არ დაემსგავსებოდა?!

მეძაღვლებს ერთი თავშიშველა, ქოჩორდანამული ჯმუხი გამოეყო და მხატვარს ძველბიჭურად გაეჭიმა.

– არა, აღარ გაჩერდები?! ეს საწყალი გოგო ხო არ უნდა გაანადგურო, ჰა?!

– არ კი უნდა გავანადგურო, პირიქით, როგორმე იქნებ თვალი ავუხილო! – მოჭრილად მიუგო მხატვარმა, შავშუბლას მიეახლა და ყველას მოულოდნელად მხარზე მამაშვილურად გადასლო ხელი, – ყველას გაფიცება, ერთი გულახდილად მითხარი – ეგ შენი ძაღლი ღვედითა და ალიკაპით რატო არ დაგყავს?

– უჰ, მარტო მე დამინახეთ!.. აბა, ასე ვის დაჰყავს, მე ვატარო! თან...

– შენ სხვებს რას უყურებ?! ვინმე რომ დაგლიჯოს,

ხედებით, მერე რა დაგიჯდებათ მისი მკურნალობა?!

– ჩემი ძაღლი არ იკბინება!

– ვააჰ!.. თქვენ მაინც თქვენსას იმეორებთ! ასე თუ შევეყვით, კამათს ვერასოდეს დავასრულებთ!.. კეთილი, ეგ შენი ძაღლი თუ არ იკბინება, საკუთარი თავი მაინც როგორ არ უნდა გებრალეობდეს?!

– მებრალეობდეს?!.. რატომ? რისთვის?

– მაგასაც აგიხსნი! – მხატვარმა ქალიშვილის მხრიდან ხელი ჩამოიღო და სახე ყოყმანით შეუღება, – ოღონდ არ იფიქრო, შენი დამცირება მეწადოს!

– არა, არა!

– კარგი! წედან ეგ შენი ძაღლი რომ შემომახტა, წვილი-კვილით შორიდანვე გამოიქცეო – ნუ გეშინათო!.. მაგრამ როგორ დავიჯერო, ეს პირველი შემთხვევა იქნებოდა! ჰოდა, როცა შინიდან გამოგყავს, ვინ იცის, ვის, სად და როდის გაუქანდება და „გაეთამაშება“ ხოლმე!.. რა გამოდის? შენ კიდევ მის კვალდაკვალ... მაპატიე და.. გიჟური წვილი-კვილით დარბიხარ – ნუ გეშინათ, ნუ გეშინათო!.. ახლა ერთი ამიხსენი, ვინა ხარ, რას საქმიანობ და საერთოდ, რას აპირებ – ნუთუ შენი მიზანი ესლა არის: ნებაზე მიშვებულ საკუთარ ძაღლს მთელი სიცოცხლე უკან წვილი-კვილით სდიო და დაზარალებულებს ეჯიყვიყო?! ეს რაღა გასეირნება ან დასვენებაა?! ეს ხომ თვითგვემაა?! ჰოდა, ასწილ არ აჯობებდა, ძაღლი ღვედითა და ალიკაპით ატარო, რათა...

მსმენელები ჯგუფურ ქანდაკებებს დამსგავსებოდნენ, მეძაღვლები ერთმანეთში ქუშად ტრიალებდნენ.

– არა, კი... – ნაყიმ-ნაყიმ ალაპარაკდა შავშუბლა, – მართალი ხართ... ასე უფრო აჯობებდა, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ... პრობლემა ის არის, რომ...

– ნულარ წუხდები, მე ვიცი, რაც არის ეგ თქვენ „პრობლემა“! – დაბეჭდა მხატვარმა და მეძაღვლებს თვალი უშიშრად გაუმართა, – ეგ ჯიშთან-ჯიშთან ძაღლები ახალმოდურად კი გაგიჩენიათ, მაგრამ არ გაგაჩნიათ ძაღლის ყოლის უმარტივესი კულტურა!

ძაღლის პატრონებს მგლისფერმა გადაჰკრა – ეს უკვე დაუკრეფავში გადასვლად მიიჩნეეს.

– შ...ეცი მაგ შენს კულტურას! – კბილებქვეშ გამოსცრა ერთმა ნიკაპწამოვარდნილმა ქურთუკიანმა და მხატვარს შემოსაკრავად მიადგა, – რა კულტურას გვიწუნებ, ერთი ლოთიანად გაგვიიასნე, თორემ!..

– ახლავე! – მიაგება შეუკრთომელმა მხატვარმაც, – ეს ისეთი მარტივია, უძალ მიხვდებით!

– როგორმე!!!

– მთელ მსოფლიოში ასეა მიჩნეული და ამაზე იდოტებიც აღარ კამათობენ!.. როცა შინიდან ძაღლი გამოგყავს, იქ ვინმეს დაკბენის საშიშროებაც რომ არ იყოს, ალიკაპი მაინც საჭიროა...

– რისთვის? – მოთმინება არ ეყო როკის პატრონ ალქაჯს.

– რაიმე სიბინძურეს რომ არ გადაეყაროს და სამკურნალო არ გახდეს ანდა შეიძლება ფეხებიც გაფიქოს!!!

თვალახელილ მსმენელთა შეძახილების ტალღამ ქარა-შოტივით შეიშრიალა.

ძაღლის ერთ-ერთმა პატრონმა კი იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და მხატვარს სიტყვა აუკრა.

– არა, ჰო... ეგ ჩვენც ვიცით, მაგრამ... ამ პარკში



ისეთი რა უნდა იყოს...

— როგორ არ შეიძლება იყოს! — მეძალის უტიფრობამ მოთმინებიდან გამოიყვანა ერთი ხელჯოხიანი ქალი და წინ გამოუარდა, — აქ იმდენს ატკინეთ გული, რომ შეიძლება დარიშხანიანი ჰურის ნატყები დაგიყარონ ან... ან... ან ხორცის ნატყებს ნემსები გაუყარონ და... მერე უყარეთ კაკალი!

ნათქვამმა ორივე მხარეზე ისე იმოქმედა, ხიფათიანი მღუმარება ჩამოწვა.

— გაიგონეთ, რა წამოსცდა, ამ ჩათლახს?! — ერთი თვალჩამშრალი კაცი ჯერ თავისიანებს ჩაეკითხა, მერე იმ ქალთან გაჩნდა, — აქ ვისიმი ძაღლს ნემსი რომ გადაყლაპოს, დედას გიტყვებ — ეს უეჭველად შენ იქნები!

— მე არაფერიც არ ვიქნები!.. მე ისე, სიტყვის მასალადა ვთქვი!. — შიშმა აიტანა ხელკეტიანი ქალი და მხატვარს მავედრებელი მხერა გაუწვდინა.

— შენ იქნები-მეთქი! — ისე გაიძახოდა თვალჩამშრალი, ეტყობა, ლელოს გატანა დაუკვირვებელი ლაყაფით სჩვეოდა, — უკვე გაიყიდე, სხვა არ იქნება!..

მხატვარმა ისე ჩაიციინა, თვალჩამშრალს მისკენ მოქედა.

— ძმობილო, აბა, ერთი დაუკვირდი: მერე რაღა მნიშვნელობა ექნება, მაგას ვინ ჩაიდენდა! ექნებაღა მნიშვნელობა?! ჩვენ აქედანვე იმის მარჩიელობას კი არ უნდა გადავყავთ, ეგ ვის შეეძლო ჩაედინა, არამედ საქმე აქამდე არ მივიყვანოთ! ეს არის და ეს!

ყველა მიხვდა, საკამათო ბუნებრივად რომ ამოიწურა. მეძალეებმა შვებით ამოისუნთქეს, მოსეირნეები კი მხატვარს თითქოს სინანულიანი თვალთ შემოაცქერდნენ — რამდენი წელია, აქ დაიარებოდი, ჩვენ კი ახლაღა გავიგეთ, თურმე რა ყოფილხარო!

— აბა, კარგად იყავით! — მხატვარმა ყველას შემრიგებლური ღიმილი გადააფრქვია, — უნდა წავიდე და ეს საწვიმარი დროზე ჩავალბო, თორემ აყალო თუ შეახმა, მერე ამოყვანა ძნელია!

— მართალი ხარ, — გადაუქარაგმა თვალჩამშრალმა, — მაღიარებს ეგ არ შეგემსებათ!

მეძალეები ერთმანეთს უშნოდ გაეკრიჭნენ, დანარჩენებს აღშფოთებისაგან სახეები მოემანჭათ.

— იმიტომაც ვართ მაღიარები! — უმტკივნეულოდ შეიშენია მხატვარმაც და წასასვლელად გამოტრიალდა. მაგრამ სამიოდე ნაბიჯიც არ ექნებოდა გადადგმული, გაიხედა და ჯერ ხომ ადგილზევე გაქვავდა, მერე ისევ წელანდელ ადგილს დაუბრუნდა და პირჯვარი სამჯერ ზედიზედ ისეთი თვალაპყრობით გადაიწერა, თითქოს მთის წვერზე მარტოდმარტო დგასო.

მხატვრის საქციელმა ყველა გაახეტა.

— რა იყო, მაღიარო, ეხლა რაღა მოხდა?

მხატვარმა თავი გაიყრუმუნჯა. გარშემორტყმულთა შემოშტერება მასზე ვეღარ მოქმედებდა და მარტომყოფივით სადღაც თვალგაშტერებით გაიყურებოდა.

ძაღლებმა მოულოდნელად შეწყვიტეს ერთმანეთში თამაშ-კოტრიალი და შეურიგებელი ყეფა-ღავდავით

გაექანენ.

და აბა, მხატვრის მიერ თვალდაჭერილი მაღალი, თხელი ქალიც გაუპირისპირდათ, დაძაგრული ღვედით თავის ძაღლს ძლივს რომ იარშიებდა.

ბეწვისქუდიანი ქალი ორმოციოდე წლისა იქნებოდა. თხელქუსლა, სადა ჩექმები და ბოლომდე ჩადილული, წელთან შენაოჭებული ხაკის ქურთუკი სამხედრო ნაწილში მოსამსახურე სამოქალაქო პერსონალს ამსგავსებდა... რომელიღაც მომცრო ჯიშის, მაგრამ თვალშისაცემად ტანნაკვითიან, ფეხებდაცრეხილ ძაღლს არამართო ალიკაპი ეკეთა, საიმედო სამხარილლიე ღვედებითაც იყო დასარტყლული!.. გასაკვირი იყო: ყეფა-გნიასით ადევნებულ ძაღლების ხროვას არც კუმტსახიანი ქალი და არც მისი ბეწვდალაგებული ძაღლი ბაიბურშიც არ იტარებდა!.. კისერწაწვილი, დორბლორეული ძაღლი მრუდე ფეხებით წინ ისე ღონივრად მიიწვდა, თითქოს სახნავის კვალს ავლებსო... ქალი კი, თავისი ძაღლის ამგვარ სიღონივრეს ნაილაჯვედ რომ უმკლავდებოდა, წეროსებურ მუხლებში დროდადრო გმირულად იხრებოდა და შორიდან ისე ჩანდა, დაძაგრული ღვედით თითქოს გუთნის მიმართულებასა და სახნავის სიღრმეს აწესრიგებსო!!!

ერთად შეყრილ, დადუმებულ მოსეირნეებს კუმტსახიანი ქალი ისე გაუსწორდა და გასცდა, როგორც ცარიელ ადგილს... გაღიზიანებულმა ძაღლებმაც მოასუსტეს ღავდავი და ერთმანეთის მიყოლებით უკან უხალისოდ იწყეს დენა.

გაკვირვებით შემოჩერებულ თანამომძიებებს მხატვარი ჯმუხად ჩაეკითხა.

— ხედავთ იმ რუსის ქალს?

— ვხედავთ რა — თავისი ძაღლით ყველგან სულ ასე არ დაიარება!... მერე?

— მერე?! ჰმ!.. მერე ისა, რომ ამით თავში გვიფაჩუნებს: აი, მე რუსი ვარ და პატვს ვცემ წესრიგიანობას!.. თქვენ კი ძაღლები სულ მუდამ უღვეოდ და უალიკაპოდ დაგყავთ და ვინ მოსთვლის, ვის რა უბედურება დაატყებთო!..

მხატვარს ჯავრისაგან ჰაერი ძლივს ჰყოფნიდა.

— და რაკი არც წესრიგიანობა გიყვართ, არც კანონმორჩილება, არც ურთიერთპატივისცემა გაგაჩნიათ და ყველანი თავის ქეიფზე მიერეკებით, ამიტომ თქვენით ვერც რიგიან სახელმწიფოს ააშენებთ, ვერც სრულფასოვან საზოგადოებას ჩამოაყალიბებთ და სულ მუდამ ამგვარ უბედურებაში იყურყუმელავებთ, სანამ ისევ ჩვენი მფარველობის ქვეშ შემოძრომას არ შემოგვჭვწვებიო!.. ახლა მაინც გაიგეთ რამე?

მხატვარს არავისი პასუხისთვის არ მოუცდია — ძაღლის პატრონებს კუმტი მხერა ტყვიამფრქვევის ჯერივით მიმოატარა და თავის გზას გახევებული ნაბიჯით გაუდგა... „ობობების ციხე-კოშკები?!“

ეჰ, ბრუდასხმულ მხატვარს ის ყველაფერი ახლა სისულელედ ეჩვენებოდა... თუცა, ვინ იცის, შეურაცხყოფილი შთაგონება საბუდრიდან იძულებით ამონაფრენი კრუხივით იქნებ ისევ დაბრუნებოდა თავის შეცივებულ კვერცხებს...

## ეთარ ჩოხელი

\* \* \*

ნეტავი როგორ ამოვსდო  
ამ ჩემ გულს ბორკილ, სადავე,  
ან ლექსით დამაშრობინა  
ბოროტებისა სათავე;  
აუჰ! რამდენი ყოფილა,  
ვყლაპავ და ვერ გავათავე!..

\* \* \*

იქნება წაღმა მობრუნდეს  
უკუღმ ნაბრუნი წისქვილი;  
უთქმელი სიტყვით სიცოცხლეს  
ნათქვამით მიჯობს სიკვდილი!

### პოეზია

პოეზიით დავიბადე.  
პოეზიით ვიქეც ქალად,  
პოეზიით გულს ვალხინებ,  
პოეზიით ვხდები აუად.  
პოეზიით ფრთებს ვისხამ და  
ტყე-ველთა ვრბი ნიაგ-ქარად.  
პოეზიით ზეცასა ვფრენ,  
არ ვარ არვის დასადარად,  
პოეზიით დედა ვარ და  
უდელსა ვწევ თავისთავად.  
პოეზიით მზე ვუყურებ,  
მთვარის შუქი მაღხენს მარად.  
პოეზიით ჰაერს ვსუნთქავ,  
გული ფეთქავს ჩაუმქრალად.  
პოეზიით პურსა ვჭამ და  
მიმანჩია წყალი — წყალად.  
პოეზიით მკლავს ვიმაგრებ,  
მტერს ვუხვდები საომარად.  
პოეზიით სიკეთეს ვქმნი  
ბოროტების დასაფარად.  
პოეზიის ტრფობითა ვდგამ  
ნაბიჯს მუდამ შეუძცდარად.  
პოეზიით გადავიტან  
დამცირებას ჰარი-ჰარად.  
პოეზიით სულსაც დავლევ,  
პოეზიით წავალ მარად,  
პოეზიით დამიტირონ,  
პოეზიით მთვალონ მკვდარად,  
პოეზიას ჩავიყოლებ  
მე იმ ქვეყნად შავ სუდარად!



### ჩემი ბავშვობის წლები

ჩემი ბავშვობის წლები  
რა მალე წამოვამალე,  
ფართოდ რად გაუხსენ კარები,  
გულში ღრმად რად არ დავმალე?!  
კისურზედ რატომ დავიდგი  
მძიმე უღელი გარჯისა?  
ვიგემე ავი და კარგი  
დღევანდელობის ტანჯვისა.  
რაისთვის ჩამოვიტეხე  
ფრთები საფრენი ლაღადა?  
ან რადარ ველად გავიჭერ,  
ვით ხარი იაღაღადა.  
რად არ ვიქეცი ცვარ-ნამად  
ცაში ავსვეტი ნისლადა,  
ან ელვა-ქუხილად ვიქეც,  
ქვეყანა მოვვლე მკვირცხლადა;  
ჩანჩქერად რად არ გაღვიქეც,  
დავკიდებოდი ქარაფებს,  
ან იმ პირიმზე ყვავილად  
თეთრად უფსკრულს რომ ანათებს.  
რაისთვის ჩამოვიტეხე  
ფრთები საფრენი ლაღადა,  
ნეტავ გრძნობა არ მქონიყო,  
სულ ვყოფილიყავ ბაღაღადა!

**ეთერ ჩოხელი და იოსებ შაიაშვილის  
კავშირები**

**ეთერ ჩოხელი:**

როგორ მინდა გაგეღებო,  
 ორი სიტყვით გითხრა რამე.  
 თუმცა დაგვცინი მთიულებსა  
 იმათთვის ხარ ენაშტარე.  
 მაგრამ გველის შემწველსაო  
 შენ ხოხობი მიუტანე.  
 მე მაინც გაქებ-გადიდებ,  
 პოეზიის მზე და მთვარე,  
 ლექსით უვლი საქართველოს,  
 სიმღერა ვერ გაათავე,  
 მღერიხარ ფშაურ კილოზე  
 არავისთვის ხარ მისანი.  
 ლექსში მწარე ლექსს გაუცვლი,  
 თუ ვისზედ გექნა მიზანი.  
 სიტყვასაც არვის შეარჩენ,  
 გულს გადაუქცევ მტვერად,  
 განგებას დაუბადნიხარ  
 მართო მთიულთა მტერად,  
 ვერვინ გაჯობებს ფშაველსა  
 გაკრეფილი ხარ ენადა.  
 რას გაქებს კოტეტიშვილი,  
 რა ცამდე აგაფრინაო?!  
 რას დახვალ აქეთ-იქითა,  
 რად არ დასჯდები შინაო.  
 წაწლების თვალის დაუღება  
 რაით ვერ მოგეწყინაო?!  
 ხომ ხედავ, რომ აღარა გაქვს  
 ცხრა პარასკევი წინაო.

**პასუხი ეთერის — ბაიაშვილისგან:**

ოცდაცხრა დეკემბერია,  
 სკოლამ მამიწყო შახვედრა,  
 კლუბი საესეა ხალხითა,  
 სცენა ნაძვის ხით აჭრულდა.  
 დამსვენს მე მოხუცებული  
 იუბილარის სკამზედა,  
 რა მეთქმის მადლობის მეტი?  
 ვიფიქრებ თავისთავზედა.  
 თურმე იმ „ფერემინალსა“  
 შურიც ფეხდაფეხ დასდევსა.  
 ვინ არის ბაიაშვილი,  
 აქამდე რატომ აღზედა?  
 ლექს დამიწერა ეთერმა,  
 მეტოქეობა გაბედა.  
 ქალაუ, გეტყობა გაკლავის,  
 ვერა ხარ თავის ჭკვაზედა?!  
 ქალმა ეგ როგორ გაბედი  
 აუგს რად ამბობ სხვაზედა?!  
 კაპასი ქალი ძალღსა გაუს,  
 კარს უნდა ებას გაზედა.

ან უნდა საჩეჩელს ეჯდეს,  
 ფარტენა ებას ტარზედა.  
 მეორედ აღარ გაბედო  
 ვალი არ დამსდვა ვალზედა,  
 მე რჯული ნებას არ მადლევს  
 შურს როგორ ვიძევ ქალზედა,  
 თორო, ისეთ დღეს დაგაყრი  
 ცრემლს არ გაგიშრობ თვალზედა.

**პასუხი ბაიაშვილს — ეთერისგან:**

მემღურის ბაიაშვილი  
 ლექსის დაწერის ცდაზედა,  
 მადარებს კაპას-ავ ძალღსა,  
 მბაგს საქონლის კარზედა,  
 თანაც თუ გაგიმეტეო,  
 ცრემლს არ გაგიშრობ თვალზედა.  
 მე მუქარა არ მაშინებს,  
 ხამ არ ვარ მაგ სიტყვაზედა,  
 როდესაც სამღერალი მაქვს  
 მაინც ცრემლი მდის თვალზედა.  
 სანამ არ მივალ სამოთხის  
 სამუდმო სამყოფ კარზედა,  
 ლექსების წერას ცოცხალი  
 არ დაუთმობ ქვეყანაზედა.  
 რაც გულში ფიქრად მომივა,  
 არ ვწერო? როგორ ავიტან.  
 ქალღღს მივანდობ ჩემ სათქმელს,  
 გულის დარღს ამით გავიტან.  
 წერის დროს ხან კი ვიცინი,  
 ხან ცრემლების მდის ღვარები.  
 მე რას მემღური, ნეტარა?  
 ლექსებს არ სწერენ ქალები?!  
 ამბობ ლექსების წერაო  
 არ შეგფერისო ქალასა.  
 მაგ სიტყვით რატომ არ ფიქრობ  
 იმ კალანდაძე ანასა,  
 ცხოვრების გზაზე შუქს რომ ჰფენს,  
 მწერალს, საქებარ ქალასა,  
 მაკვებებ ბევრს ვკითხულობო,  
 გადასცემ წარა-მარასა.  
 დართვა-ჩეჩვაზედ ბოღიში,  
 გვაწვდის მექანიზაცია,  
 ხელს იმათ გვიწვობს მთავრობა,  
 ვინც ჩემსავით ზარმაცია.  
 ხო და იცოდე, ბიძაო,  
 კიდევ გიღებო, ცხადია.  
 შენც დამიწერე, ვინ გიშლის,  
 რისი თქმაც ენით გწადიან.  
 თუმცა ამ პასუხის პასუხით  
 თავიე ჩავიგდე ცეცხლშია,  
 ამაყად დაიარები,  
 ხარ მეოთხმოცე წელშია,  
 მიკვირს, რომ შენც არ ჩაგრიცხა  
 ვახუშტიმ უმაღლესშია.

**ვახუშტი კოტეტიშვილისა და  
ეთერ ჩოხელის კაფიაონა**

*ვახუშტი რომ შემხვდა და გვარი ვუთხარი, ჩემს მოგ-  
ვარეზე დაწერილი კაფიით შემომელექსა:*

**ვახუშტი:**

რა გააკეთე ჩოხელო,  
რაც თიანეთში მოხველო?!  
წყალი დამშრალა მილებში  
ჩემი ნატ...ვის ოხერო.

**ეთერი:**

მე შენი ნახვა მინდოდა,  
როგორც დას თავის ძმისაო.  
შორით მოსმენა რას მარგებს  
შენი ხრინწიან ხმისაო?!  
მინდა რომ მენაც მოგართვა  
ტომები ლექსებისაო;  
ძაან ბევრი მაქვს ნაწერი,  
ბრალია დაკარგვისაო,  
მაგრამ რა ვქნა, რომ კრძალვა მაქ  
ამ ჩემ ფშაველი ქმრისაო.  
არ მაძლევს იმის უფლებას,  
რაიც სძულს სხვა და სხვისაო.  
მეც ჩავიქნიე სულ ხელი,  
ძალად კბილს ვიდგამ ენაზე,  
ისა ჰგონია ვახუშტი  
კოცნას დამიწყებს სცენაზე.

*მართლაც გადმომეხვია ვახუშტი და ჩემი მეუღლ-  
ის თვალწინ და-ძმურად გადაგკოცნეთ ერთურთი. ჩვენი  
პაექრობის მსმენელი ჩემი მეუღლე გულიანად იცინოდა.  
ლექსიც მოისმინა და კოცნაც იხილა. მე ვახუშტის მი-  
ვუბრუნდი და მივუღიქვე:*

ვაი, დაიწვას კაცის ჭკვა,  
უყურე საქმე რაშია,  
სცენაზედ ეჭვიანობდა,  
ვაჩვენეთ ნატურაშია.

*ამის მერე ვახუშტიმ ლექსები მთხოვა, ან გამატანე, ან  
გადაწერე და გამომიგზავნეო. ერთი თვის შემდეგ მე და ჩემი  
შვილობილი მეუღლე თურქეთში მივეყვართ ასლან აბაში-  
ძეს სტუმრად. ახლა ბათუმში ვიყავით პირადად ასლანთან  
და დიდად კმაყოფილები ვართ იქაური სანახაობითა და  
დასვენებით. დარწმუნებული ვარ, რომ თურქეთში უკეთუ-  
სად დავისვენებთ. მე შეგპირდი, მაგრამ ჩემი ლექსების  
ნაცვლად ეს კაფია დაუწერე და გავუგზავნე:*

დაბერებულხარ, ვახუშტი,  
მოხრილხარ, როგორც ნამგალი,  
სიდედრი გყავის საკბილო,  
ქალს კი გამოსდე ჩანგალი.

\*\*\*

ასლანის კარზე ყონაღად  
წასულ ვახუშტის სალამი.  
ეხლა შენს საკრიტიკებლად  
მენაც ავიდე კალამი.  
რა გაგიჭირდა, ისე რომ  
ასლანთან დახვალ ხასადა?!  
შენც თურქულ მოლას სწამულობ,  
არ ხარ პრინციპულ კაცადა.  
ასლანა აბაშიძეს ხომ  
მართო გვარი აქვს ქართული,  
დღისით აჭარას განაგებს,  
ღამით თურქეთში გასული;  
ქართული მიწით საზრდოობს,  
ამდერს ბათუმში მოლასა,  
შენ ყავა-ჩაით გმასპინძლობს,  
თურქულად გირთობს ცოლასა,  
იცის რომ არა სჯობია  
ჯვილ ქალასთან წოლასა,  
ბლომად სიმდიდრეს მოხვეჭავ  
და დააგროვებ დოლარსა.  
ისე კი ყველას ღირსი ხარ,  
დადგეს სიმართლის ჯერია:  
ზვიადთან გულზვიადობდი,  
ედიკასთან ხარ მეღია,  
მით გადაგიწვეს სახლ-კარი,  
ალბათ გაგტუსეს წვერია,  
გადაგაცალეს თავზედა  
ავტომატების ჯერია.  
ტრა-ტა-ტა-ტა-ტას ხმაურში  
სულ თავგზა გადაგერია,  
დარბოდი გაოგნებული,  
სიკვდილს ძლივს დაუძვერია.  
ახლა ასლანთან გადახვედ  
ყველა რომ შემოგელია,  
შვილისსწორ ცოლთან სჯვილობ,  
რა შენი შესაფერია?!  
ხმა უფრო გაგ ხრინწებია,  
როგორც ზაფხულში ძერია,  
ქურცინას რად დაემსგავსე,  
ერთ დროს ძლიერი მგელია?!  
რა უჭკვოდ გამოგივიდა  
ბრძნული სამოცი წელია!  
ვიცი, სიმართლის თქმისათვის  
თხა-მგელად მოგეჩვენები,  
მლიქვნელ-აფერისტობისა  
ჩოხელს არა მაქვს გენები.

ამ ლექსის მერე ცამეტი წელი აღარ დამკავშირებია; სახალხო მიქმელებთან ბოლო შეხვედრა რომ გამართა მაშინდა მიმიწვია. თავად უკვე დაუძლურებული იყო, ინვალიდის საფარბელოში იჯდა. მაშინ დაუწერე ეს ლექსი (ამის მერე, სამწუხაროდ, ვახუშტი მალევე გარდაიცვალა):

ვახუშტი კოტეტიშვილის

ხარ პოეზიის სულისდგმა,  
გული გაქვს ჩაუქრობელი.  
ცაზედ ვარსკვლავად გაბრწყინდი  
ქართულ ფოლკლორის მფლობელი.  
მთანი თავს ამაყად გრძნობენ,  
ფრთებს ისხმენ შენის ღვაწლითა.  
ბარიცა ჰბაძავს, ნიადაგ,  
ბაიაშვილის კალმითა.  
გმადლობთ, ვახუშტი, საქვეყნოდ,

რომ გაგვიხარე გულია  
ჩვენი ნიჭით და უნარით,  
ყველა ხომ საგანძურია.  
შენ ეს სიმდიდრე მოჰკრიბე  
და აგვიმადლე სულია,  
გამაამჟღავნე ჟამთაგან,  
რაც იყო დაკარგულია.  
გვეამაყება, ძვირფასო,  
ჩვენაც გიფასებთ ამაგსა,  
მაინცა ვლხინობთ, თუმც გული  
ცხოვრებამ ბევრად დანაგსა,  
შენ ის კაცი ხარ, საქმით რომ  
შვილმა აჯობე მამასა.  
ახლა ჩვენც გემშვიდობებით,  
მალღით უფალი გფარავდეს,  
გულითა გლოცავთ ფშავლები,  
გაგვეს სამარის კარამდე.



ზურაბ ჯაფარიძე

დაიბადა 1965 წლის 7 იანვარს რაჭის ულამაზეს სოფელ სხვაგაში. მან სიცოცხლეში ერთადერთი კრებულის „თოვლის როიალის“ გამოცემა მოასწრო. იყო გამომცემლობა „ამარანტების“ დამფუძნებელი. 1995 წლის 10 ნოემბერს პირიქითა ხვესურეთიდან ფეხით გადმოსულს ქარიშხალმა მოუსწრო. დეკემბერში მისი მეორე შვილი – პატარა ზურაბ ჯაფარიძე დაიბადა. დიდი ძებნის შემდეგ მაისში მდინარე არაგვში, სოფელ ხაზმატთან, იპოვეს 30 წლის პოეტის ლოდს ჩახუტებული ცხედარი. 15 წლის მერე კი, მისი მეუღლის პოეტ ქეთევან დოლიძის ძალისხმევით მისი წიგნი „სულის ანარეკლი“ გამოიცა.

ღეღას

ღამე ნაზად მონანავე ცაცხვზე წვება,  
მთვარის შუქი უხმოდ მიდის ზართან,  
სოფლის გზაზე აღარავინ მელოდება,  
დედაჩემის სასაფლაოს გარდა.

იქ წევს ჩემი გაყინული სიყვარული  
და წარსული აცრემლდება დარდად,  
საფიცარი აწი არვინ მეყოლება,  
დედაჩემის სასაფლაოს გარდა.

ღამე ნაზად მონანავე ცაცხვზე წვება,  
მთვარის შუქი უხმოდ მიდის ზართან,  
სოფლის გზაზე აღარავინ მელოდება,  
დედაჩემის სასაფლაოს გარდა.



არაგვს

თუმცა კლდეები  
ბეჭებს გიკაწრაგს,  
მაინც სიმღერით  
კვდები, არაგვო,  
ღღეს დაცემული  
თუ ხარ კლდეებში,  
ხვალ ღმერთებს უნდა  
ელაპარაკო.  
ვიცი, დარჩება

შენი კურთხევა,  
ჩუქურთმა სულში  
დამათოველი,  
მოჭრილი მკლავი  
თუ არ ხორცდება,  
ამაყად ხომ დგას  
სვეტიცხოველი.  
ვიცი, მეც მელის  
არაგვის ბედი  
და თაობები  
ლექსს გახედნიან,  
რა არის ერთი  
პოეტის სისხლი,  
საუკუნენი  
როცა კვდებიან.

### სამოთხის ვარდებს ზეციური სდიოდათ სისხლი

სამოთხის ვარდებს ზეციური  
სდიოდათ სისხლი,  
გადააფერეს მწვერვალები,  
მთა და უფსკრული...  
გამოჩნდა შორით დამისფერი  
ფერები მწუხრის,  
დაისმა სიოს ამოსუნთქვით  
დალია სული.  
მოვარდა დამე – დაგეშილი,  
შავი ავაზა,  
შევები მოყმე ველურ ბრჭყალებს  
ქეებზე გალესილს  
და პერგამენტზე პეონები  
სისხლმა გახაზა  
ხეებისაგან გაცრეცილი  
ქარის ალურსით.  
მომწყურდი მაშინ, სიკვდილისპირს  
გინატრე ერთხელ,  
შემოხვეოდა თითქოს მთვარეს  
კვამლი ჰაშიშის,  
სიკვდილისპირას  
ჩვენ, ორივემ ამოვანთხიეთ  
მე ერის ბოლმა,  
მან – თავისი ველური ჯიში.  
თურმე დღეები საწუთროსგან  
იყო დათვლილი,  
უკანასკნელად მან ჩემსავით  
მთვარეს გახედა,  
არვინ ტიროდა, ისიც თურმე  
იყო ობოლი,  
საიქიოში მოგველოდა  
ორივეს დედა.

რარიგ გაფანტა ჩემი ზეცა  
უეცრად ელვამ  
და დამათოვა ოცნებები  
შორით წასული...  
სამოთხის ვარდებს ზეციური  
სდიოდათ სისხლი,  
დაისმა სიოს ამოსუნთქვით  
დალია სული.

### კახეთი

შენი ნახმლევი სტრიქონი  
მაგ შენი მიწის ბრაღია,  
კახური და რქაწითელი  
მრავალმა სუფრამ დალია.

აენთენ ძველი რითმები,  
ზეცამ მიკურთხა ქნარია,  
ვიქნებით თუ არ ვიქნებით,  
ეგ ალბათ ჩვენი ბრაღია.

ქარებმა დამე ატირეს  
და მიწამ წვიმა დალია,  
კახეთში მთვარე ჩამოდნა,  
კახეთში წინანდალია.

### ბერეკლეხია

აქ სული ხეთია,  
წარსულზეც მეტია,  
სიზმარიც ბეღია,  
დგას ბერეკლეხია.

შავი ჩოხასავით  
ცაზე ღრუბელია,  
ველტყევის ხეღია,  
ასე უმღერიათ.

მიწაში ძვლებია,  
ღვთიური ხმებია,  
ეს ანგელოზია  
თუ მისი ფრთებია?!

აქ სული ხეთია,  
წარსულზეც მეტია,  
სიზმარიც ბეღია,  
დგას ბერეკლეხია.

\* \* \*

ბედიამი

ჩემს ქეთის გურამ რჩეულიშვილის პრემია  
მიანიჭეს. 1995 წლის 25 ივნისს არიშკის  
სანადიროში გურამ რჩეულიშვილის  
სახელზე ჯიხვი მოკალი.

ქაჯეთის ციხედ მუცო მეზმანა,  
ეთერი დიდხანს პურებს აცხობდა,  
გზას დაუდევით მე და ბეჟანა  
და ვარსკვლავებით ღამე გვათოვდა.  
ლითონიდან ჩაეხედეთ ჯიხვებს,  
მიყვებით კვალს და კლდესთან შევჩერდით,  
ორი გამოჩნდა, დალი გვწყალობდა,  
ცას დაეფერა ზეცა ჩეჩნეთის.

ეუმიზნე, კლდეში აწივლდა ტყვია,  
მითხოს, ჯარეუას ექო დაჰქროდა,  
სიკვდილის შემდეგ ქისტეთის მთებში  
რჩეულიშვილმა ჯიხვი დაკოდა.

დაუმგლოვიარდით და ვწუხდით ორნი  
და მერე მთებმა აღარ მაცაღეს,  
წამოიმართნენ და ჯიხვის რქაში,  
როგორც ფიცვერცხლი მთვარე ჩათაღეს.

და გვამობილეს მე და არიშკა,  
ნადირთ პატრონმა გამნათლა სისხლით,  
ტაბლას ვუსხედით მე და ბეჟანა,  
საჯიხვეებმა დასწურეს ნისლი.

მთვარე დაიწვა, როგორც სანთელი,  
ხეობის ქარით ყინვა გვეფინა,  
ქისტეთის მთებში ვიწვექით თოვლში  
და ვარსკვლავებთან ერთად გვეძინა.

\* \* \*

სამებაუ, სამი  
ამინთუ სხივი  
და გამასამე...  
წამებმა წვეთ-წვეთ  
ამივსეს თასი  
და გამაწამეს...  
ჰეი, „ლილეო“  
არ ვილევო  
სანამ ამ ღამეს  
არ დაგზრავ ისე,  
როგორც ჩემს ძვლებს  
ცივი სამარე...  
გადაითვლიან თაობები  
ამაყ ნაკვალევს.

თითქოს ბაგრატიმა აქ საფლავი შეაზანზარა,  
ვინ გაამრთულეს საქართველოს გაბზარულ გვირგვინს...  
ნუ სწუხ, მეფეო, მთელი ერი ფეხზე დამდგარა,  
შეუღებიათ აფხაზეთი ურჯულოს სისხლით.

გაუღვიძიათ დიდგორის და კრწანისის გმირებს,  
ბრძოლით ლესავენ დრო-ჟამისგან დაჟანგულ მახვილს,  
ჰოი, გმირებო, საქართველო თქვენნი ხვედრია,  
ჰოი, გმირებო, ვინც კი დარჩით გუმისთას, ტამიშს.

თუ კირითხუროს ხსოვნად დარჩა აქეთ ბედიამი,  
თუკი მეზვრესაც ხსოვნისათვის წილად ხვდა ვაზი,  
ო, თქვენ სიკვდილი, როგორც კვიცი გაგიხედნიათ,  
საქართველოსთვის დაგიცლიათ საწუთროს თასი!

მე აწი ცისფერ სტრიქონებს დავწერ

ეს განშორება შვლის ცრემლებს მოჰგავს,  
შავი ზღვის ტალღებს გადიარს ქარი,  
მე აწი ცისფერ სტრიქონებს დავწერ,  
რომ სტრიქონებში დავიხრჩო თავი.

ო, ეს მოხდება გაზაფხულის ჟამს,  
მზე გააღვიძებს მძინარე იებს  
და სიო ნაზი და ნაზამთრალი  
იმღერებს თოვლის ბოლო არიებს.

იტყვი: რა იყო, ო, ეს ზამთარი,  
იმ როიალის ნაზი ბორკილი,  
რომ ჩემი სული შენთან დავტოვე  
და ახლა ლექსებს ვარ მინდობილი.

ის მოგონება და ის სიმღერა  
ტრფობის ჟრუანტლად როცა დაგიარს,  
იტყვი: ეტრფოდა ის ქართულ მიწას  
და პოეზიამ ის გადარია.

და მერე ისევ მზე ჩავა ზღვაში,  
შავი ზღვის ტალღებს გადიარს ქარი...  
მე აწი ცისფერ სტრიქონებს დავწერ,  
რომ სტრიქონებში დავიხრჩო თავი.

\* \* \*

ჩემი სხეული ხმალი იყო თურმე შამქორში,  
ხელთ ეპყრა ვინმე ჯაფარიძეს, ანდა ერისთავს,  
არ ჟანგდებოდა უმოწყალოდ ლაჩრის ქარქაშში,  
ჰყვებოდა ბაბუ, დამიწდაო თურმე კრწანისთან.

თუ ხმალი იყო, დღეს ვაზივით რატომ მოვედი,  
ვაზი კი არა, ბერთა ტაძრის ვეება ზარი ვარ,  
მუდამ ცისაკენ იცქირება ყველა პოეტი,  
მე ბებერ მიწას მივუყვები და მივბლაფვარ.

თვალენი – დამფრთხალი შველი

ქეთის

თვალენი – დამფრთხალი შველი,  
ბაგენი ატმების კრთომა,  
წაიღე სიცოცხლე ჩემი...  
თორემ დაიწყება თოვა.

თორემ მე სხეული შენი  
ვამსგავსე ჩუქურთმას ნაქარგს,  
თორემ მე ხსოვნა ვარ ძველი,  
ვხატავდი მცხეთას და არმაზს.

ხან ხმალი ვიყავი გორდა,  
სისხლით ვისრულებდი წადილს,  
ოცნება, ოცნება მქონდა,  
მოვჭედე ხახულის ხატი.

ხან მკლავი მოკვეთე მუცალს,  
ავიღე სისხლი და დაუტკბი,  
ხან ლექსის მორევი მიღუღრაუ  
ხახაბოს, არდოტს და შატილს.

ხან გადარეული მოყმე  
ვეფხისგან დამსისხლე მთაში  
და ხანაც კრწანისთან მომკლეს  
და პირზე ღიმილად მაჩნდი.

ოცნება, ოცნება მქონდა,  
მოვედი და სხვა რა მინდა,  
წაიღე სიცოცხლე ჩემი,  
მომხსენი ჯვარცმული ჯვრიდან.

თვალენი – დამფრთხალი შველი,  
ბაგენი ატმების კრთომა,  
წაიღე სიცოცხლე ჩემი...  
თორემ დაიწყება თოვა.

ჩემს მარიაშს

წუხელ თურმე ანგელოზი მოფრინდა,  
შენს აკვანთან ანთებულა ლოცვად,  
რა ვქნა, შვილო, ჩემს გაჩეხილ გულიდან  
დანგრეული მრავალძალი მოსჩანს.

სიამაყით სული ზეცას სწვდებოდა,  
სვეტიცხოვლის ჩუქურთმების კოცნა,  
მაგრამ რა ვქნა, რომ ამ წმინდა ტაძრიდან  
წიწამურის ტრაგედია მოსჩანს.

ჩემი ერის ღირსება და ნაკლი ვარ,  
მის ცოდვისთვის დამხობილი ლოცვად,  
მაინც რა ვქნა, რომ გაჩეხილ გულიდან  
დანგრეული კვარაციხე მოსჩანს.

\* \* \*

როდესაც ბოლო სასმისი მოთავდა,  
როცა ვაპირებდით დაშლას შემთვრალეები,  
სურათზე საქართველოს ზეცა მოჩანდა,  
ხერთვისის ციხის დათხრილ თვალეებში.

უეცრად თამადამ ჯიხვის რქა აავსო,  
წმინდა სადღეგრძელო ჩააგდო მთვრალეებში:  
– ძმებო, ჟამმა რომ თვალეები დაგეთხაროს,  
ქართლის ცა იელვებს ჩვენს დათხრილ თვალეებში!

ასი წლის თავზე დიდ ვალაკტიონს

თუ ბედისწერამ შემოსაზღვრა ცხოვრება ვრცელი,  
თუკი სიცოცხლე უნდა იქცეს სიკვდილის მონად,  
თუკი გოლგოთა ჯვარცმა ჩვენი და გადამრჩენი,  
ისევ უპყრია ის სასწორი სამართლის მწონავს.

მაშ, რაღად აქსოვს ბოროტება დემონურ ძაფებს,  
მაშ, რაღად ჭკნება სინაზეში ვარდის ღვთაება,  
იღვრება სისხლი პოეტების აუტო–დაფე,  
ცხოვრება არის პოეტების დასამარება.

ასი წელია დააბიჯებ საქართველოში,  
გასცდი პონტიპირს, გადიქროლე სივრცეებს იქით,  
მაცხოვარია საქართველო ჯვარზე გაკრული  
და შენი ლექსი მის მკლავებზე შემხმარი სისხლი.





# ლანა მანველი

## ამოყვსენელი ორმო

სასაფლაოზე ფართოდ გაღებული ჭიშკრიდან შევიდა და აღმართს აუყვა. ოღრო-ჩოღრო გზა გამოფიტულიყო. გზის მარჯვენა მხარეს გადავიდა, იქ, ქვები ნაკლებად ეყარა. თვალებით შორიდანვე მოძებნა ნახევრად გადახურული ბუხარი. სწორედ ის, თავის დროზე მეზობელმა კაცმა, მამის საფლავის სიახლოვეს მთელი ამბებით რომ ააშენა. რკინის მაგიდას, აქეთ-იქით რკინისავე სკამები ჩაუმწკრივა და მისი სულის მოსახსენიებლად, მძაკაცებთან ერთად ხშირ ქეიფებს მოჰყვა. მერე მამას დედაც მიუსვენა. ისევ გაგრძელდა მწუხრის ქეიფები, იქამდე, ვიდრე ერთ ქარიან დღეს, თავდაც არ მიუწვა შშობლებს გვერდით. ეტყობოდა, შეილები მის ტრადიციას არ აგრძელებდნენ, – იქაურობა გავერანებულ-დანაკვიანებულიყო. მაგიდას შემოუარა. ბუხრის აგურები რამდენიმე ადგილას ჩაფშხვნილიყო. შეიძლება სულაც უბნის უსაქმურ ბიჭებს ჩაემტვრიათ, კარტის სათამაშოდ ამოსულებს. მაღალ ბალახებში შედგა ფეხი. ფრთხილობდა, არ უნდოდა მოულოდნელად გამოჩენილ ეკალზე წინდა გახეოდა. საფლავები ახლო-ახლო იყო განლაგებული. უახლოესს გვერდი აუქცია და რკინის დაბალ კარს, ღრიჭობებში გაყრილი ხის დაღრეცილი ნაჭერი გამოაძრო. ოთხი ადგილიდან სამი დაკავებული იყო. მარცხნივ პაპა, მის გვერდით ბებია, აქეთ მამა. ბებიას საფლავეზე დადგა და გაირინდა. სამივენი სიყვარულით შესცქეროდნენ. სატირლად მოეპრუწა პირი. თავს მოერია და ყველას სათითაოდ გაუღიმა. ჯერ პაპას, მერე ბებიას და ბოლოს მამას.

ბავშვობაში, ბებოს ხშირად მოჰყავდა სასაფლაოზე. ვიდრე მოხუცი საფლავს ასუფთავებდა, ის წითელ, უცნაურად ბევრ ჭიებს ითვლიდა. ცდილობდა ყურადღებით ყო-

ფილიყო, ტანსაცმელში რომ არ შეეკრომოდნენ. მიმოიხედა, წითელი ჭიები სადღაც გამქრალიყვნენ. მათ ძებნაში თავისიანების საფლავს უნებლიედ ზურგი აქცია და ათეული წლობით გაუსუფთავებელი საფლავის პირისპირ აღმოჩნდა. ეს საფლავი, მის ბავშვობაშიც ზუსტად ასეთი მოუვლელი და უპატრონო იყო. მაღალი ბარდებიდან უშვილოდ გადაგებული, ძველი დროის ვაჭრის თუ საქმოსნის შავი მარმარილოს ძველი მოჩანდა. ბებოსგან იცოდა ამ ადამიანების ისტორია. ვაჭრის გვერდით მისი ძმა განისვენებდა ცოლითურთ, ასევე უშვილოდ გადაგებული. ქალს მგონი ძმისშვილი უშვილებია, ქალაქში უსწავლებია, მთელი ქონებაც მისთვის დაუტოვებია, მაგრამ მათი დანატოვართ დანაყრებულებს სამუდამოდ დაუვიწყებიათ დიცვალბულები. . .

შემობრუნდა. წელანდელთან შედარებით, მამას მხერა შეცვლოდა, წყენა გარეოდა. თვალი აარიდა და იმედად ბებიას შეხედა. ისიც ნაღვლიანად უცქერდა. პაპისკენ გააპარა მხერა, მასაც ტუნზე მიჰყინვოდა ღიმილი. თავი ჩაქინდრა. საფლავეზე შესაფუთი შავ-ვერცხლისფერი ცელოფანი შენიშნა. ხელში აიღო. ყვავილები ისე დალეულიყვნენ და მიმქრალიყვნენ, რაობა აღარ ეტყობოდათ. ბებიის საფლავეზე დადგა, თითქოს მასთან უფრო მიესვლებოდა. ისიც ხომ მასავით ქალი იყო, ყველაფერს გაუგებდა. მოყოლაც არ იქნებოდა საჭირო. ნეტა პაპა გაუბრაზდებოდა, ამდენი მცდარი ნაბიჯის გადადგმის გამო? გული ეტკინებოდა, მის ნალოლიავებ კუდრაჭა გოგოს, ასე ცუდად რომ მოექცა ცხოვრება?.. მამის ერიდებოდა. ახლაც ყველაზე მეტად მას გადაციებოდა თვალები. უხმოდ იდგა. არ ჩიოდა, თავს არ იმართლებდა. შინაგანად საუბრობდნენ. მიწის ქვეშ გზავნიდა დარდიან იმპულსებს. მათ ხომ ისედაც ყველაფერი იცოდნენ.

არ მოძრაობდა. ბავშვობაში იცოდა ასე, გაიბუტებოდა და ერთ ადგილს შეაცოვდებოდა. ან იატაკზე გაგორდებოდა და ხმამაღლა ტიროდა. უფროსების ხეწნაზე კიდევ უფრო ძლიერად აბაკუნებდა ფეხებს სქელ ფიცრებზე და ნატკენ გულს სარდაფიდან ამოღწეულ სიცოვეზე იგრილებდა. სანამ კარგად არ გამოეყინებოდა გულ-მუცელი, არ ღებოდა. . .

– გახსოვს, „კარაპეტას მაღაზიიდან“ მუყაოს პაკეტით, ფინიკი რომ მოგქონდა ჩემთვის? – თვალი პაპის საფლავისკენ გააპარა. კალთაში ჩამისვამდი და ზღაპრებს მიყვებოდი. სკოლას თუ ოქროს მედალზე დავამთავრებდი, ოქროს საყურეებს მპირდებოდი. ისიც თუ გახსოვს, ნაყინს რომ მიდნობდი ფინჯანში, ყელი რომ არ გამციებოდა. მე მხოლოდ შენი სიყვარულით ვსვამდი სითხეს, რომელსაც ნაყინი აღარ ერქვა. ან ის თუ გახსოვს, ფეხზე ფუტკარმა რომ მიკინა? გასიებული ფეხიდან ნესტარი ამომიღე და ტკივილს, წყაროს წყლით ჩაციებული ღოქის დადებით მიამებდი. პაპა, ვიცო, რომ ძალიან გიყვარდი. კიდევ მინდა ენის ჩაყოფა წითელი ღვინით სავსე ჭიქაში. ისევ მინდა მოედანზე გამასეირნო, ნადიკარზე წამიყვანო. . . ის დღე მეჯავრება, შენი კუბო ეზოში რომ იდგა და დედაჩემი ლენტებით ალამაზებდა. ჩაქუნის მონოტონური კაკუნი ახლაც ჩამესმის. საათი, სათვალე და ფული ჩაგიდეს პიჯაკის ჯიბეში. მერე საათი მამაჩემმა ამოიღო, თავისთვის სამახსოვროდ. ბებიამ ზურდით შეცვალა ქალაღლის ფული. შენი საყვარელი ბასტონიც საკიდზე ეკიდა შემოსასვლელში. სეიფი გახსნეს, თუმცა რასაც ეძებდნენ, სარდაფში აღმოჩნდა. ყველაზე ბნელ და მიუწვდომელ ადგილას გადავიმალია, შენი და ბებოს დასაკრძალი ფული. იცი, ვიდრე ბებო გარდაიცვალა ორჯერ შეიცვალა ფული. შენ რომ დაგასაფლავეს, მალევე მომნათლეს, მგონი იმ დღესვე, კარგად აღარ მახსოვს. იმ

ოთახში, სადაც შენი კუბო იდგა, ნათლობის სუფრა გაშალეს. მე ოქროს ჯვრები და საჩუქრები მიხაროდა და აღმა-დაღმა დავქროდი. იმ დღეს, უფროსების თავშეყრის მიზეზი ხომ მე ვიყავი. . . მაპატიე პაპა, ბავშვმა ვერ გიდარდე. . . მერე მომაკლდი და მომენატრე. დღეები ფერს რომ კარგავდნენ და მწარდებოდნენ, მაშინ უფრო გისაკლისებდი. . .

– ბებო. . . მენატრები. ძალიან ვდარდობ, რომ არ გეფერებოდი დანაოჭებულ ლოყებზე, არ გიკოცნიდი ჯაფისგან დაბრეცილ, გამომხმარ ხელებს. სარკეს რომ აიღებდი და დანანებით ისვამდი ნაოჭებზე თითებს – „ვაი, ქიი, როგორ დავბერდიო!“ – გული მქუწრებოდა, მაგრამ არაფერს ვამბობდი. ყველაზე ტკბილად გულში, შენ დამრჩი ბებო. . . მთელი სახლი პირქვე რომ დამეცა, არ მიბრაზდებოდი. ყველაფერს მისრულებდი. ბებო. . . მაპატიე, მაშინ უკვე დიდი გოგო ვიყავი, ნაყინზე კი მაინც შენ გაგავზავნე. კიბე ჩაათავე, ფეხი მოგეკვეცა, წაბარბაციდი და ჩაიკეცი. ადგომამი მოგეხმარე. მაინც წახვედი. მაღაზია, ჩვენს სკოლასთან იყო ახლოს. არ მინდოდა მეორედ იქით წასვლა. დიდი ბიჭები იდგნენ ხოლმე და იმიტომ. . . მაპატიე რაა, ბებო! . . ჩემთვის შენი სიყვარული არ უსწავლებიათ. არავის სიყვარული არ უსწავლებიათ. არც უგრძობინებიათ. მაინც ყველაზე ტკბილად შენ დამაჩნდი ბებო. გახსოვს, წიგნებს მიკითხავდი, ხან მიყვებოდი. პატარა გულს საშინლად მიწამებდა გიქორის ტრაგიკული აღსასრული, სული მიმწარდებოდა, მაინც გაკითხებდი მერამდენედ. „კეთილი აღამიანებიდან“ ბევრს ვერაფერს ვიგებდი, თუმცა ბავშვური გონებით ვგრძობდი, წიგნის გმირებს ბევრი დარდი ჰქონდათ, კეთილები იყვნენ და უჭირდათ. ზღაპრებს იშვიათად მიყვებოდი. გარდასულ ამბებზე ვეიჭდებოდი, წინაპრებზე. უმეტესობა არც კი მენახა, თუმცა შენი გამოისობით ყველას ვიცნობდი. სქელყდიანი ალბომების დათვალიერება ხომ მთელი რიტუალი იყო, ათასგვარი ამბებით. შენი შემწვარი კარტოფილის „პერამკები“ მენატრება; შენ რომ ამზადებდი, ისეთი წვნიანი არსად აღარ გამისინჯავს და კიდევ მურაბიანი წყალი. მურაბას, ჩვენი ეზოს ალუბლებისგან სპილენძის თასში ხარშავდი. ის დიდი თასი, მასთან შედარებით მომცროსთან ერთად, სამოვარი, თუნგები და კიდევ სხვა წვრილმანი სპილენძის ნივთები, წინააღმდეგობის გარეშე მომეცი მერე, უკვე დიღობაში, ნაცნობისთვის რომ უნდა გაძეტანებინა თურქეთში. საშინელი გაჭირვება იყო ბებო, თუმცა მათი გაყიდვიდან აღებული ფულიდან არაფერი შეგვხვედრია არც შენ და არც მე. ბებო, შენ რომ ლოგინად იყავი ჩაწოლილი, თბილისში ვსწავლობდი და ვერ გივლიდი, მაპატიე. . . იცი, კიდევ რაზე მწყდება გული? – გახსოვს, ხელჩანთა არ მქონდა. შენი შავი „რედიკული“ გთხოვე. წყნარად ამოალაგე ლენტებით შეკრული წლობით დაგროვებული ბარათები, სამახსოვრო ჩანაწერებით სავსე პატარა წიგნაკი, პუდრის სუნით გაჟღენთილი, წვრილი ყვავილებით დაქარგული ცხვირსახოცი, მრგვალი, შავი საპომადე, საიდანაც ნეკი თითით იღებდი საცხს, ისე დაცოტავებულიყო. ეს მაშინ, ჯერ კიდევ ფეხზე რომ იყავი და კოხტა ტუჩებს მუქ შეინდისფრად იღებავდი. იცი, თანდათან შენ დაგემსგავსე და ძალიან მიხარია. ჰო, ბებო, ჩანათაზე გიყვებოდი. შავი იყო და პრიალა, ასევე შავი, სხვადასხვა ზომის კობლებით იყო გაწყობილი. იმ ჩანთის ფასს მერე მივხვდი, წლების შემდეგ, კიდევ უფრო რომ გავიზარდე. მანამდე კი სხვას ვაჩუქე, ვითომდა უფრო უკეთ-

სის ყიდვის შემდეგ. შენ კი, მაშინ, ის ყველაფერი ბალიშის ქვეშ დაიდე. მიყვარხარ, ბებო!

ახლა, რაღაც უნდა გაგიმხილო და არ მიწყინო. ბავშვობაში, შენთან რომ მტოვებდნენ, საწოლს მითმობდი. სკამებს ალაგებდი ლოგინის გასწვრივ და ხედ იშლიდი ქვეშაგებს. ბებო, სწორედ მაშინ, მე რომ იმხელა საწოლს მითმობდი და შენ ხმელი ხის სკამებზე გეძინა, დამეუღ კომპარებში ჯაღოქრად გხედავდი. დედას მართმევდი, მე ვყვიროდი, თუმცა ხმა არ ამომდიოდა. კედლის საათის წიკწიკი გუგუნში გადადიოდა და მზარავდა. მერე დედას, შენს „შიფანერკაში“ ვპოულობდი და შენ ქრებოდი. გთხოვ, არ გეწყინოს! შენ და პაპას რომ გიყვარდათ პატარა, კუდრაჭა გოგო, ისე არავის ვყვარებივარ. . .

შენი გარდაცვალების ამბავი ავტობუსში შევიტყვე შემთხვევით, მისაღები გამოცდებიდან რომ ვბრუნდებოდი თბილისიდან. ისეთი საშინელი გაჭირვება იდგა, მიწაში უკეთესი იყო ყოფნა, ვიდრე მის ზევით. ჩემი მაშინდელი ფიქრებიც შემინდე ბებო. . .

– მამა! ყოველთვის მაკლდი. . . ერთხელ, ასე, ხუთი წლის ვიქნებოდი, კარაქი წამისვი პურზე. ერთ ნაჭერზე მეტს არასდროს ვჭამდი, მაგრამ რომ მკითხე კიდევ მინდოდა თუ არა, ისე გამიხარდა, მეორეც სიხარულით შეესანსლე. სხვა რა გითხრა? – არ მასხენდება შენგან დიდი ზრუნვა, მოფერება, თბილი სიტყვები. შენ შენი ცხოვრებით ცხოვრობდი, გარკვეულ ჩარჩოებში და მათ გარეთ არასოდეს აბიჯებდი. პატარაობისას, ხშირად შემქანებია გული ჩხუბით, როგორ მინდოდა წყნარ და თბილ ოჯახში გავზრდილიყავი. სხვა ბავშვებზე მეც ჩვეულებრივი ცხოვრებით მეცხოვრა. ახალ წელს, ხელშეუხებლად რჩებოდა სუფრა. შენ დივანზე წამოწოლილი, დილაამდე ტელევიზორს უყურებდი და სიგარეტის კვამლში ხუთავდი შესაძლებელი ბედნიერების ალბათობას. მე კი, ლოგინში ნაადრევად შეუყუწულს, გულს მიკლავდა სიბნელეში შემოდწეული სხვათა მხიარულება და შუშუნების ბათქი-ბუთქი. მწუხარების მანტია შემოხვეულმა გადავაბიჯე ბავშვობიდან ქალიშვილობაში, პატარა გამონათების შემდეგ, ისევ ჩამძირეს გაუტანლობის და სიძულვილის ბურუსში... შენი წასვლის მერე უფრო გამაკაცრდა დედა. გაუცხოვდა. ცოვი ურთიერთობის და უსიყვარულობის წნეხში გამომწურა...

გთხოვთ, ნუ მიყურებთ ასე უცხოლ. მე ხომ საყრდენის გარეშე მომიწია ამ ქვეყნად ყოფნა. ტკივილით გაძეპილი გემივით, უკან დასაბრუნებელი ნავთსაყუდელის გარეშე ვქეტქებოდი უამინდობაში ვებერთელა ტალღებს...

ბინდდებოდა. ის კი ისევ ჯიუტად იდგა, ისე როგორც ბავშვობაში, ცივ იატაკს გაკრული და მწარე ცრემლები უწვავდა ყელს. მერე, კიდევ ერთხელ მოავლო თვალი საფლავებს, სათითაო დეტალს იმახსოვრებდა. ვინ იცის, მოუწევდა კიდევ აქ, ამ ქალაქში, სამშობლოში ჩამოსვლა? გაფიხნული თითებით მიეფერა პაპის გამოსახულებას, მერე ბებოს გაბზარულ ფოტოს. მამის გამოციებულ ქვას ლოყა მიადო და მცირე ხანს გაყუჩდა. სულ ბოლოს, ჯერ კიდევ ცარიელ საფლავზე დაჯდა. გაშლილი ხელისგულები მიწას შეახო. ნელ-ნელა ზურვით დააწვა მაგარ, დატკეპნილ ნიადაგს და უღონოდ ამოიღულულა:

– დ ე ლ ა...



### ეკატერინა თარაშვილი

დავიბადე 1974 წლის 21 მაისს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში. 1991 წელს დავასრულე ამავე სოფლის საშუალო სკოლა. 1992-1998 წწ. ვსწავლობდი თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სპეციალობით. 2005 წლიდან დღემდე ვმუშაობ პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლაში ქართული ენის და ლიტერატურის უფროს მასწავლებლად.

ვწერ ლექსებს, ჩანახატებსა და მოთხრობებს. ვარ გაუთხოვარი. მყავს დედა და ძმა.

\* \* \*

ო, როგორ მინდა ამ ჩუმ ღამეში,  
მთვარეზე ხელი გადავიწვდინო...  
და შენს ხვეწნაში, შენს ჩუმ ალერსში  
ბაგეზე კოცნა თუნდაც ვიწვინო.

როგორ არ მინდა, მეტყველ თვალებით  
სათუთად ვინმე რომ გეამბოროს,  
არ მინდა შენი დაწნული თმები,  
შელამებისას სხვამ დამამოროს.

არ მინდა ჩემი ნაკოცნი შუბლი,  
სხვის სუნთქვის სიოს ელოდებოდეს,  
არ მინდა ჩემი ტრფობისა შუბი,

მეტოქის მახვილს ეომებოდეს.

რადგან სურვილის ავხსენ პირები,  
ერთ საიდუმლოს აქვე გაგანდობ:  
გაზაფხულისას ცალი ირემი  
უხმობს გულისსწორს საბინადროდ!

\* \* \*

მე თუ წავალ და... სხვა ვინ მოგივა?!  
შენს თვალებს ნეტავ, ვინდა დაკოცნის?!  
უჩემოდ გაძლებ? არა, მგონია.  
სულიერ მოძღვარს დრო აქვს დალოცვის.  
უენო გულთქმას თუ გადავიტანთ  
და რაც თალხია, შევმოსავთ ჭრელით,  
უგუნურებთან უთქმელი განსჯა  
სამარის კართან მიგვიყვანს რწმენით.  
მე თუ წავალ და... სხვა ვინ მოგივა?!  
შენს პერანგს ღილებს ვინ დააკერებს?  
უბეში ჩასმულს, ვინდა მოგიყვანს  
აღუღუნებულ, პაწია მტრედებს.  
ნეტავ, რა გულმა მოგინადიროს?  
შენ, რომ წახვიდე და მიმატოვო!..  
მე უშენობა მომკლავს კი არა,  
შენ უჩემობა მოგიღებს ბოლოს!

\* \* \*

ფიქრმა დანისლა ზღვის ნაპირები,  
უკიდვანო სივრცეს ვაწყდები.  
და სადაც არის, ხმით ავტირდები,  
თუკი ძალიან მომენატრები.

თუკი დარჩები ჩემთან ბოლომდის,  
ზღვას გადაცურავს სიმუხთლე ბედის,  
მოეკვეცება ფრთები მოლოდინს,  
დაშრება ცრემლი ტანჯვის და სევდის.

დინჯად მიიწვეს ღრუბელთა ქარგა,  
აქ აჩრდილები აღარა დგანან!  
და სადაც გინდა გეძებოს ქარმა,  
მე კი დაგკარგავ, დაგკარგავ განა?!

### მამუკოს!

შენი ურვის მოზიარე  
შენს კალთაზე ჩამოვჯდები,  
შენი ჰანგის მოტრფიალე  
ვარდზე ადრე ჩამოვჭკნები.

შენს სხივმფინარ ნაკადულებს  
ხმანარნარით ჩაუყვებები,  
მდინარეებს წყალნაკულებს  
შენს სატირალს მოუყვებები.

თალხს გაგხდი და ჭრელს ჩაგაცვამ,  
დაწვზე ნაწვეოს შევიმშრალე,  
შენს ერდოზე ფურს დავაბამ  
და ხარირემს შევიზამთორებ.

დაზრდი მართვით და მწყერის ჩოჩრებს  
ხეზე ჯდომას დაგაჩვევდი,  
ნუკრისთვალა ვირის ჩოჩრებს  
მგლის ლეკვებთან დაგარჩენდი.

დურაჯის და შურთხის ლაპებს  
შავ ტაიჭზე დაგრახტავდი,  
აღნავლებულ ძუძუთ ღლაპებს  
აკვანშივე დაგრაზმავდი.

შენზე ნათქვამ სადიდებელს  
მთებზე ექოდ ავაჟღერებ  
და მამულის მადიდებლებს  
საბრძოლველად ავაღელვებ.

სხივებს მოგფენ საიმედოდ,  
აღამს ევად დაენებდები,  
გაგამზადებ საედემოდ  
და მალამოდ დაგედები!

\* \* \*

გულზე დავიმცვრევე ღიმილებს,  
სევდებს გაღვიწმენდ შუბლიდან,  
ვარსკვლავთ ჭიატს და ციმციმებს  
გამოვაშუქებ გუგვიდან.

ხმას ხა-ვერდ-ებად დავაქსოვ,  
ყურს რომ საამოდ სწვდებოდეს,  
„ჭვარტლიან ჩონგურს“ ავაწყობ,  
მკერდზე მის-ნებით წვებოდეს...

შემიერთხმავე შორიდან,  
სამს ნულა დაეყოვნები  
და შენი გულის კოვზიდან  
შარბათი მასვი ყოველთვის.

### მზის ანაცერი

მზეს, მონატრებულს, დავეწაფე მზიური თასით,  
გრძნობით ვიმღერე შადიანის ძველი სიმღერა,  
ასწით! სადამდეც აიწიოს, იქამდე ასწით  
ფარდა ლივლივა, საუცხოო ფარდა, შვიდფერა!

კდემა დაფარავს, ალბათ, იმას, რაც ჯერ არა ჩანს,  
რასაც სახელი ჯერ არა აქვს, ექნება მალე.  
მე ვასრულებდი არჩევანს და შენ კი – არადანს,  
ჩვენს გაუხუნარ ბავშვობაში, ოდესღაც, ადრე...

ახლა ჭადარი თავის ტოტებს შეარხევს ნახად  
და სხივი მზისა გამტკიცული და განაცერი,  
ჩემს გულს უდავოდ გადასერავს უამრავ ხაზად,  
შერჩება სხეულს, გადარეულს, მზის ანაცერი.

## ნირო ხაჭაჭიშვილი

დაიბადა ადიგენის რაიონის სოფელ არალში 1988 წლის 22 აგვისტოს. არალში დაფინანსებული საშუალო სკოლა 2005 წელს. ამავე წელს ჩაებაარე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. ხოლო ბაკალავრიატის დასრულების შემდგომ, 2009 წელს სწავლა განაგრძე ამავე უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სამაგისტრო პროგრამით და 2012 წელს დაგასრულე აღნიშნული კურსი.

ლექსების წერა საკმაოდ მცირე, სამი წლის, ასაკში დაიწყო. ყოველთვის მიტაცებდა მუსიკა და ის დღემდე რჩება ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჰობად. სტუდენტობის პერიოდში ვიყავი შემოთაღნიშნული უნივერსიტეტის გოგონათა ფოლკლორული ანსამბლის – „თამარონის“ წევრი. ჩემს საყვარელ საქმიანობებში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე წიგნების კითხვასა და უცხო ენების შესწავლას.

2011 წლის აპრილში დაიწყო მუშობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის სპეციალისტად. მაგისტრატურის დასრულების შემდგომ გადავწყვიტე, რომ მუშაობა პროფესიული კუთხით გამეგრძელებინა, ამიტომ, 2013 წლის ივლისის თვიდან მუშაობა განაგრძე ახალციხის რაიონული სამმართველოს კანცელარიის ოპერატორად.



2016-2017 წლებში ვწეოდი პედაგოგიურ მოღვაწეობას წნორის სამედიცინო და პუმანიტარულ სასწავლებელში; 2016 წლის აპრილიდან კი ვიყავი ააიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის იურისტი. ამჟამად გახლავართ ქალაქ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის იურისტი. მყავს მეუღლე და ერთი შვილი.

\* \* \*

დგანან წუთები საათების სადარაჯოზე,  
წამების ისარს ვერ მოუთქვამს სული წამითაც.  
იბაასებენ დიდხანს, დიდხანს  
და გაიყვანენ ასე უქმად ჩამოყრილ წამებს,  
რომ აგროვებდა დროის მთვლელი ძალზე ფაქიზად.  
ჩაიხლართება როგორც თასი ფიცის მოწამე,  
ვიღაცეების ბედის ძაფის სანასკვეები,  
არც ისე ადრე, არც ნაგვიანვეს შექმნილ საფიცარს  
შეფუთავენ და სამზეოზე დაასვენებენ.  
შემოიხედავს დრო და ჟამი ღია ფანჯრიდან,  
გუშინ ბელურა რომ გაფრინდა აი, იმ სარკმლის  
რაფის კიდზე ჩამოყრდნობილ იდაყვებიდან  
გადმოიხრება და მოხუცურ დაღლილ მხრებს გაშლის.  
მარადისობის ზეიმია, მუსიკა ჩქარა!  
ყოფიერება არ ფასდება არც ერთი საგნის,  
რისი საათი, რა ფანჯარა, ანდა მესერი...  
თუნდაც უჩვენოს საათებმა ჩემი სიკვდილის  
წამი, რომელიც გამინათდა ბოლოჟამს თვალში.  
მარადისობის ზეიმია, მუსიკა ჩქარა!  
მაყურებელი რას გახვედი, მჭირდება ტაში...  
არც ისე ადრე, არც ნაგვიანვეს,  
სამარადისოდ შექმნილ საფიცარს,  
უმზერს დროება ფანჯრის რაფიდან,  
უმზერს დროება ღია სარკმილიდან...

ვანრიელს

გიყურებ და ეს სამყარო მეჩვენება ფერადი,  
ვუხერხულობ, ბედმა შენით როგორ გამათამამა,  
უკეთესი ჰაერიც კი, არ მქონია შენამდის,  
შენით თითქოს სულ ყველაფერს ჯადოსნური ძალა აქვს.

მაია გრემელაშვილი  
(მარ გრემელი)

დავიბადე 1981 წლის 13 სექტემბერს ქალაქ თელავში, მრავალშვილიან ოჯახში. დედა – მუსიკის პედაგოგი, მამა – ფინანსისტი. მყავს სამი და და ერთი ძმა. დავამთავრე თელავის I საშუალო სკოლა. ერთი ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, არავისგან არაფრით გამორჩეული, თუმცა მაინც რაღაცნაირ, უცნაურ „სამყარიში“ ვცხოვრობდი, სადაც არავის ვუშვებდი. ეს „სამყარო“ ახლაც მართო ჩემია! სკოლის პერიოდში დავიწყე წერა. სწავლა გააგაგრძელე თელავის ტექნიკურ კოლეჯში – საგადასახადო საქმის სპეციალობით. 2002 წელს დავასრულე სრული კურსი. ჩემი პროფესია დიდად არ მხიბლავდა ამის მიუხედავად რამოდენიმე წელი სხვადასხვა კერძო ფირმაში ვიმუშავე საკუთარი პროფესიით. პოეზია და თეატრი! — ეს ორი რაღაც მამოძრავებდა და მამბუნებდა „შავ-თეთრ“ 90-იან წლებში. ჩემი უფროსი და მსახიობია და ამ ფაქტმა თეატრს კიდევ უფრო დამაახლოვა. მუზეები მოფრინავდნენ და მიფრინავდნენ, მე კი ვწერდი... ვწერდი მხოლოდ

მაგ პატარა თვლებში ირეკლება სამყარო,  
ანგელოზებს უღიმი, როცა მოგესურვება.  
ათსგვარად გვაოცებ თავი რომ შეგვაყვარო,  
პოდა, ირგვლივ ვერაფერს ვერ გაუძლო ცდუნებას.  
გიცქერ თვალს ვერ გაცილებ, ჩემს ახლენილ ოცნებას,  
შენი თავი, დედიკო, ჯერ კიდევ მეოცება.

\* \* \*

დაწერილ სტრიქონებს ვმლი ნელა,  
თითქოს ქარბუქმა წაშალა ყველა  
სტრიქონი, ყველა სიტყვა,  
დარჩა თოვლივით ქათქათა გვერდი...  
ვუმზერ სითუთრეს გადაშლილს ვრცელად,  
გამოკრთომია ქათქათა მკერდი  
ზამთარს ურცხვსა და თავგზააბნეულს,  
დააზუნუნებს დეკემბრის ქარებს  
და შლის ყველაფერს – კვალვებამჩნეულს.  
მერე მოუხმობს სასტიკ ყინვას, შეუბრალებელს  
და ტკება თეთრად მოხატული სარკმლების ცქერით.  
თუ მზემ დაჯაბნა და გამოკრთა სივრცეებიდან,  
ღნება მლიქვნელი, პატიებას ითხოვს ცივ ცრემლით.

დედისგან

უფრო ძვირფასი ვინა მყავს  
შენ, ჩემო ბუდის ზიზანო.  
როს აფრინდები სილაღით,  
მოფრენა არ დაიზარო.  
მობარებულო უფლისავ  
შენი სიკეთით ვხარობდე,  
დედამიწა რომ მიქცია  
შენმა ღიმილმა სამოთხედ.



ჩემთვის. იშვიათად გამომქონდა დღის შუქზე ჩემი ვერტიკალი „შემოქმედება.“ ბავშობიდან მომყვებოდა კომპლექსი, რომ ვერ გამიგებდნენ და დამცინებდნენ. დრო გადიოდა, ვიზრდებოდი. განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა, თუ არ ჩავთვლით რამოდენიმე უბედნიერეს მომენტს, როდესაც მქონდა პატივი, თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში უნიჭიერეს და უსაყვარლეს მსახიობებთან ერთად მეთამაშა სპექტაკლებში და ჩამესუნთქა თეატრის მტკერი. ჟურნალისტობაც შევითავსე ადგილობრივ ტელევიზიაში, თუმცა ეს დიდ ხანს არ გაგრძელებულა, 2010 წლიდან ახალი სტატუსი მოვიბოვე – „ემიგრანტი!“ აგერ უკვე მეცხრე წელია ვიმყოფები თურქეთში. ამ ახალმა სტატუსმაც გააღვიძა მიძინებული მუხები და ემიგრაციის თემაც „გამართმინა.“ ქალაქ სტამბულში ერთი წლის წინ დაარსდა „დახმარებისა და თანადგომის ქართული ასოციაცია „აისი.“ სწორედ „აისის“ დამსახურებაა ის, რომ მე დღეს ისევ ვწერ და ჩემი მუხები ისევ ჩემთან არიან. „აისში“ გამართულ ერთ-ერთ პოეზიის სადამოხვე წაკითხულმა ჩემმა ლექსებმა ბავშვობის დროინდელი შიში და კომპლექსი უკვალოდ გამიქრო. ახლა უკვე თამამად შემძლია მეგობრებს ყველა ჩემი „ახალგამომცხვარი“ ლექსით გავუმსახინძლდე. ბოლო ორი წელია აქტიურად ჩავერთე სპორტულ ცხოვრებაში. ხუმრობით ჩემს თავს „ფიტნეს-პოეტი“ შევარქვი. უკვე მეგობრებიც ასე მეძახიან...

\* \* \*

ის დღეს ჩემთან უნდა ყოფილიყო,  
 გულში მაგრად უნდა ჩავეკარი,  
 სიყვარულისა და სიხარულის  
 მეცხრე ცაზე უნდა გავეკარი.  
 ის დღეს ჩემთან უნდა ყოფილიყო,  
 ჩუმი მზერით ხარბად დამკოცნიდა,  
 მერე შემომხვევდა ძლიერ მკლავებს  
 ბედნიერებაში გამტყორცნიდა.  
 ის დღეს ჩემთან უნდა ყოფილიყო,  
 დაღლილს დაესვენა ჩემს მკლავებში,  
 ჩემი ცელქობებით დამტკბარიყო  
 და მზეს ეციმციმა ჩვენს თვალებში.  
 ის დღეს ჩემთან უნდა ყოფილიყო,  
 რად არ მოხველ, გულმა წყენით ჰკითხა,  
 მზერა მომანათა ალმაცერი,  
 მე სულ შენთან ვარო, ასე მითხრა...  
 ის დღეს ჩემთან უნდა ყოფილიყო...

\* \* \*

მე გაცილებით მეტს ვითხოვ შენგან,  
 ვიდრე ძვირფასი ქვები, ქურქი, ვისკი ან ღვინო.  
 მე მინდა მაგრად მიმიკრა მკერდზე,  
 უხმოდ მაკოცო შეჭმუნხილ შუბლზე და გამიღიმო.  
 როგორც ტიტანიკს აისბერგი, გატეხავს ორად  
 შენი მკლავების სიძლიერე ჩემს სხეულს და სულს.  
 მე კიდევ ერთხელ საკუთარ თავს დავაფიქსირებ  
 ბედნიერების მეცხრე ცაზე ამაყად ასულს.  
 ციციქნა მზეები ჩვენს თვალებში იწყებენ ციმციმს,  
 მათ სიმხურვალეს ისრუტავენ ფილტვები ხარბად,

გული ჩქარდება, სისხლი დულს და დაბერავს ძარღვებს,  
 მარადისობა სულ ერთ წამში ჩავტეი ალბათ...  
 სულაც არ ვნანობ, ეს ერთი წამი მიღირდა ამაღ.  
 მე გაცილებით მეტს ვითხოვ შენგან,  
 ვიდრე ძვირფასი ქვების ბჭყვირიალი  
 და შენც მოხვედი, ფეხის ხმა მესმის,  
 რომელსაც მოჰყვა ჯარის ჭრიალი.  
 ჰო, შენ მოხვედი, მოხვედი და მოიტანე  
 მარადისობა წამად ქცეული,  
 მარადისობა ზღაპრულ ჯინივით  
 ციციქნა ბოთლში გამომწყვდეული.  
 ჰო, შენ მოხვედი,  
 მოხვედი და მოიტანე შავი და თეთრი,  
 ჰო, შენ მოხვედი, რომ გავხდეთ ერთნი.

\* \* \*

დღეს ქორწილია, ხარები რეკენ,  
 მე თეთრი კაბით საკურთხეველთან მორჩილად ვდგავარ.  
 მარტოობაზე დავიწერ ჯვარს და  
 წმინდა ტაძრიდან მასთან ერთად ხელკავით გავალ.  
 დღეს ქორწილია, ჩემი ქორწილი,  
 ძალით თუ ნებით მარტოობას ცოლად გავყვები.  
 აყალმაყალით მოგვევებიან უკან მაყრები,  
 თავს ვერ ვიკავებ მინდა ვიკიელო გრძნობებს აყვები.  
 მარტოობასთან ერთად უხმოდ ჩავჯდები ეტლში,  
 დღეიდან იგი ქმარია ჩემი მე ცოლი მისი,  
 მთელი ცხოვრება უდრტვინველად ვზიდავ ამ უღელს,  
 რადგან სხვა ვერვინ გახდა ჩემი ცოლობის ღირსი.  
 ქვიან ბილიკზე მოხრიგინებს ეტლი ჭრიალით,  
 ნეფე-პატარძლის სადღეგრძელოს სვამენ ფიალით,  
 ნიაფი ზანტად აშრიალებს ჩემს სპეტაკ კაბას,  
 ღრუბლის ქულაზე მიწოლილი მზე თვალებს ნაბავს,  
 დღეს ქორწილია, ჩემი ქორწილი.

\* \* \*

მინდა გავშორდე ამ ნაცნობ ქუჩას  
 ჩემს ჯინაზე რომ ბოლო არ უჩანს.  
 მინდა გავშორდე ამ ნაცნობ თაღებს,  
 ნაცნობ აივნებს და ნაცნობ ბაღებს.  
 გავშორდე ყველას, ყველაფერს ნაცნობს,  
 რაც კი ჩემს თავზე რაიმეს მამცნიბს.  
 მინდა გავშორდე საკუთარ სხეულს,  
 ვით მცირე სენაკს, მყრალსა და წყეულს.  
 გავშორდე წარსულს, აწმყოს, მომავალს  
 და დავედევნო ნიაფს ონავარს.  
 ვთხოვ, წამიყვანოს უცხო მხარეში,  
 სადაც ხშირია ქართა თარეში,  
 სადაც გალობენ მზიან ღამეში,  
 სადაც სუსხია, ვით სამარეში...  
 და კვლავაც ნაცნობს მივეყვები ქუჩას,  
 მას კი ჯინაზე ბოლო არ უჩანს.  
 ვგრძნობ, რომ სურვილი განშორების ძალზე დიდია,  
 ნაცნობ ზეცაზე მზის ნაცნობი ბურთი ჰკილია.



### მარია ტოხიშვილი

დაიბადა 2001 წლის 1 ივლისს. ვცხოვრობ დედოფლის-წყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედში, რომელიც ასეული წლის წინ ბუნების დიდ მგოსანს, გაფა-ფშაველას, ფშაიდან ჩამოსახლებული ხალხით დაუსახლებია. ვარ მეთერთმეტე კლასის მოსწავლე.

მეხუთე კლასიდან აქტიურად ჩავეხი კონცერტების, ღონისძიებების, ოლიმპიადებისა თუ სასწავლო-შემეცნებით-ინტელექტუალურ აქტივობებში. მრავალჯერ მივაღწიე წარმატებას. წარჩინებული სწავლისათვის მივიღე კომპიუტერი. ვარ საქართველოს საუკეთესო მოსწავლეთა და „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეთა კლუბების წევრი, ოლიმპიადების მრავალჯერ გამარჯვებული, ქართულ ენაში, მათემატიკასა და უნარებში, მხატვრული კითხვის კონკურსების გამარჯვებული და ოქროს მედლის კანდიდატი. წელს კი გავიმარჯვე 73-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ორ სექციაში.

ფშაურ იდეალებზე გავრდილმა, პოეტური ენა 12 წლიდან ავიდგი, პირველი რითმების პოეზია სიხარულით მეცხრე ცაზე ამიყვანა... მას შემდეგ კალამი ხელში ავიღე და ნელ-ნელა ჩვენი ქვეყნის წარსულისა და დღევანდლობის შემეფრთხილებოდა პატრიოტული სულისკვეთებით ლექსების, კაფიებისა და ჩანახატების წერა დაიწყო. ფურცელზე გადამაქვს ჩემი თვალთ დანახული სამყარო, ოცნებები, იმედები, მისწრაფებები და გრძობები...

მჯერა, ჩემი ლექსები ერთ დღესაც თავის სათქმელს იტყვის და მეც ჩემი სტრიქონებით, კიდევ ერთ აგურს შევმატებ ჩემს საფიცარს, ღვთისმოშობლის წილხვედრი სამშობლოს მშენებლობას და მივალწვე პოეზიის დიად, გაცისკროვნებულ მწვერვალს...

### ჩემო იმედო

დედიკო, ჩემო საფიცარო,  
ჩემო ღვთის მადლო ცოდვილ მიწაზე,  
დედიკო, ჩემო სულისფერო,  
ჩემო იმედო დედამიწაზე.  
მეამაყება, რომ მქვია შვილი,  
შვილი შენნაირ სხვაფერა დედის!  
შენგან ვისწავლე შეუპოვრობა,  
არმორჩილება მტანჯველი ბედის.  
ზურგით ცხოვრებაში სატარებლად  
ძალზედ მძიმე ჯვარი გხვდება,  
დედი, რატომ გერგო ცხოვრების აღმართი?!  
არ ვიცი ასე რატომ ხდება...  
მე როგორ აღვწერ უდიდეს ამაგს,  
რაც დაღლილ ხელებს ჩემთვის უქნია,  
ალბათ შენნაირ მეზობლო დედა  
ბუნებას ჯერაც არ შეუქმნია!  
რას ვხედავ მე შენს ღვთიურ თვალებში?  
უამრავ ტანჯვას და ბევრ სიყვარულს!  
განვლილ ცხოვრების ეკლიან გზას და  
გარდა ამისა, ზოგჯერ, სიხარულს.  
ვხედავ იმ იმედს — გათენებისას,  
რომლის ძალითაც ღამით ვიძინებთ,  
შენი არსება მაფიქრებინებს,  
რომ ჩვენ ხვალ კვლავაც „გამოვიღვიძებთ“.  
მინდა შენ გგავდე!  
მეც რომ მქონდეს ღონეც და ძალაც,  
რომ წუთისოფლით გადაქანცული  
კვლავ იმედებით ავივსო ხვალაც.  
მინდა შემემძლოს შეუძლებელი —  
მთელი სამყაროს ჩუქება შენთვის,  
ამ სახეს მთვარის და ვარსკვლავების,  
სხვის მოპარვა კაშკაშა მზესთვის.  
მინდა ვიცხოვრო შენთვის,  
მეც რომ დაგტოვო კვალი,  
ბევრჯერ გაგახარო და გაგაბედნიერო  
სახედარდიანი ქალი...  
მსურს მოგიმუშო ყველა იარა  
და დაგიკოცნო ცრემლიან თვალები,  
მინდა ჩაგეხუტო, გაგიქრო დარდი და  
მთლად წაგიშალო სახეზე ღარები.  
სწორედ შენით გავხდი ასეთი მორწმუნე,  
შენი მაგალითით ვისწავლე ლოცვა,  
გპირდები, დედი, შენი გზით ვივლი,  
რათა არ მქონდეს არც ერთი ცოდვა!..

გიჭირს და არა ჩანს საშველი?!  
 არ შედრკე, არ მოჰყვე ცრემლის ღვრას!  
 არა გაქვს არავის იმედი?  
 არც არავისგან ელი ხსნას?  
 წაქცევას ცდილობენ?  
 წამოდექ, დამშვიდდი...  
 შეხედე შხეს და ცას.



## ჰახტანგ ბოხიშვილი

დავობადე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2005 წლის 5 მაისს. ვსწავლობ ქვემო ქედის საჯარო სკოლის მე-8 კლასში.

ლექსების წერა დაიწყო 11 წლის ასაკში, ამ დროიდან აქტიურად ვცდილობ გამოეცე ემოციები, შთაბეჭდილებები და აზრები სტრიქონებით... ლექსების თემად შევარჩიე სიყვარული, გრძნობა, რომლის გარეშეც დედამიწაზე არაფერი ზდება... მაგრამ ამავე დროს მრავალი ლექსი მაქვს დაწერილი პოეზიაზე, სამშობლოზე და ა.შ.

ჩემი დებიუტი შედგა კონკურს „ზღაპარ იყოში“, სადაც პირველი ხარისხის დიპლომი მივიღე. მას შემდეგ კიდევ მრავალ კონკურსსა თუ ღონისძიებაში მივიღე მონაწილეობა, სადაც ასევე წარმატებებს მივაღწიე... ვცდილობ, ჩემი ლექსების სახით კვალი დავტოვო ქართულ პოეზიაში...

შეჭრილი ფრთებით ღრუბლებში აიჭვრ,  
 სევდა არ ანახო სხვას.  
 ოცნების ფუნჯებით სპექტრები მოხატე,  
 გაიაპრილე ცა!  
 დაგლეჯილ ფეხებით იარე აღმართზე,  
 ვიდრე არ მიაღწევ ზღვარს...  
 ვიდრე არ აივლი მწვერვალს და  
 გოლგოთის ეკლიან გზას!..

## მიყვარხარ


ნეტავ ასეთი რა დავინახე მის თვალებში,  
 რომ მასთან მდგომი ჩავიდირე ტალღებში,  
 გულმა დაიწყო ჩქარი ფეთქვა  
 და შემახსენა — მიყვარხარო, რომ უნდა მეთქვა.  
 მომხიბლა მისმა ღიმილმა  
 და გული შემიწუხა სიყვარულისთვის ტირილმა,  
 რაღა არ მახსოვს ცხოვრებიდან?!  
 მინდა, მაგრამ ვერ ვშლი გონებიდან.  
 მახსოვს ღამე შენთვის თეთრად გათენებული  
 და გული შენთვის ამღერებული,  
 როცა გიყურებ, ენა მებმება,  
 ჩემი სიყვარულიკი შენს მიმართ არ დაბერდება!

## თავისუფლება

ღმერთო, გთხოვ გვიმრავლე პატრიოტები,  
 გვაწერინე მათთვის სახობო სტროფები,  
 თუ ჩემს თხოვნას შეასრულებს უფალი  
 და ჩვენი სამშობლო იქნება თავისუფალი.  
 მაშინ ტანჯვას აღარ გამოჰკედს გრდემლი,  
 აღარ დაიდგრება მრავალი ცრემლი,  
 თვალიდან აღარ ჩამოგვარდება ნამი,  
 სასიხარულო იქნება ყოველი წამი.  
 თუ მოღალატე სამშობლოს აღარ გაყიდის,  
 აღარ მოგვიწევს გამოვლა სისხლიანი ხიდის,  
 მაშინ აღარ მოგვიწევს აღება ხმლების,  
 აღარც მოგვიწევს აკრეფა დაღწილი ძელების.  
 აი, მაშინ ქართველნი დაისვენებენ,  
 გმირებიც საფლავში მშვიდად განისვენებენ,  
 ახლა აღარ წაგართმევთ დიდ დროს,  
 ღმერთს ვთხოვ პატრიოტობამ ჩვენშიც დაიმკვიდროს.



# ფაზილ ისკანდერი



ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობები ორი მოძმე ხალხის დიდი კულტურის საერთო მონაპოვარია. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ქართველი საზოგადოება ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა და იჩენს საერთოდ აფხაზური კულტურისა და მწერლობის, უპირველეს ყოვლისა, კი გამოჩენილი აფხაზი პოეტის, პროზაიკოსის, სცენარისტის, ესეისტის, ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის, სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის სახელწიფო, ასევე, პუშკინისა და „ტრიუმფის“ პრემიების ლაურეატის, „მამულის წინაშე დამსახურებისათვის“ ოთხივე ხარისხის ორდენის კავალერის, ფაზილ ისკანდერის მხატვრული შემოქმედებისადმი.

ფაზილისათვის არასდროს ყოფილა უცხო არც ქართული კულტურა და მწერლობა და არც ქართულ ყოფა და ადათ-წესები. ქართველი კლასიკოსებიდან ყველაზე მეტად მოსწონდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელსაც ქართველ ლერმონტოვს ეძახდა. თანამედროვეთაგან კი უპირატესობას ჭაბუა ამირჯვანის ანიჭებდა. იგონებდა, რომ ყმაწვილობაში სიზარმაცისთვის მეტსახელად ლუარსაბ თათქარიძეს ეძახდნენ და, როგორც თვითონ ამბობდა, ეს კი არ სწყინდა, არამედ, პირიქით, სიამოვნებდა და ამ „როლს“ ბეჯითადაც იფერებდა.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პერიოდში იგი ერთგვარად ჩრდილში იდგა და ფრთხილად იყო განწყობილი ვლადისლავ არძინბასადმი. მას საჯაროდ არასდროს გამოუხატავს მხარდაჭერა აფხაზეთის სუვერენიტეტისათვის, წინააღმდეგი იყო საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფისა, რადგან მიაჩნდა, რომ ამ გზას მოძმე ერები „სისხლიანი ჩიხისკენ“ მიჰყავდა.

გთავაზობთ, მწერლის შესანიშნავ მოთხრობას „უმაღური დამნაშავე“, რომელიც თარგმნა მწერალმა და პუბლიცისტმა გიზო ზარნაძემ. იგი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ძმური თანაცხოვრების ჩვენთვის ასე მონატრებულ ნათელ დღეებს.

## უმაღური დამნაშავე

ძვირფასო სტუმრებო, რა შემიძლია მოგიყვებთ ამ შემთხვევასთან დაკავშირებით? ვერაფერსაც ვერ მოგიყვებით სახეიროს. მატარებლის ბორბლებში ჩაფარდნილი პიონერი რომ გადამერჩინა ან აქვითინებული მშობლებისთვის გატაცებული ქალიშვილი ხელუხლებლად დამებრუნებინა, იცოცხლე, გმირობად ჩამეთვლებოდა, ხოლო ამ შემთხვევამ, გმირობას არადა, უბედურებას ნამდვილად გადაიკიდა.

ხუთი-ექვსი წლის წინანდელი ამბავია. ჯერ კიდევ ახალბედა, გამოუცდელ თანამშრომლად ვითვლებოდი რკინიგზის მილიციაში. იმ დღეს ერთი ვაგონი კარტოფილი ჩამოდგა უკრაინიდან. ავწონეთ და რას ვხედავთ! ზენდაღებთან შედარებით, მთელი სამასი კილოგრამი აკლია!

მირეკვენ კიდევაც და ამ ფაქტს მატყობინებენ. მოვიყნოსე – კი, ნამდვილად მიტაცების სუნი ტრიალებს.

– კარტოფილი რა უყავი-მეთქი, – ვეკითხები გამყოლს, რომელსაც შემდგომ „დამნაშავედ“ მოვიხსენიებ ხოლმე.

– მივაყიდეთ, – მომიგებს ყოვლად თავხედურად და დაუფარავად.

– რას ქვია, მიაყიდე! სახელმწიფო კარტოფილი, რა, მამაშენის ქონება გეკონა?!

დუმს. არ აპირებს პასუხს. ვუსინჯავ საბუთებს – ყველაფერი რიგზეა. ეგაა მხოლოდ, რომ ექვსი თვის უკან გამოსულა ციხიდან. გატკობია რაღა! ერთხელ იჯდა, ახლა მეორედაც დაჯდება. დიდი ამბავი! ასეთი ტიპი კი ჩვენებურად, რკინიგზის მილიციის ენაზე, რეციდისტი, ყველაფერზე რომ აწერს ხელს. ასეთ, უკაცრავლი პასუხია და, ადამიანს, კარტოფილი კი არა, თვა რა არი, თვაც არ უნდა ანდოს კაცმა. ასეთი თვასაც მიაყიდის ან, სხვა თუ ვერაფერი მოუხერხა, ხანძარს მაინც გაუჩენს. იმ პირველად ენდნენ, ალბათ, და გამოუშვეს; გეხსომებათ, კამპანია იყო ასეთი: ნღობა ყოფილ დამნაშავეებს შემდგომი გამოსწორების მიზნით!

მაგრამ, ჩემო ძვირფასო სტუმრებო, გულზე ხელი დავიდოთ და, ნაწილობრივ, ეს კამპანია მცდარი გახლდათ. მაგალითად, თუ ადამიანს გამოსწორება სურს, თავად გამოსწორდება. მაგრამ, შესაძლოა, არც გამოსწორდეს. ხოლო, თუ ადამიანს გამოსწორება არ სწადია, თავის დღეში არ გამოსწორდება!

იმ ჩემ დამნაშავეს, ვერ გეტყვით, რისი იმედი ჰქონდა. იქნებ ასეც ეგონა, ამ პატარა სადგურზე სასწორი არ ექნებათო; ან, თუ ექნათ, მწონავს რუსული ნაღდად არ ეცოდინებო. ასე თუ ეგონა, ძალიანაც შემცდარა, რადგან წერა-კითხვის მცოდნე კადრიც გაგვაჩნია და, სხვათა შორის, სასწორი, სატვირთო სადგურებში კი არადა, ნებისმიერ ჩაის პლანტაციაში უდგათ, რადგან ყოველ მკრეფავ ქალს სურს, იცოდეს, რამდენი ჩაი ჩააბარა იმ დღეს სახელმწიფოს, საბოლოოდ კი – რამდენი გამოიმუშავა.

ერთი სიტყვით, მოწმეების თანდასწრებით ჩამოვართვი საბუთები, ფული, რომელმაც მაშინდელი კურსის მიხედვით, ათას რუასი მანეთი შეადგინა, და ვუბნები, გამომყე-მეთქი. წამომყვა.

სინამდვილეში, მე ოდნავ უკან მიეყვები და ფული ხელში მაქვს ჩაბლუჯული. რა ჯანაბად მინდა ჯიბეში სახელმწიფო ფულები, კომენდატურა აქვე, გვერდზეა-მეთქი, გავიფიქრე. იქ, ჩვენთან, ყველაფერი გვერდითა გაქვს, რკინიგზის მილიცია ყოველთვის ამისთანა ადგილზეა ხოლმე. მივდივართ. გადავჭრით აგერ ვაგზლის მოედანს და მორჩა, ადგილზე ვიქნებით.

მიუხალოვდით იმ ფარდულს, რომელიც, ბაქანზე თუ გადინხართ – მარჯვენაა, ხოლო, თუ ბაქნიდან გამოდინხართ, მარცხნივ იქნება, და დამნაშავემ ანაზღად ფეხი მიაღვა. ასწია თავი და მეუბნება:

– შეიძლება, წყალი დავლიო?

მოიხედ-მოიხედ, კაციშვილი არაა. ერთი მხრივ, ვხედ-ბი, წესდებას რომ ვარდევ, მაგრამ, მეორე მხრივ, აღმური ასდის მთელ ვაგზალს და შემეცოდა ის მუდრევი. დამნაშავე კია, მარა, ადამიანი მაინც, ციხეში რომ შეაგდებენ, სიროფიან წყალს კი არა, უბრალო, გაზიანსაც არ დააღვეინებენ-მეთქი.

–კაი, დალიე, მიდი.

ფული კი, სხვათა შორის, არა აქვს. საიდან ექნება, მისი ფულები აგერ მაქვს ხელში მომუჭული, მაგრამ სახელმწიფო ფულს კაპიკსაც ვერ მოვაკლებ, რასაკვირველია. ამოვიღე საკუთარი ჯიბიდან ხურდა და ვეუბნები:

– დალიე, სანამ ვინმე გამოჩნდებოდეს.

დავღე ხურდა დახლზე და რამდენიმე ნაბიჯით გვერდზე გავდექი. დახლში ერთი მოზუხული მამაკაცი იდგა. პაპანაქება გახლდათ და არც ვაჭრობა ღუღდა მაინცდამაინც. ამიტომ ისე დაბჭიტა რულმორეული თვალები, ეტყობოდა, ძლივს არჩევდა საგნებს. იქ ასეა, მატარებელი რომ ჩამოდგება, გიყვარდეს ვაჭრობა! დანარჩენ დროს კი ზის უსაქმურად, ცალი თვალთ ბუხებს უდარაჯებს, ცალი კი მილულული აქვს. ამასობაში, დაუსხა იმ ძილვედარამ სიროფიანი წყალი და ესეც ყლურწავს გემოიანად. წყალი მეც მომიხდა, მაგრამ რა ვქნა, უნდა მოვითმინო. ისედაც ვარდევ წესდებას და, კაი ბიჭი ხარ, დამნაშავესთან დაღვე! შეიძლება, ძვირად დაძივდეს და იმითომ.

– ვახტანგ, ძვირფასო, – მეუბნება ამ დროს ის თვალებდაბჭეტილი, – ძმასავით გთხოვ, მიმიღვენ და რაჯს თვალი – დამლაშობით სძინავს თუ ღვიძავს?

– რა თვალის ღვენება უნდა, ისედაც ვიცი: კარგ ამინდში სძინავს, ცუდში – არა.

– რაზეა ნეტა დამოკიდებული? – მეკითხება გაკვირვებულ.

– რაზე და თავშესაფარზე. თუ კარგად შეაფარა თავი, ავდარშიც სძინავს.

ამ ლაპარაკში რომ ვართ, ვხედავ, ჩემი დამნაშავე რაღაც ჩაფიქრიანდა. ჩვენი მუსაიფი არ ებიჭნავა თუ გუშაგისა შემურდა, დღემდე ვერ მივხვდარვარ. ვატყობ, ჩაფიქრიანებულია და მეტი არაფერი. რა ვიცოდი მე ბოთემ, რომ, დამნაშავე როდესაც ფიქრებშია წასული, მამასადმე ახალი დანაშაულის გეგმას ადგენს.

და აი დალია წყალი და ჭიქა დახლზე დადო. გამყიდველი ჭიქას სწვდა და ოდნავ შებრუნდა მხარმარცხნივ. კაცმა რომ თქვას, სარეცხელსაც უკუდმართად დგამენ. მე რომ მკითხონ, პირდაპირ დახლზე, ცხვირწინ უნდა ედგეს, რომ ვერაფერი ააწაპნონ.

აგერ არ გეტყვით? როგორც კი გამყიდველი ზურგით შებრუნდა, ებღვნა ის შობელძადლი დახლზე დადებულ დანას და პირდაპირ ჩემზე აიღო გეზი! მოდის, მაგრამ აღარ იკითხავთ – როგორ?! გარეული ტახი რომ გინახავთ, ისეა დაძაგრული. იმსიგრძე დანით, ძეხვსა და პალვას რომ ჭრიან, კაცის დაჭრაც არაა ძნელი.

აუჰ, შენი... მე აგერ სიროფიანი წყლით გიმასპინძლდები, საკუთარი ფულით ვარდევ წესდებას და შენ დაკვლას მიპირებ?! მერე, შენ მიჩენ შეილებს, არა?

ხედავთ, ძვირფასო სტუმრებო? კაცს სიკეთე ვუყავი, ადამიანურობა გამოვიჩინე და ჩემივე სიკეთე არ მღუპავს?!

დავიხიე ნაბიჯით უკან. გაგიგონიათ? მოდის, მასწორებს. კიდევ გავდგი ნაბიჯი უკან – მოდის პირდაპირ. ეს ოხერი ფულიც ხელში მაქვს და ხელს მიშლის. გადაყარე რა! თავს

უშველე რა! არ შემიძლია, მთავრობის ფულია, ჩემი ზომ არ არის?!

ამასობაში, კედელს მივეკარი ზურგით. ახლა რაღას შევბი! ბაქანი ვაგზლის მოედანს სწორედ ამ კედლით ესაზღვრება. ხანდახან ამ კედელს ბალუსტრადასაც ეძახიან. არ ვიცი კი – რატომ, არავითარი რიკულები არ გააჩნია და მაინც ეძახიან.

ძლივს მოვასწარი, დავაძვრე რეკოლვერი და სწორედ ამ დროს მხია დანა. ხომ არ გგონიათ, უბრალოდ მომიქნია? რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გამომიქნა. თუმცა, როგორც ჩვენში იტყვიან, არც მე ვმდგარვარ პირდაპინილი – წამის უსწრაფესად გავდგი ნაბიჯი გვერდით, თორემ, დედას გეფიცებით, ჩემი ორი შვილი მომიკვდეს, ისე აძგერა დანა კედელს, ნაპერწკლები დასცვივდა. გატეხილიყო მაინც ის პატრონსაკვდავი!..

რეკოლვერი უკვე ხელთა მაქვს, მაგრამ ჩახმახის შეყენება არ გინდა? ფული მიშლის ხელს. გადაყარე რა! თავს უშველე რა! ვერ ველევი. ჩემი ხო არაა, მთავრობისაა! ისე, რომ იცოდეთ, ყველანაირი უბედურების სათავე ფულია. ეს უმაღური კიდევ, დამნაშავეზე ვამბობ, არ მეშვება. როგორც იქნა, პატეცემულო სტუმრებო, რეკოლვერი ცალი ხელით ბარძაყზე მივიბჯინე, მეორეთი ძლივძლივობით გადმოვწიე ჩახმახი და, როგორც კი გავსწორდი, დანა ცხვირწინ აღმოჩნდა; თან მყრალი, თვითნახადი არყით გაჟღენთილი სუნთქვა მესმის, რომლის მსგავსსაც, იმეღია, ჩემ სუფრავზე ვერავინ მოესწრება.

ბათქ! ბათქ! ზედ ქოჩრის თავზე გადაუფრინა ტყვიებმა ისე, რომ თმა გადაუწქა. მაინც არ ჩერდება შობელძადლი! ჩანს, გადაწყვიტა: თან რომ გადავყვე, ერთ მილიცი-ონერს მაინც წავიდვანიებო!

მილიციონერი კი რა შუაშია, ძვირფასო სტუმრებო! კაცი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს თავისთვის და, ჯერ ერთი, თუ პატიოსანი ხარ, უნდა დაემორჩილო, მერე მეორეც, პატიოსანი თუ ხარ, მილიციონერი რაღად გიდგია მცველად?!

რაღა უნდა მექნა? ავიღე და მესამე ტყვია პირდაპირ ვახალე, თან რეკოლვერის ტარიც ვკარი გულგვამში. წაიქცა. თქვენ ღმერთმა გაშორეთ და, თქვენს მტერს, ის რომ წაიქცა!

მე კი ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩვენი სოფლიდან რკინიგზის სადგურამდე მთელი გზა ურემში ვყოფილიყო შებმული... ჩემო ძვირფასო სტუმრებო, კაცის მოკვლავზე სამხინელი არაფერი ყოფილა, თუ, რასაკვირველია, ადამიანი ხარ და არა – ღორი.

სულის მოთქმაც ძლივს მოვასწარი, ხალხი გარს შემოგვერტყა. უმეტესად, ჩამოსულები. რა მესმის! სწორედ ის არამზადები მაყენებენ შეურაცხყოფას: თან ადამიანი მოკლაო, თან ფულიც აართვაო და, რა ვიცი, რა გესლოს არ მანთხვენ! ეროვნული ღირსებაც კი შემიგინეს. თავისი ჭკუით, ისე გამოჰყავთ, თითქოს ასეთი რამ მართლ სამხრეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში შეიძლება მოხდეს და ცენტრალურ შავმიწიან ზონაში – არაფრისდიდებით! ერთი სული მქონდა მეკითხა: კი მაგრამ, ეს დამნაშავე ჩვენს ლობიოზეა გაზრდილი თუ თქვენს კარტოფილზე-მეთქი, მაგრამ მთლად გამოვლენიდი. ხმაურზე ჩვენი ბიჭებიც გამოჩნდნენ და მომხმარნენ. მოგრიალდა „სასწრაფოც“, შეაწვინეს შიგ დამნაშავე და გააქანეს; ჩვენ კი დამნაშავის გარეშე გავუყვევით კომენდატურისკენ. კიდევ კაი, ის გამყიდველი გვერდიდან არ მცილდება და წარამარა გაჰყვირის:

– ჩემ წინ მოხდა ყველაფერი, ამას ბრალი არ მიუძღვის! ჩამოსული არამზადები კი პასუხად ერთხმად ჩხავიან:

– თქვენ ყოველთვის პირი გაქვთ შეკრული, ერთმანეთის ტყავს უფრთხილდებითო!..

რა პირის შეკვრა, რის პირის შეკვრა! ჩემი შვილების სისხლი დაფლიო, მე თუ გამყიდველისგან ჭიქა სიროფიანი წყალი მახსოვდეს. გუშაგზე მკითხა იმ ადამიანმა რაღაც, ეგ იყო და ეგ. მეც კიდევ რა, თან გადავყვივი?! გავეცი ოფიციალური პასუხი და მორჩა!

ისე, ვაგზალს რომ მივუახლოვდით, არამზადები ჩამოგვრჩენენ, მეტუფეთე კი შიგ კომენდატურაშიც შემოგვყვავა.

– გვეურება შენ? – მიუბრუნდა მას ერთ-ერთი ჩვენი ბიჭებიდან, – წადი ახლავე და მიაკვტე ის შენი ღუქანი, თორე, გაგმარცხავენ ბიძია და მერე ჩვენ უნდა ვიმტვიროთ თავი.

– ეშმაკსაც წაუღია ფარდული, – მიუგო გამყიდველმა, – მოწმე მართო მე ვარ, ყველაფერი ჩემ წინ მოხდაო.

ბოლოს ოქმიც შევადგინეთ. მე ვზოვარ, ახსნა-განმარტებით ბარათს ვწერ. გამყიდველიც – ასევე. ამასთანავე, განყოფილების უფროსი მოვიდა და, ვითომც არაფერი, რეკოლვერი ჩამომართვა.

– დამიბრუნეთ ჩემი დანა! – მოითხოვა გამყიდველმა, – თორემ იმ დამსვენებელ ხალხს თხლად თუ არ დაუჭერი ძეხვი, ისე არ მიირთმევენ, გეკონებათ, ჩემთან არიან სტუმრად ჩამოსულნიო.

– ამ დანის დაბრუნება არაფრით არ შეგვიძლია, იმიტომ რომ ნივთმტკიცებაში გა-დისო.

– მაშინ სხვა დანა მაინც მომეცით, იმიტომ რომ, ჰალვას კოვზითაც მოუხერხებ რამეს, ძეხვისა კი რა მოგახსენოთო.

– შე კაი დედამიშვილო, ჩვენ დანებს კი არ ვაძლევთ ხალხს, არამედ ვართმევთ, რადგან ცივ იარაღად ითვლებათო.

– ჰოდა, მაშინ სულ მივაკეტავ იმ დასაწვავს, მაინც საწყობში ვარ წასასვლელი და, როცა საჭირო შევიქნე, დამიძახეთო.

ერთი სიტყვით, რეკოლვერი ჩამომართვეს, მაგრამ მუშაობით, ვმუშაობ. ძველ საქმეებზე მამუშავებენ, მაგრამ ახალ საქმეს არ იძლევიან.

ღმერთმა ჯანი მისცეს და ჩემი უფროსი მეუბნება ხუმრობით:

– იმის წყლით გამასპინძლებას, არ გერჩია, მამაშენთან წაგვეყანა სოფელში და ზედაშე მიგერთმია, მეორე დღეს კი სალსალამათი დაბრუნდებოდით!

– ამხანაგო უფროსო, – ახლა მეც გაეხუმრე, – დამნაშავესა და მუდრეგს რატომ წაუყვანდი მამაჩემს, თუ წაყვანა, შეიღოს წაუყვანდი, რომელიც ჩემ თავს ურჩევნია-მეთქი.

– კაი, კაიო, – მომიჭრა, – ვნახოთ, ზემოთ რას იტყვიან, ჯერჯერობით კი იმუშავეო.

სხვათა შორის, დამნაშავეს ორი დღის შემდეგ, სიკვდილის წინ, მოუხედავს და უთქვამს, მილიციონერი არაა დამნაშავე, მე ვარო.

მეხუთე დღეს კაბინეტში ერთი ხანშესული, სახეგატან-ჯული დედაკაცი შემოვიდა. კი მიყო გულმა რაღაცნაირი რეჩხი, მაგრამ მაინც ვერ ვიპარე.

– თქვენ მე ქმარი მომიკალითო, – ამოიხლუკუნა და გულამოსკვნილი ტირილი მორთო.

– დაწინარდით, ქალბატონო-მეთქი, – ვამშვიდებ, – იმ თქვენი რეციდივისტის გამოისობით მეც შავ დღეში ვარ ჩავარდნილი, მაგრამ მოხდა უბედურება და რაღაც გა-ვაწყოთ-მეთქი.

– იმ ჩემ სამ შვილს რაღა ეშველებათ, ობლად რომ მრჩე-ბიანო, – შემომტირა.

ამის გაგონებაზე ისე შეშინებდა საკუთარი თავი, ისე ავენ-თე, რეკოლვერი რომ მქონოდა და უშვილოდ ვყოფილიყავი, გეფიცებით შვილებს, ვიხლიდი ტყვიას შუბლში და მოვისვენებდი.

– ნუ ინებებთ ტირილს, ქალბატონო, დამშვიდდით რითაც შემეძლება, დაგეხმარებით. ცხედარს ჩემს ხარჯზე ვაგაგზავნივთ, სასახლესაც ჩემს ხარჯზე შევუკვეთავ და, ფულს კიდევ, რამდენიც შემეძლება, ფულად მოგცემთ-მეთქი. გნებავთ, წაბლის კუბო შევუკვეთოთ, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, უბრალო და იაფი აჯობებს, რადგან ბავშვებისთვის ფული მეტი მოგიწევთ-მეთქი.

– აჯობებს კი არა, უბრალოც არამია მაგაზეო, – ტირის ისევ, – მაგისგან ისედაც სიცოცხლე მქონდა გამწარებუ-ლიო...

– არა, დედილო, მაპატიეთ და მიცვალებულზე აუგის თქმას ნუ ინებებთ, რაც უნდა იყოს, თქვენი შვილების მამა-მეთქი.

ნელ-ნელა ჩაწყნარდა და აქეთ მეც მოვიტყვი სული. მოვი-ილაპარაკეთ, როგორც იქნა. ბევრი რო არ ვაგაგრძელო, კაი ხუთი ათასი დამიჯდა ეს საქმე. ჯერ კიდევ მაშინ მქონდა ამ სახლის ასაშენებლად დაგროვილი ორი კაპიკი და წვიდა ალთას!

ამით რომ დამთვრებულიყო ეს საქმე, რა მიჭირდა! გრძელდება და მეც სულ ვაგზალზე ვარ დღედაღამ. ისე გამოდის, რომ იქვე ვმუშაობ და იქვე ვცხოვრობ.

აქეთ არი და რეკოლვერს არ მიბრუნებენ, იქით არი კიდევ და, მუშაობით მაინც მამუშავებენ.

ერთი მხრივ, კი ბატონო, გვჯერა, დამნაშავემ გაიძუ-ლა და ხელში შემოგაკვდა, მარა, სიროფიანი წყლით რას უმასპინძლებოდი, სიფხინზე მოადუნე და ყოვლად გაუმართლებელი ლიბერალიზმი გამოამჟღავნეო, მეუბნებიან.

ამნაირ ყოფაში რომ ვარ, გამყიდველი მეძახის ერთ დღეს, საქმე მაქვსო. მივედი და მეკითხება, სასამართლო როდისაა დანიშნულიო. არ ვიცი-მეთქი, ვეუბნები.

– მისმინე, რა გითხრა. მოდი ყველაფერი სხვანაირად შევატრიალოთო.

– სხვანაირად რატომ-მეთქი?

– კაი რაღაც მოვიფიქრეო, – მეუბნება, – ჩვენ ასე ვი-ტყვიოთ: უეცრად დამნაშავემ წააგლო დანას ხელი და სალა-როს გადარცვა დააპირა, რადგან სწორედ იმ მომენტში ფულს ვითვლიდი-მეთქი. მაგრამ მე, ვითომ, არ დავიბენი, ვკარი ხელი და სალაროს მოვაშორე. მხოლოდ ამის შემდეგ შე-მოვიტია ვითომ შენ, რომ რეკოლვერი წაერთმია და მეორედ დასცემოდა სალაროს.

– რეკოლვერი მე ისედაც ჩამორთმეული მაქვს და ჩემი დარდი მყოფნის, ვერ გამიგია, რას ფანტაზიორობ-მეთქი.

– ისე გამოვა, თითქოს ჩვენ სახელმწიფო ქონების დაცვი-სას დაზარალებული და გაზეთშიაც გამოგვჭიმავენო.

– მე მართლაც დაზარალებული და დამნაშავე ხომ დაზარალ-და და დაზარალებული, მარა, შენ რა გეზარალა? დანას თუ გულისხმობ, სხვას გომოვნი-მეთქი.

– დანას მე არ ვგულისხმობ, მარა, მაინც მოდი, ყვე-ლაფერი შევატრიალოთო.

– თუ კაცი ხარ, რაც მე ცხოვრება შევიტრიალე, ისიც მეყოფა, ახლა ხელმეორედ შევატრიალო რა, ცირკში ვართ და სალტო-მორტალეს ვასრულებ-მეთქი?!

– ცირკში არა ვართ, მარა, ინტერესი გამიჩნდა ასეთი – ყველაფრის სხვანაირად შეტრიალება მინდაო.

გაემორდი, მაგრამ სულ გამიფუჭდა გუნება-განწყობილება. ყოველდღე ინსპექტორის ლოდინში ვარ, რომელმაც ჩემი საქმე უნდა გაარჩოს. გაგიხედე და ამ ჩერჩეტსაც გამოუძახოს, ხომ სულ ჩამიგლო კოფი ნაცრში. ჩვენში რომ იტყვიან – გაჭირვებულს ქვა აღმართში მიქწიაო, ისეა, რაღაც ერთადერთი მოწმე მყავს და ისიც ფანტაზიორი...

მოვესწარი ინსპექტორის ჩამოსვლასაც. რომელი ქალაქიდან გვეახლა, ზუსტად ვერ გეტყვით; გეტყვით მხოლოდ, რომ „თან“ ურევია სახელში: იქნებ ფოთიდან, იქნებ თელავიდან, იქნებ თბილისიდან.

ისეთი წარმოსადგეი, სოლიდური შესახედაობის კაცი იყო, რომ თქვენგან მოწონებული; შევიდა ჩემს უფროსთან. მე კი ვზივარ და ველოდები, როდის დამიძახებენ. ბოლოს კარი გაიღო, გამოვიდა ინსპექტორი და პირდაპირ მე მომასწორა. წამოგხტენდი (კუთხურად შეგნებულად ვთარგმნი ამ ზმნას – მთარგმნელი).

- ეს შენა ხარ, ბიჭო, გმირი? – მეკითხება.
- უნებლიე გმირი ვარ, ამხანაგო უფროსო-თქვა, – მიუუგე.
- მეორედ რომ მოგიწევს დამნაშავეს გამყოლობა, „ბორჯომი“ იგულე ჯიბეში.
- როგორ შეიძლება, ამხანაგო უფროსო?! – გავიკვირე.
- კი, კი, „ბორჯომი“ იქონიე, მაგრამ ჭიქა ქაღალდისა გირჩევნია, თორემ მინის ჭიქას გრეხავს მაგ გოგრაში და შუაზე გაგიპობსო.
- გხედები, ხუმრობით რომ მელაპარაკება. უფროსი თუ ხუმრობით გელაპარაკება, შენც ხუმრობით უნდა ელაპარაკო. ასეა წესი.
- სხვა დროს, ამხანაგო უფროსო, „ბორჯომს“ კი არა, ხელყუმბარას ვიგულეებ ჯიბეში.
- აჰ, ხელყუმბარა ნამეტანია, მაგრამ სიფხიზლე არ უნდა მოადუნო.
- ამხანაგო უფროსო, გაგეონებათ, ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებათ, მაგრამ... ჩემი შვილების ბედი ახლა თქვენს ხელთაა, უფროსო!
- ეგ არაფერი, დახმარებით დაგეხმარებით, მაგრამ, – მიცინის, – ისიც იცოდე, ჩალის ფასად ვერ გადარჩებიო.

ვითომ ვხუმრობო და სიტყვა ქე გადმომკრა. რომ იცოდეთ, მე მეუხერხულა მის მაგიერ, რადგან ჩვენმა ბიჭებმაც გაიგონეს, მაგრამ უმაღლესი ღმერთი ფინტი ჩაუტარე, რომ მისი ღირსება ნამდვილად ვიხსენი.

– ამხანაგო უფროსო, თქვენ სპეციალურად ჩამობრძანდით ჩემი პირადი საქმისათვის, ოჯახსაც მოსცდით, მგზავრობაშიც დაიხარჯეთ... ნუთუ ჩვენც ვერ მოვისაზრებთ იმდენს, რომ სიკეთეს სიკეთით ვუპასუხოთ?! ან სულაც ჩვენებური სტუმართმოყვარეობა ვერ გამოვაძღვანოთ?!

მომიბრუნდა მხარზე ხელი და წავიდა. რაღა ბევრი იმავესქნა – ეს საქმე კაკალივით ორიათასი დამიჯდა მაშინდელ ფულზე. ახლა ამას დაუმატეთ სამასმანეთიანი სუფრა რესტორანში (კიდევ კაი, ღვინო მამაჩემისგან ჩამოვიტანე!). გაუთავდი კაცი. რაიო? აილო? აილო რომელია, ისე არჩენად გამომართვა, თითქოს მამაჩემს მამამისისგან ესესხოს ასი წლის წინათ, მაგრამ შაქრად შეარგოს! შევლით კი მიშველა და... გუშუაობ მის მერე ჩემთვის მშვიდად და ვარ. ისე, ამ ხლაფორთს რომ არ გადავყრიდი, ამ სახლსაც ადრე ავაშენებდი და ჩვენც კაი ხნის წინათ შემოგუსხდებოდით ამ ჩვენს პატარა, ღარიბულ, მაგრამ გულითად სუფრას.

ასე რომ, ჩემო უძვირფასესო სტუმრებო, არავითარი გმირობა მე არ ჩამიდენია, რადგან, ამქვეყნად, კაცის მოკვლაზე უფრო საზიზღრობა არაფერია. მთელი ნახევარი წელიწადი ჭკუაზე არ ვიყავი ნერვებისგან.


მოდით, მეგობრებო და, მშვიდობას გაუმარჯოს მთელ მსოფლიოში, რომ არავის აღარავინ გაემეტებინოს მოსაკლავად! შვილებს გაუმარჯოთ ჩვენსას! მილიციის მუშაკებსა და მოსახლეობას შორის ურთიერთგაგებას გაუმარჯოს, ჩემო სტუმრებო! ყველასთან ვარ ალავერდი!

რაც შეეხება საცხა-საცხეიდან ჩამოთრეულ არაშხადებს, ჩაუწერლად რომ ცხოვრობენ ჩვენს ქალაქში, სათითაოდ მივაბრძანებთ თავთავიანთ საცხოვრებელ ადგილას, ხოლო ჩვენს დაუდევარ გამქირავებლებს – დაჯჯარიმებთ აი ასე!

თარგმნა  
გიორგი ზარნაძემ

### ჰერმან ჰესე

#### ნიგნის მავია



იმ სამყაროთაგან, რომლებიც ადამიანს ბუნებამ კი არ უბოძა, არამედ მისი სულის მასალისაგან შექმნილია, წიგნის სამყარო უდიდესია. სიტყვის, დამწერლობის, წიგნის გარეშე არ არსებობს ისტორია, არ არსებობს ცნება „კაცობრიობა“. თუ ვინმე შეეცდება ადამიანის სულის ისტორიას თავი მოუყაროს ერთ ადგილზე – ერთ ოთახში ან სახლში – შემოსაზღვრულ სივრცეში, რათა შეისწავლოს, დაეუფლოს ამ ისტორიას, ამის გაკეთებას მხოლოდ ერთი საშუალებით – გარკვეული წიგნების შერჩევით შეიძლება.

სიტყვა და დამწერლობა ყველა ხალხისთვის წმინდა და მაგიური რამ იყო. ვინმესთვის ან რამისთვის სახელის დარქმევა, ისევე, როგორც მისი დაწერა, მაგიურ ქმედებად, სულის საშუალებით ბუნების მაგიურ წვდომად ითვლებოდა, ხოლო წერის ნიჭი ღვთიური გამოცხადების ტოლფასი იყო. ხალხების უმეტესობისთვის წერა და კითხვა წმინდა, საიდუმლო ხელოვნებად ითვლებოდა და ქურუმთა პრივილეგიას წარმოადგენდა. თუ ახალგაზრდა ხელს მოჰკიდებდა ამ

საოცარი ძალის მქონე ხელოვნების შესწავლას, ეს დიდი და განსაკუთრებული მოვლენა იყო, მაგრამ ბევრს არ მიეცემოდა. სასყიდელი ამისთვის იყო ხელდასხმა და მსხვერპლი. სულიერი ცხოვრება მაშინ უფრო იშვიათ, უფრო კეთილშობილურ და წმინდა საქმედ ითვლებოდა, ვიდრე დღეს ითვლება. მას ღვთაება იცავდა, მასთან მისასვლელი გზა კი რთული იყო. ტყუილუბრალოდ არავის მიეცემოდა. ჩვენ მხოლოდ მიახლოებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რას ნიშნავდა წერის საიდუმლო გაუნათლებელი ხალხის წიაღში, ეს იყო სახელი, დიდება და ხელისუფლება, ეს იყო შავი და თეთრი მაგია, თილისმა და ჯადოსნური კვერთხი.

დღეს კითხვა, თუშტა, ყველას შეუძლია, ძალიან ცოტა ვინმე თუ ხვდება, რაოდენ ძლიერი თილისმა უპყრია ხელთ... ძალიან ცოტა ვინმე თუ ხვდება, რომ ყოველი სიტყვა ჯადოსნურია, მაგიური ფორმულაა და სწორედ ეს ძალიან ცოტა ვინმე ხდება ნამდვილი მკითხველი. ისინი ჯერ კიდევ ბავშვობაში აღმოაჩენენ რამდენიმე ლექსს ან ჰებელისა და ჰაუფის მოთხრობებს და შემდგომ, მისი მიტოვების მაგივრად, სულ უფრო ღრმად და ღრმად შედიან წიგნის სამყაროში და ნაბიჯ-ნაბიჯ აღმოაჩენენ რა უსასრულო სივრცეები, მრავალფეროვნება და, რაც მთავარია, ადამიანის გაბედნიერების რამხელა უნარია ამ სამყაროში. თავიდან ეს სამყარო პატარა ბაღია, სადაც ტოტები ხარობენ და პატარა ტბორი ლიცლიცებს, ტბორი კი ოქროს თევზებითაა სავსე. მოგვიანებით ბაღი პარკად იქცევა, შემდეგ – ქვეყნად, სამყაროს ნაწილად, ბოლოს კი მთელ სამყაროდ. ზოგჯერ იგი ჰგავს სამოთხეს, სპილოსძვლის ნაპირს, სულ უფრო მეტი ჯადოსნურობით რომ გიზიდავს და სულ ახალ-ახალი ფერებით ციმციცებს.

და ის, რაც გუშინ ბაღად, პარკად თუ პირველყოფილ ტყედ გეჩვენებოდა, დღეს ან ხვალ ტაძარი აღმოჩნდება, ტაძარი, რომელსაც ათასობით დარბაზი აქვს, სადაც ერთდროულად მყოფობს ყველა ხალხის, ყველა საუკუნის სული და ახალ გამოღვიძებას ელის, მუდამ შზად არის თავისი გამოვლენის მრავალსახოვანი ფორმები და ამ ფორმათა მრავალხმიანობა ერთ მთლიანობად აქციოს. ყოველ ნამდვილ მკითხველს წიგნის ეს უსასრულო სამყარო სხვადასხვაგვარად წარმოუდგება, ყოველი ეძებს და პოულობს კიდევ მასში თავის თავსაც. ერთნი ხელის ცეცებით იგნებენ გზას საბავშვო ზღაპრებიდან და ინდიელთა თავგადასავლებიდან შორს – შექსპირისა და დანტესკენ, სხვანი სასკოლო ასტრონომიიდან კეპლერთან და აინშტაინთან მიდიან; კიდევ სხვანი – მოკრძალებული ბავშვები, ლოცვებით მიუყვებიან გზას წმინდა თომას წმინდა გრილი ჭერქვემეთისკენ, ბონავენტურასკენ, თალმუდის გასულიერებულ ეგზალტაციისკენ, გაზაფხულის სურნელით სავსე უპანიშადებისკენ, ხასიდიზმის გულისამაჩუყებელი სიბრძნისკენ ან კიდევ ძველი ჩინეთის ასე მცირე მოცულობის, ასე კეთილი და კეთილზნობრივი მოძღვრებისკენ.

მხოლოდ ადამიანის სიბრძნესა და ილბლიანობაზეა დამოკიდებული, თუ რას შეიძლება ელოდოს ამ სამყაროს საიდუმლოების ხელდასხმული მომავალში – სუნთქვაშეკრული შეჩერდება როგორც პირველყოფილ ტყეში მოხვედრილი თუ იმ გზით წავა, რომელზეც თავის განცდილს, კითხვამ რომ მისცა, აქცევს ჭეშმარიტ განცდად და სარგებლობად მთელი ცხოვრებისათვის.

თარგმანა  
დალი სულაშვილი

ახლა რაღა ვქნა, ასე მარტომ როგორ გუართო ეს ჩემი ღამე, ეს ჩემი დღე, ბაგე ან სიტყვა. არა მყავს სატრფო, არც სახლი მაქვს, არც ის ადგილი, სადაც ცხოვრობენ, ყოფის სხივი მშვიდად უქრებათ, ისინი, მე რომ საკუთარი თავი ვუძღვენი მდიდრდებიან და ჩემით სხვებსაც ასაჩუქრებენ.

მეფე

მეფე თქვსმეტი წლის არის მხოლოდ, თქვსმეტი წლისა ტახტზე ავიდა. თვალს ისე აულებს თავის სამეფოს, თითქოს უშხერდეს სამალაგიდან საბჭოს უხუცესს, და მერე დარბაზს და მერე სადღაც გაღმა სივრცეთა და გრძნობდეს მხოლოდ ძეწკვის სიციფეს წაგრძელებული ნიკაპის წვერთან. და სასიკვდილო მძიმე განაჩენს უგვიანებდეს ბეჭდის დადებას. სხვები ფიქრობდნენ რომ იტანჯება. იმ სხვებში ნეტავ ეჭვებს ბადებდეს ის, რომ სამოცდაათამდე ითვლის ნელა, ზოზინით, სანამ განაჩენს ხელს მოაწერდეს.


თარგმანა  
ირაა შიოლაშვილი



რაინარ მარია რილჟე

ჰოეტი

შენ ჩემგან წასვლას ცდილობ ჟამო, დროის საათო და შენი ფრთები ჭრილობებზე შოლტივით მირტყამს,



### ჯამბერ უთრუთაშვილი

დედოფლისწუაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანი“ და ლიტერატურული აღმანახი „ხორნაბუჯი“ ვიზიარებთ, ჩვენი კოლეგის, ჩინებული მწერლისა და რედაქტორის ვაჟა ჩორდელის მწუხარებას – შვილიშვილის – ნიკა ჯორჯაძის, გარდაცვალების გამო. გთავაზობთ ჯუმბერ უთრუთაშვილის ლექსს, რომელიც ამ გრძობის გამოძახილია:

\* \* \*

#### ვაჟა ჩორდელს

რით განუგეშო კაცი ბებერი,  
არ გამოდგება ლექსი მალამოდ,  
პაპას ტირილი აღარ შეგფერის,  
თუმც ცრემლი როგორ უნდა დამალო?!  
რატომ სჯის ღმერთი კეთილს და ჭკვიანს,  
სიკვდილის კერძი რად ზღება ნორჩი,  
კაცი დაუბერდი, ვერ გამიგია,  
ბოროტს რადა აქვს ძლიერი ბორჯი?!  
შენებრ სასჯელი მეცა მხვდა წილად,  
ემშამ წამართვა შვილი სახარე.  
მუხა და ლექსი ვიწამე შვილად,  
სატანა მიტომ არ გავახარე.  
ვიცი არასდროს შეგიხორცდება,  
აუტანელი, მძიმე სასჯელი,  
მაგრამ სიკვდილიც კი გაოცდება,  
თუ არ გახდება მისი განმსჯელი.

#### სხარცულენი:

\* \* \*

მე ვერ დავლოცავ ჩემს მაგინებელს,  
ვერც მოვუწონებ საქციელს ბრიყულს,  
გული გონებას თუ მონიელებს,  
იმ გულსაც ჩავთვლი სულგაყიდულად.

გულია კაცის სინდისის სარკე,  
აღამიანის ზნეს გულში ვხედავთ,  
კარგსა და აუსაც გულებით ვარკვევთ  
და სიყვარულსაც გულებში ვჭვდავთ.

\* \* \*

ჩემი ლექსების ყველა სტრიქონი  
გულმა შობა და გულმა დაბადა,  
რომ არ მოეცხოს ავი მგლის ქონი,  
წამოვახურე რწმენის ლაბადა.

\* \* \*

ბვერი ვარამი გადავიტანე,  
ვინ იცის, კიდევ ბეჩავს რა მელის,  
მე არ ვედრები პოეტ ტიტანებს  
და არცა ვბაძავ ბელკრულ გრანელის.

\* \* \*

რვა ათეული წელი დაეხურე,  
შიმშილითა და შრომით, ოფლის ღვრით,  
გული ლექსების წერით ვახურე,  
გავაფოლადე სული უფლის ჯვრით!

\* \* \*

უფლის კურთხევით და ნებით  
ვარ ლექსის ყმა და მონა მე  
და გული, როგორც დანებით  
დავჭერ და ცრემლით მოუნამე.

\* \* \*

ვინც რომ მოყვარედ ვიცანი,  
ვინც რომ მეგობრად ვიწამე.  
მათი ზნე გვიან ვიცანი,  
მათი სიბრყვივით ვიწამე.

\* \* \*

არ ვუვარდები ჯამში არავის,  
არც ლუკმა მინდა სხვისი არამი,  
უფალს ჩემს გულში უდგას კარავი,  
მაწუხებს მოძმის დარდი, ვარამი.  
ბეჩავს დედის რძეც სრულად არ მერგო.  
წუთისოფელმა არ შემითვისა,  
გულში ლექსები როგორღა ვნერგო,  
ან როგორ გავხდე მოყვარე მტრისა?!

\* \* \*

რაც ხანი გადის, მით უფრო  
სადარდებელი მატულობს,  
გული ბებერი და უფხო  
შენს ნახვას მაინც ნატრულობს.

\* \* \*

ლომი ყოფილხარ ბალათერ,  
ამდენი სმით რომ არ დათვერ.

\* \* \*

ბეჩავ და ბებერ ბენტეარს  
ბელიც კი გადამემტერა.



### ზურაბ ხუბიბაშვილი

#### დილა ქიზიყში

მწიფე მტკვინისფრად გათენდა დილა,  
 ტყის კულულებმა იწყეს ტოკება  
 და სადაცაა დაიცვლებიან  
 მსხლები პაწია, ოქროს დოქებად!  
 (იასამანი, ღმერთო, როგორ ჰგავს  
 ეკატერინეს, ჭაუჭაუჭადის ქალს).  
 ხევის ფერია, – ამოდის ნისლი, –  
 ვით გადატეხილ მჭადიდან ორთქლი,  
 სადღაც აქვეა გუბედ დაღვრილი  
 სიმწვან-სინორჩით ტყე განაფოთლი.  
 ცისკარი გზაენის ღამაზ უფლისწულთ  
 მზის სასტუმროში, – ამ „ვაშა!“ მთაში  
 და მზე მატულობს ცაში თანდისთან,  
 როგორც მატულობს აკვანში ბავშვი!  
 მე გამოვსულვარ შენი დიმილის  
 მოსატაცებლად ნაპირზე ივრის,  
 ყაყაჩო ბაღს რომ ეპატარძლება,  
 თეთრ ტყემალს ვიდაც ემახის:– „ოვლით!“  
 ვერ მიცხოვრია მე ჩუმი ფიქრით,  
 სულის კლიტენი დამსხვრეულია,  
 ნუ გაიკვირვებ ამგვარი ხილვით:  
 ვიცი, ეგ კვიცი გარეულია!  
 უადვიროს და უმისამართოს  
 თუ პოეზიის ბედაურს ხედნი,  
 ქარჩქარი ქროლვაც ნუ შეგაშფოთებს,  
 ჯობს, სიმშვიდეზეც აიღო ხელი!  
 მწიფე მტკვინისფრად ინათა დილა,  
 ბიის დიმილი ბაგეს გფენია,

ქიზიყი ჩემთვის ნანაა დედის,  
 ქიზიყი ჩემთვის განაჩენია!

\* \* \*

ყვარლის მთებო,  
 ყვარლის მთებო!  
 თქვენ ილიას ყვარლის მთებო,  
 მგოსნის დარდნო და მშობელნო,  
 გულის ცეცხლით ანანთებო!  
 „მშვიდობით!“ – რომ გითხრათ შვილმა,  
 გულში ცრემლით ნაწვიმებით,  
 რა იცოდით თქვენ გამზრდელთა,  
 რომ ეპოქას აცილებდით!  
 თქვენ გაზარდეთ იგი შვილად,  
 თქვენგან გაჰყვა სულის დვრიტა,  
 ერის მოძემ ბოროტებას  
 თავი არცროს მოუდრიკა.  
 მუდამ დარდით ატარებდა  
 თქვენს სიყვარულს, ვით პირმშო ძე,  
 და მიტომაც მის სიტყვებში  
 თვით სამშობლოს გული რომ ძგერს!  
 ქარიშხლიან აზვირთებით  
 სიმამაცე უწილადეთ,  
 ლექსში ფერთა ელვარება  
 თქვენ აჩუქეთ უწინარეს!  
 თქვენგან წასულს საკურთხეველის  
 ცეცხლის ჰქონდა მუდამ გზნება,  
 არც არასდროს დაუთმია  
 სამამულო ტრფობა, თნება!  
 და „მშვიდობით!“ – გითხრათ შვილმა  
 გულში დარდით ნაწვიმებით,  
 რა იცოდით თქვენ გამზრდელთა,  
 რომ ეპოქას აცილებდით!

#### ხორნაბუჯი

ხორნაბუჯი ხოა ბურჯი  
 გმირთ ამბავთა მოამბეთა;  
 ეს უსაზღვრო სივრცე ფრთებით  
 რა ძალ-ქარმა მოაფეთა!  
 ქონგურები ქედებს ზვერენ  
 მეციხოვნის დინჯი მზერით!  
 ჩიტო, – ქებად მგალობელი,  
 აქ იმღერე, თუ იმღერი!  
 ხორნაბუჯი ხოა ბურჯი  
 გმირობის ჟამ მოამბეთა!  
 რამ ჰყო რიგი ჯაგრიანთა  
 კლდეთა, – კლდემდე მეუფეთა!  
 თუ იჯერებ: ამ მთის გარე  
 ჭმუნვა, შფოთი ქვეყნად ჰგვიეს!  
 ნატურისთვალო, – ხარისთვალო,  
 ერს სიმშვიდეს მოუმიდეთ!  
 შორს გაჰყურებს მეციხოვნე,  
 იხსენებდეს თამარს, ვგონებ,  
 ღმერთო, ღმერთო, მშობლიურ ცას  
 მეტად ნუღარ დამიღონებ!

\* \* \*

ცაში,  
ჭაში,  
ქვაში,  
თასში  
მე ვეძიე სიცოცხლის გზა,  
ეგებ კაცში,  
ეგებ სხვაში,  
იქნებ გზაში  
მე მეპოვა სიცოცხლის ხსნა,  
და კაცისგან,  
და ქარისგან,  
ბრძენ-აზრისგან  
გამეგონა ნუგეშის ხმა;  
...  
თუმცრა მაშინ,  
არც სულა ცაში,  
რას ვეძებდი ნამის ცვარში,  
როცა ვიყავ ისევ ბავშვი!  
არცრა სხვაში,  
არცრა ნაშში,  
არცრა გზაში  
არცრა ჩანდა,-  
უქმად დაეშვარი!  
მხოლოდ მიწამ,  
ქიზიყის ცამ  
არ დამაგლო, როგორც შვილი;

„უკუნიითი უკუნისამ  
შენ მიცოცხლე“ — გულში ვყვირი;  
არცრა ობლად,  
მოველ ხორბლად  
მზის ძმობილად,  
ვაზის კუმპლად,  
მუშის ოფლად,  
მხოლოდ მიწა,  
კახეთის ცა  
შემრჩა დედად და მე ვკვივი,  
ვკვივი გულში, — შენ მიცოცხლე  
უკუნიითი უკუნისამ!

### იქნებ გვეხილოს

წვიმა დის ციურ რძესავით,  
ნისლგუნდას ძაფი სცილდება,  
თუთრი დღეების რიგია,  
საცაა აგვიცივდება.

ხელის გათბობა თუ გინდა,  
გულზე დამადე, ძამია;  
ოჰ, ეს, რა ჩქარი წვიმაა  
ოჰ, ეს, რამდენი ძაფია!

მცხეთაში მოვიგონებდეთ  
ვნახეთ რაც სახანძოელოში,  
მეფედ დაგვისვამს ჩვენ, გურჯებს,  
თამარი საქართველოში.

ჩვენ გვიწერია ოდები,  
აზმანი საბრწყინვალედა;  
(გვირგვინოსანთა ნათელი

მტერს აღონებდა მწარედა).  
„ ეს რა გვიქნია ჩვენ, გურჯებს,  
თამარი მეფედ დაგვისვამს!“  
შურით მომხდარი მუსლიმი  
დიდგორში ძელზე გაგვისვამს,  
ჩვენ, — უმადურებს გურჯებსა,  
მომხდურთათ მადლიც არ გვითქვამს.

ჩვენ მოგვევლია შამქორი,  
ბასიანი და ანისი,  
თუმც ცრემლიც ბევრი დენილა,  
გვანსოვდეს: იყო გარნისი!  
ღალატს ვერ ავცდით და ისიც,  
სპარსმა რომ სისხლიან კარად  
შეაბა თბილისს კრწანისი.

კარგად დაფურჩნე, ჩემო ძმაგ,  
ვაზი არ დაგვიზიანდეს,  
რომ ცა ღრუბლებით არ შეკრთას,  
არ გაგვიმიზეზიანდეს!

კიდევაც გაბრწყინდებოდეს  
ქვეყანა მზის შუქლარადა,  
გვეყო, რაც სისხლმა იდინა  
ბაზალეთს, კრწანისს, მარაბდას!

ყრმათ კვლავ იმდერონ მემროწლეთ,  
თქვან სადღეოფლო ქებანი,  
და იქნებ კვლავაც გვეხილოს  
ცაში ვარსკვლავთა ნთებანი!

### ნღეზი წიგნებად

წლები მიიწყო, ვით თაროზე ძველი წიგნები,  
ამ წიგნებიდან მახსოვს ბევრი მისი ფურცელი,  
ვინ ვინ იყო და სად წავიდა, სად გადემკვიდრდა,  
ძმა იყო ის თუ მეგობარი, თანაკურსელი.  
დროის დინებაჲ, ქსანზე მეტად ჩქარმომდინარეჲ,  
ღიახ, სიკეთეს ან სიავეს რამდენს იფარავ;  
ავმქმნელს დროით რომ მიეხდებოდა, — შენ უკეთ იცი,  
თავის მომავალს ის უგნური თვითვე იპარავს!  
შენი გამოცდა ბევრ საგანში არ იყო ტკბილი,  
მწარე წუთებიც აღმინიშნე დროის საათზე,  
მაგრამ იმედი, ხვალინდელის დიდი იმედი  
ყოველთვის რეკდა ხმამაღლა და თამამად მასზე.  
დროის დინების პირისპირ რა ძნელია ცურვა,  
რამდენჯერ ტალღა გადაველოს ტალღას ელვარით,  
ხოგმა კაცურად გარდიხადა, რაც კი ემართა,  
ხოგს წუთისოფლის თან გაჰყვა ვალი!  
წლებო, — წიგნებო, ძველ თაროზე რიგ-რიგ წყობილნო,  
ბევრი რამ თქვენგან მისწავლია ხილულ-ფარულად,  
ბრძნული სტრიქონი წამიკითხავს და მასაც ვნანობ,  
დროის საათზე უქმად წუთი რაც გაპარულა.  
რა შორს წასულან მეგობრები და მოკეთენი,  
თითქოს ცარიელს ვხედავ წიგნის ცალ ფოლიანტებს,  
მაგრამ მშველიან განუყრელი ფიქრები, ჩემი,  
სულს რომ მიმშვიდებს და ხსოვნათა კოცონს რომ ანთებს.  
ვებრძვი ჭაღარას, დროც კი თურმე ჭაღარავდება,  
ამბობენ, გული არ ბერდება თურმე აროდეს,  
მე ისევ დროის საათს მივდევ და ვიცი, ისეც  
წლები წიგნებად მიიწვობა კვლავაც თაროზე.





ლექსის კითხვისას

მაიკო მიქაიას

ზოგჯერ ლექსი გაგიტაცებს,  
აგანთებს და აგამღერებს,  
ღრუბლიან ცას გაგიბაცებს,  
შემოგაფენს ახალ ფერებს;  
შემოგისვენს სხვა ჟრუანტელს,  
სისხლს სხვაგვარად აგიჩქეფებს,  
გაგითუნებს სხვა შუადღეს,  
მაფშალიას აგიყეფებს...  
ვერც გაუხსნლტი, ვერც დაეძაღე,  
ჩაკრობია სულის სიმებს,  
მე შენს კოლხურს ვენაცვალე,  
ქოგალე და შურიშმინე!..

ლალი ფრუიძე

მწარე სინამდვილე

გაზაფხულის მოლოდინში

ვიცი, მალე გაზაფხული მოვა,  
ეს ბორბალი ისე ჩქარა ტრიალებს,  
რა ხანია თმებში ჩამოთოვა,  
გული მაინც ძველებურად ფრიალებს.

მაგ თვალეებში ამოგიკრეფ ენძელებს,  
ყორივარდებს და ლურჯკაბა იებს,  
ეს საწუთრო დღემდე სუნთქვას მიძნელებს,  
მაგრამ სული საუკუნეთ ჰგებებს...

დეკემბერმა დააღაგა ფარ-ხმალი,  
იანვარი რკალავს ფიფქთა ოვალს,  
თებერვალი გაიქცევა დამფრთხალი  
და ნანატრი გაზაფხული მოვა.

სიყვარული თუ არ იცის კაცმა,  
ყოველი დღე არის მცირე ჯვარცმა!..  
თუ არ იცის რამინი და ვისი,  
არაფერი არ გინდოდეს მისი;  
რომეოს და ჯულიეტას მითი,  
თუ ჰგონია სალოკაუი თითი;  
თუ დანტეს და ბეატრიჩეს ქროლვას,  
ურჩენია მუცლის ამოფორვა;  
ვით აგავსებს, ბრიყვი ბედოვლათი,  
ეგრე ძაღლიც, ძაღლობს, როგორც ზვადი...  
და დაღლილი, ჯანსაღსა თუ სნეულს,  
ლუკმასავით გადაუგდებ სხეულს...  
რადგან გქვია ქალი ანუ ცოლი,  
დასჯილი ხარ უარაფრო წოლით...  
სიყვარული თუ არ იცის კაცმა,  
ყოველი დღე არის მცირე ჯვარცმა!..

ვარსკვლავებს გაჩუქებთ

ჩემს მეგობრებს

ამაღამ ჩამოგკრეფ ვარსკვლავებს,  
ზეცის თაღს დაგტოვებ უჭორფლოდ,  
შემოსსავ გულ-მკერდს და მხარ-მკლავებს,  
რომ დავრჩე მარადის უჭკნობლად...  
აგავსებთ მეგობრებს წყალობით,  
გაჩუქებთ ვარსკვლავთა აკიდოს,  
მერე კი, გადავთვლი ცალობით  
რომ თავის ადგილზე დაგვიდო...

ოღონდაც გამოზაფხულოდეს

ზეინმა მოიღო ზღართანი,  
დუვი გადაწვა ნამქერში,  
როგორ არ მიყვარს ზამთარი,  
მზე რომ იღრჩობა ლანქერში...

ხეს რომ ობოლი ცრემლივით,  
ჰკიღია ხმელი ფოთოლი, —  
ეს უკონვერტო წერილი,  
დეკემბრით გულდაკოდილი...

თუ არა დიდი სიყვარული

პატარ-პატარა სიხარული,  
თავის მოტყუება, იდილია,  
თუ არა დიდი სიყვარული,  
სიცოცხლე ჩამწვარი ფითილია.  
აწი, ვიღას უნდა დაუუჯერო,  
რაც მე ამა სოფლად მიტირია,  
იგი, ერთადერთი საუნჯეა,  
იგი, ერთადერთი ქვითკირია...

მეც უმოწყალოდ გამქურდეს,  
მეც გავხდი გადასარჩენი,  
ოღონდაც გამოზაფხულოდეს,  
ჯანდაბას სხვა დანარჩენი!..

\* \* \*

ჩემო ბედის ბორბალო,  
რა ზიგზაგით ტრიალებ,  
ბევრჯერ ცრემლი მომბანე,  
ბევრჯერ ამაბრიალე...

მართლა რკინის კი არ ვარ,  
იქნებ, ცოტა დამინდო,  
რომ არ გაყვე ნიაჟქარს  
ზამთრის მღვრიე ამინდო!...

**ქალი და ამინდი**

გარეთ ცივი ქარია,  
ციდან ფიფქი იყრება,  
ქალი, მაინც ქალია,  
ზოგჯერ ქარსაც მიყვება...

მერე წვიმად ქცეული,  
ცრემლად მოედინება,  
ბედისაგან ძლეული,  
იწყებს სოფლის გინებას.

წვავს სირცხვილის ალები,  
ხელში რჩება ქარი და,  
ზოგჯერ ნამტირალბი  
იჭვრიტება კარიდან.

გარეთ ცივი ქარია,  
ციდან ფიფქი იყრება,  
ქალი, მაინც ქალია,  
ზოგჯერ ქარსაც მიყვება...

**ჩადექ საყულის**

ჩუ, გაისუსე, ჩადექ საგულეს,  
მე ისევ დავალ შენი იმედით,  
ბევრჯერ იმგვარი ტანჯვა მარგუნეს,  
სამარის კართან ლამის მივედი...

არ დამიყრია თუმცა ფარ-ხმალი,  
ფოლადს ვაწრობდი, მარჯვე თუბალი  
და ვწითლდებოდი, როგორც ჭარხალი,  
მეცხადებოდა ოდეს უფალი...  
გამოვიარე გზები მილეთის,  
აქა-იქ ვკრეფდი სულის სალბუნებს,  
მაინც შენ დარჩი ჩემი იმედი,  
ჩუ, გაისუსე, ჩადექ საგულეს.

**ჩემი კახეთი**

თოვლიანი ცივგომბორი,  
ასაფრენი ალავერდი,  
აქ სიღნაღი, იქით წნორი,  
ქეთევანის წმინდა მკერდი...  
თელავი და წინანდალი,  
იყალბო და გრემქალაქი,  
იქ ინგილო, ცელქი ქალი,  
აქ ერეკლეს სული დაქრის...  
აქ მგლის ლეკვებს გახედნიან,  
ჩანს შუამთის შესახედი,  
ეს ილიას კახეთია  
და ჩემია ეს კახეთი!..

**ჯაო!..**

ჯაო, ბავშვი შეგყურებდი იმედით,  
გუმდეროდი, შენს უსაზღვრო სილურჯეს,  
რაც მე მსურდა, რად არ გამოიმეტე,  
ჯაო, რად არ მაპატიე სიურჩე?

ჯაო, გვედრი, ნუღარ მოიქუფრები,  
ნუთუ, სხვებსაც უბრაზდები შენ აგრე?  
აწი, მაინც გადარეკე ღრუბლები,  
ეს სოფელი, აწი მაინც შემარგე!..



**ირმა შიოლაშვილი**

**13 წელი**

შეხედე სარკე შევიძინე,  
ახალი სარკე შევიძინე  
ამ სარკეში გამოჩნდება შენი პროფილი  
და შენი სიყრმის სათამაშო, შვილო.  
შეხედე შენს ჩრდილს ვეფერები,  
ულამაზეს ჩრდილს ვეფერები,  
ხელის მოხვევას ვცდილობ.  
შენ კი დედის ხელს გაურბიხარ,  
დატეხილი ხმით გაურბიხარ  
და საკუთარ თავს ეძებ.  
მე კი ჩემს გულში ვიხედები,  
მერე სარკეში ვიხედები  
და თავს უხმოდ ვწევ გვერდზე.

**ჩემი ავღანელი გოგონა**

ავღანელ გოგონებზე მინდა მოვყვე —  
ჩემს თავსაფრიან ავღანელ გოგონებზე,

ქაბულში რომ დაიბადნენ და  
 ჯერ კიდევ თოთოებს თითი დაუქნიეს მამებმა:  
 გოგო ხარ და შენი ხმა არ გავიგო...  
 ეს მათმა თვალებმა აირეკლა და როცა მიყურებენ  
 მე სასწორკვეთილ ჩვილს ვხედავ მათ თვალებში!  
 როცა მიყურებენ, ვხედავ, როგორ შენატრიან  
 ჩემს ქართულ სითამამეს და გერმანულ თავისუფლებას,  
 ჩემს ლამაზად შეჭრილ თმას და  
 ტანზე გამოკვართულ კაბებს...  
 ალბათ ხანდახან მათ ოცნებას ვგაუარ,  
 ხანდახან ჯავრს ვერასრულებული ოცნებისადმი —  
 რომელიც ძალიან ღრმა და მგრძნობიარეა.

**ომი. აგვისტო. იტალია.**

— დაიწყეველოს ყველა ომი —  
 ვეუბნები ჩემს ცხოვრებას  
 რომელიც სწორედ აგვისტოში მამოგზაურებს  
 იტალიის ძველ ქალაქებში.  
 თავგზას მიბნევეს და  
 სანტა მარიას ბაზილიკის მეტყველ კედლებზე  
 მოზაიკით მიჭრელებს თვალებს.  
 — დაიწყეველოს ყველა ომი! —  
 ვამბობ ქალაქ აქვილიას ჯარისკაცთა სასაფლაოზე,  
 სადაც ჭაბუკ ჯარისკაცის ძეგლით ცდილობენ  
 შეამსუბუქონ ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლის სვედა,  
 სადაც კედელზე ამოტვიფრულ ლექსით ცდილობენ  
 უთხრან დედებს,  
 რომ მათ შვილებს ჭრილობები ღმერთმა მობანა.

მე კი ვფიქრობ,—  
 ნეტავ სად დგას ღმერთი ომში,  
 სად იმალება,  
 ჭაბუკების მხრების უკან?  
 სიკვდილის უკან?  
 რომელი თვალით იხედება,  
 ან რომელი თვალით ამოწმებს  
 სიკვდილის სასწორს,  
 ან ჩამომწყდარ სიკვდილის ლოდებს.  
 სად არის ღმერთი ომის ცეცხლში, რატომ არ იყვანს  
 ხელში ჭაბუკებს რომ სცივით და იწყებენ ბოდვას  
 დელაზე, ღმერთზე, სიყვარულზე, თავდადებაზე ...

სად არის ღმერთი, რატომ იცდის,  
 რატომ არ მოჰბანს ჭრილობებს შვილებს სააქაოს,  
 იქ რატომ უცდის...

დაიწყეველოს ყველა ომი—  
 ვეშაპვიით გაწოლილი დედამიწაზე  
 აქვილიას საუკუნის სასაფლაოდან  
 მუსათგვერდის თერთმეტწლიან სასაფლაოდან.

**რკინის ფარდიდან სიყვარულამდე**

როცა მე წითელი ყელსახვევით სარკის წინ ვიდექი და  
 პათეტიურ ლექსებს ვიმეორებდი,  
 შენ სარკის წინ ამაყად ისწორებდი  
 ბუნდესვერის კაპიტნის მუნდირს,  
 და გჯეროდა შენი ქვეყნის დასავლური ღირებულებების  
 და გეცოდებოდა ყველა წითელყელსახვევიანი ბავშვი.

მე პატრიოტულ ლექსებს ვსწავლობდი სკოლაში  
 და მიყვარდა ჩემი ლამაზი სამშობლო,  
 რომელიც ბოლოს წითელი დროშით დაიპყრეს და  
 თვალებზე რკინის დიდი ფარდა ჩამოაფარეს.  
 მე ეს ფარდაც მშვენიერი მეჩვენებოდა,  
 სანამ გავიზრდებოდი და გადავწყვიდი.

შენ იდექი გახდილი მუნდირით,  
 თავისუფალი და ნათელი,  
 მე წითელი ყელსახვევის გარეშე  
 გადმოვაბიჯე შენს სამყაროში  
 და გითხარი, რომ მომწონს შენი თავისუფლება,  
 მაგრამ მაკვირვებს გამომშრალი სიყვარული,  
 კანონებადქცეული სიყვარული,  
 რომელსაც ალბათ არასოდეს არ დაარღვევ და  
 ამიტომაც შემეძლია გენდო.

და რადგან კაპიტნის მუნდირს ჩემთან ყოფნა არჩიე,  
 რადგან წარმატება გაიხადე და თავისუფლება ჩაიცვი,  
 მზად ვარ ყოველდღე გადაგისხა ძარღვებში  
 ჩემი სველი სიყვარული,  
 ჩემი მთებში დაბადებული სიყვარული,  
 ჩემი მდინარედაქცეული სიყვარული  
 და კანონები გადაგავიწყო.



**მერთაზ სირბილაძე**

**სიმღერა ზაღდათზე**

მტერს თუ ბაღდათად ეჩვენე,  
 მოყვარეს ვით არ ხიბლაგდე?!  
 ჩემო ყრმობის და ბავშვობის  
 დაულეველო სინათლე.  
 ადრე გაზაფხულს კორდები  
 აგიმწვანდება წალკოტად,  
 ზაფხული ოქროს დაგაფენს  
 სალექსოდ, საარაკოდ.  
 შემოქმედს ფერთა სიუხვით  
 მოუქარგიხარ მზის წნულად.  
 შრომას, გარჯას და სიკეთეს  
 მტვენებად ჩამოგიწურავს.

ლოვლათით სავსე ჭურ-მარანს  
თეთრად დამითოვს ზამთარი,  
იყო, არის და გრძელდება  
ბაღდათის ტკბილი ზღაპარი.

**ჩემი ოზჩა**

შენა ხარ ისევ ჩემი ოცნება,  
მუდამ შენზე ვარ ჩაფიქრებული,  
ბაეშვი ვარ ისევ პატარა, შენი,  
სხვისგან არაფრით განსხვავებული.  
მე არ შშორდება შენზე ფიქრები,

ბავშვობის წლებით მოუსვენარი,  
ვარ შენი ვაზი, შენი წაღკოტი  
და შენი სულის მწვანე ბაღნარი.  
ქარი ნაგარდობს „ბუისოულზე“,  
ისევ ჭაღარა დგას „ნაბამბარი“,  
„სატურიაზე“ ტურა იკივლებს  
და „თოხოურზე“ ღმუის აფთარი.  
ნეტავ ამ დილით რად გამახსენდით,  
რად ამეშალა თქვენზე ფიქრები?  
მე თუ მამული არ შეეყვარება,  
ამ ქვეყნად მაშინ ვილა ვიქნები?!



**მერი ლაფაჩი**

**მარტი**

მოვიდა მარტი, ქარები ქრიან,  
წვიმის წვეთები სიცვიით კრთიან,  
გადაიპენტა ენძელით ველი,  
გაზაფხულდაო იძახის ია.  
ატმის ხეებზე კვირტები დასკდა,  
ქარი ათროლებს ვარდიფერ ფურცელს,  
ჩიტები ცაში ფერხულს უვლიან,  
ვარდი სიყვარულს უკვე ვერ უძლებს.  
ცაზე შვიდფერი ცისარტყელაა,  
ნიაფი ცელქობს, არ ცხრება ურჩი,  
ჩემი სამშობლოს ლამაზ სანახებს  
ანგელოზები ხატავენ ფუნჯით.

**ნანა საბანაძე**

**ვინ იცის**

გადაპენტილა თეთრად ტყემალი,  
ძველ სიყვარულზე ფიქრობს... ვინ იცის?  
დრო ქანაობს და დატოვა კვალი  
გამდნარ ღამეში სატრფოს კისკისის...  
ნეტავ, ვინ იცის, ვის რა ბედი აქვს?  
ვინ ატარებდა წუთებს ვნებიანს?  
მხოლოდ ვერხვის ხემ ციხესთან ახლოს,  
მხოლოდ კარაუმა მტკვართან რომ სახლობს.  
ფრთებით მიჰქროდა მაღლა ღმერთებთან  
და ღამეს ჩუმი იქ ათენებდა.  
ღუმს... და კვლავ ესმის, ალბათ, ვინ იცის,  
გამდნარი ღამის ჩუმი კისკისი...

**ჩუმი სიყვითი**

დრო ფურცლაგს დღეებს, სამყაროს მწყემსავს,  
სიყვარულს აფრქვევს შხამიან გესლსაც.  
სულში ნაკბენი შველივით მფრთხალი  
ვერ გამოკაფე ფიქრით, ვერც ხმალით...



თუმც ჩემს სარკმელთან იშლის ნაწნავეებს  
ანცი ბავშვივით, ისევ მაწვალებს,  
მზე ოქროსფერი მკოცნის ციმციმით  
და ძველებურად ჩუმი იცინის.



## ნანა ჭიჭინაძე

### მოგონებანი გარდასული დღეთა

დედოფლისწყაროში, მერაბ კოსტავას 54-ში მდებარე კერძო სახლში, ჩემი მშობლების ბინაში ხშირად იკრიბებოდნენ საზოგადო მოღვაწეები. დედას დეიდაშვილი იყო მწერალი და კრიტიკოსი გიორგი ნატროშვილი, ერთხელ მან ჩვენთან სტუმრად მოიწვია კონსტანტინე გამსახურდია. მამამ საპატიო სტუმრებს უგემრიელესი კლასიკური კერძებით უმასპინძლა და რქაწითელისგან დამზადებული ენამთის ღვინო (მაღალი გრადუსით გამოირჩევა) შესთავაზა. გიორგი და კონსტანტინე ყანწებით სვამდნენ ენამთის ღვინოს. მამა უჩუმრად, არათანაბრად ასხამდა ღვინოს ყანწებში; გიორგი გაოცებული დარჩა — კონსტანტინე ენამთის ღვინომ როგორ არ დაათროვო, როდესაც მამა სტუმრებს აცილებდა კონსტანტინემ ღიმილით უთხრა გიორგის: „შენმა მასპინძელმა მე დაშოგა, ყანწს შენ ბოლომდე გივსებდა, მე — ცოტას და ნელ-ნელა ვწრუპავდიო. ეს რომ არ გამემხილა, გიორგი, შენ თბილისამდე იწერე ულებდიო.“

ჩვენს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი ადამიანები: კინორეჟისორები: თენგიზ აბულაძე, ელდერ შენგელაია, კომპოზიტორები: რევაზ ლალიძე, გოგი ცაბაძე და სხვები. მამა წარმოჩენილია ოთარ ნაცარაშვილის ავტორობით გამოცემულ წიგნში „კახეთის გამოჩენილი ადამიანები“. იგი დიდი მოწონებით აცოცხლებს ღირსეულ ქართველთა ხსოვნას, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ჭეშმარიტ მამულიშვილთა დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე. მამა, როგორც დამსახურებული მექანიზატორი ყოველწლიურად იღებდა მონაწილეობას მოსკოვში გამართულ სასოფლო სამეურნეო მიღწევათა გამოფენაში. იმ პერიოდში მამასთან ერთად ერთ კუპეში იმყოფებოდნენ კომპოზიტორი რევაზ ლალიძე და დირიჟორი ჯანსუღ კახიძე. მამა მათ ქიზიყური პურ-ღვინით უმასპინძლდებოდა.

ერთხელ კულტურის სახლში ხალხით გადაჭედილ დარბაზში შეხვედრა მოუწევს საქართველოს პირველ პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას, შეხვედრის დასასრულს მან დარბაზს მიმართა შეკითხვით: „მამაჩემი ერთხელ სტუმრად ყოფილა მიმა ჭიჭინაძის ოჯახში და მის ბინას ხომ ვერ მიმასწავლითო.“ კლარა ნასყიდაშვილი იჯდა პირველ რიგში და ზვიადს უთხრა: „ბატონო ზვიად, ნანა ჭიჭინაძე არის მიმა ჭიჭინაძის შვილი და თავად გაჩვენებთ იმ ბინას, რომელიც თქვენ გაინტერესებთო.“

სიხარულისგან მეცხრე ცაზე ავედი ზვიადი რომ ჩემს სახლში შემოვიდა. აი, აქ იკრიბებოდნენ მეთქი მამას საპა-



მიმა ჭიჭინაძის სახლი დღეს

ტიო სტუმრები, ზვიადიმ თვალი მოავლო ჩვენს ძველ ბინას და მითხრა: „ვეხედავ რომ შენ არაფერი შეგიცვლია და თითოეული ძველი ნივთი ამ ოჯახის რელიქვიაა. მე ამ ბინას რესტავრაციას ჩავუტარებ და კვლავ გააგრძელებ სალონური შეხვედრები ამ სახლშიო.“ სამწუხაროდ ბატონი ზვიადი გარდაიცვალა, ხოლო შემდგომში ჩემი სახსრებით გარემონტებულ ბინაში წვიმა ჩამოვიდა და რემონტი სულ დააზიანა.

მამის მივმართე რაინის გამგეობას. მათ შეამოწმეს და პასუხიც მომწერეს, რომ ნამდვილად სარესტავრაციო არის ეს ბინა, მაგრამ რადგან კერძო სახლია ჩვენ ვერ გავარემონტებთო.

ერთხელ მოლდავეთში ერთ-ერთმა ბინამ ჩემი ყურადღება მიიქცია. პატარა სახლი იყო, პატარა ეზოთი. დავინტერესდი და ახლოს მივედი. ამ პატარა ბინას შემორიბილი დაფა ამშვენებდა — რუსულ ენაზე ეწერა: „ამ სახლში სტუმრად იყო ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი.“ შიგნით შევედი და იქაურობა ბრწყინავდა, როდესაც დიასახლისის ვკითხე, რა სახსრებით უვლით ამ ბინას მეთქი, მან გახარებულმა მიპასუხა: „ამ რაინის ხელმძღვანელობა ზრუნავს ჩემს ბინაზე, იცით, ამ სახლში პუშკინი იყო სტუმრად?! აი, ამ კიბეებზე ამოვიდა და ჩავიდაო.“ ისე გატაცებით ყვებოდა პუშკინის სტუმრობაზე, თითქოს თავად ყოფილიყო ამ დიდებული ადამიანის მნახველი. იმ წამსვე გამახსენდა ჩემი ძველი ბინა, სადაც იკრიბებოდნენ ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, რომელთა უმრავლესობა დღეს ცოცხალი აღარაა, მაგრამ მათი შემოქმედება უკვდავია ქართველი ერისათვის.

„მსურს დასასრული ჩემი ცხოვრების შევიტხო, როგორც უფლის წყალობა და მეც ვიცოდე (დაახლოებით) „რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა!“

მ. ქვლივიძე

მე ძალიან მიყვარს პოეზია. ამიტომ 1999 წლის გაზაფხულზე დედოფლისწყაროს კულტურის სახლის მცირე დარბაზში შეხვედრა მოვუწყვე ადგილობრივ პოეტებს. საღამოს ესწრებოდა ნუგზარ პაპიაშვილი. იგი აღფრთოვანებული დარჩა მათი შემოქმედებით. მას შემდეგ დღემდე არაერთი პოეზიის საღამო გაიმართა ჩვენს მუნიციპალიტეტში. განსაკუთრებული მაღლობა ეკუთვნის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს და კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ბატონ ილია მარტყოფლიშვილს; ასევე თავად რედაქტორ-გამომცემელს გიორგი ნატროშვილს, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში გამოდის ლიტერატურული აღმანახი „ხორნაბუჯი“ და უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს.

პ.ს. მინდა იცოდეთ, რომ როდესაც მამა ცოცხალი მყავდა იმ პერიოდში ქალაქის საბჭომ ბინის რესტავრაციის ნება არ მოგვცა, იმ მიზეზით, რომ წითელ ზოლში არის თქვენი ქუჩაო; შემდეგ შემნახველ საღაროში კაპიკ-კაპიკობით შეტანილი თანხა დაგვიყადაღეს და დღეს მიზერული პენსიის თანხით შეუძლებელია ჩემი ბინის რესტავრაცია.

იმ სახლში, სადაც ფეხი დაუდგავთ: იოსებ ნონეშვილს, ნოდარ ღუმბაძეს, გურამ ფანჯიკიძეს, ლევან სანიკიძეს, მუხრან მაჭავარიანს და იმ პერიოდის ხელოვნების ოქროს ხანის სხვა კორიფეებს. მინდა, რომ კვლავ დაუბრუნდეს პოეზიის სალონური სიცოცხლე. მინდა ამ სახლში კვლავ ჩქეფდეს თანამედროვე ცნობილი პოეტების: თემურ ჩალაბაშვილის, ჯუბა ღებელიის, მარინე ცხველიაშვილის, მაყვალა გონამვილის და ჩვენი ადგილობრივი პოეტების მიერ ცოცხლად წარმოთქმული პოეზიის შედევრები.

# ღალი სულაგვილი

## „სიწოხლე ჭრელიზე ჭრელი...“

ისევ კრიტიკულ ზღვართან ვდგავართ. ქართული კულტურა, ქართული ხელოვნება დგას კრიტიკულ ზღვართან, ეროვნული სული გამოსცლია, ჩამკვდარა, თითქოს აღარც არსებობს; აღარც ქალაქად იგრძნობა, აღარც სოფლად. უცნაურია, მკვიდრ ქართულ სოფელსაც დაუკარგავს თავისი იერი. თითქოს ისევ დგას ის სახლები, ხეებიც იზრდება, მინდვრებიც ბიბინებს, ისტორიული ძეგლები კვლავაც მრავლისმეტყველად დუმან, ისევ ისმის ქართული სიტყვა, ზოგჯერ სიმღერაც, მაგრამ ყველაფერს რაღაც აკლია, რაღაც მთავარი და ეს არის ქართული ხასიათი, ხმა, ქართველობის გრძნობა.

გაუთითოკაციდითო, – დიდი ხნის წინ ჩიოდა ილია. ასეთივე დრო ედგა მაშინ საქართველოს: შინაურთა და გარეშეთა მტრობა, შუღლი და სიძულელი. თითქოს ჩაკვდა სიყვარული, აღარ გვიყვარს ერთმანეთი, გულგრილნი, უსიყვარულნი, უდიმილონი დავდივართ. ყველა საკუთარ ბუნაგს იწყობს, მხოლოდ საკუთარ ზვალეზე ფიქრობს. ეროვნულზე ლაპარაკი ცუდ ტონად ითვლება, ჩვენ ხომ ვეროპელები გავხდით...

იყო დრო, ქართული ხელოვნების ეროვნულ შინაარს სპარსული სამოსი ეცვა, მრავალი სახე და გადაბმული წარბები ჰქონდა (სწორედ ასეთად ვაქციეთ თამარის ფრესკაც კი) და სპარსულ ბაიათებს ღიღინებდა. „სპარსული ენის სიტკბომან მასურვა მუსიკობანით“, – წერდა ქართველი მეფე-პოეტი. იმ დროს დიდი ხნის დაწერილი იყო „ვეფხისტყაოსანი“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ... იყო დრო, საბჭოთა სოცრეალიზმმა და რუსულმა სკოლამ გველემბაის ხახა ფართოდ დააღო და ყოველფე ეროვნული შთანთქა. ამგვარ კრიტიკულ ეპოქაში მხოლოდ ნამდვილ ხელოვანთ შესწევდათ ძალა, ესმინათ შინაგანი ხმა, მხოლოდ ისინი არ კარგავდნენ თავისთავადობას, არ ითქვიფებოდნენ ინტერნაციონალიზმის მორეში.


დღეს ახალი სამიშროება გამაქურება – უმდიდრესი ტრადიციები თუ ზუგრეგამაგრებული თანამედროვე ვერობის კულტურა. ჩვენ ყველა კარი ღია გვაქვს და ფიანდაზებიც დაგებულა... ჩვენ ხომ ყოველთვის ასე გვესმოდ: უცხოურია, ე.ი. ძალიან კარგია, საუცხოოა. ისევ მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ, გაუცნობიერებლად, უკრიტიკოდ ვდებულობთ „უცხოურის“ ყოველგვარ ღირსება-ნაკლოვნებას. დღეს ვეროპული ხელოვნების ტრაფარეტებს ამოფარებული ზოგიერთი „შემოქმედი“, იმის შიშით, ჩამორჩენილობა არ დამწყობონ ან უცხოურის წინაშე ქედმოდრეკილობის გამო ან კიდევ სხვა მოსაზრებით, ხდება უსაგნო, უსახური, არაფრისმთქმელი, ხშირად სულიერებისგან სრულიად დაცილი სტერეოტიპების მონა. ეს ხერხი ყველაზე საიმედო თავშესაფარია ორიგინალობას მოკლებულ, ხელმოკარულ ხელოვნათთვის, ვისაც სათქმელი არაფერი აქვს, ბრმა მიმბაძველობა კი ცხოვრების წესად უქცევია.

ხელოვნების ბაზრის აყვავების ფაზს მხოლოდ მართლა ხელდასხმული ადამიანები გამოასხივებენ საკუთარი თავიდან იმას, რაც მათში მომწიფდა, რაც მათი სათქმელია. დანარჩენნი ბაზრის დაკვეთებს ასრულებენ, გარეთ დახვავებული ინფორმაციის მარაგიდან ირჩევენ მასალას.

ასე იყო ვაჟასა და ფიროსმანის დროსაც. ვაჟას მისი მძლავრი ქართულის გამო იწყებდნენ, კუთხოურობას სწამებდნენ, მის სულს კი საერთოდ ვერ ჩასწვდა ბევრი; ფიროსმანზე ამბობდნენ, „უსწვლელია, მისი ნახატები არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს და მოუწოდებდნენ, „ერთად ვიყოთ, ზაკონებით ვხატოთ“.

ისინი უძძიმეს პირობებში აკეთებდნენ იმას, რაც ღმერთმა დააკისრა: ქმნიდნენ. ამ ორი ბუმბერაზივით არავის უგრძნობია „მიწის დედობა... ნამდვილი ქართული ტემპერამენტი, ხალასი მზით დაფენილი“ (გრ. რობაქიძე). ხალასი ქართული სულით ისინი საკაცობრიო იდეალებს ქმნიანოდნენ.

ღრომ ბვერი ვინმე გაიყოლა თან, ვაჟა და ფიროსმანი დარჩნენ.



ავთანდილ პოპიაშვილი

დღეს ბვერს დაავიწყდა, რომ ყველაზე დიდ სათქმელს, ყველაზე ზოგადკაცობრიულ აზრს ეროვნულობის ბეჭედი ესვა ყველაზე ამაღლებულ ალგორითულობაშიც. ასეთია ძველი ეგვიპტის, შუამდინარეთის, ანტიკური საბერძნეთის, ეტრუსკების, ძველი ჩინეთის, ინდოეთის, ძველი აფრიკისა თუ ინდიელთა კულტურა, შუა საუკუნეების იტალიური სკოლა და სხვა. ყველაფერი, რასაც მარადიულობამ გადააფარა კალთა.

მხატვარი, ვისზეც ცოტა რამ მინდა ვთქვა, ეროვნულ ნიადაგზე მდგომი მხატვარია. იგი მუდამ თავისთვის, ჩუმად აკეთებდა თავის საქმეს, თითქოს განმარტოებული სანთელს ანთებს ხატის წინაშე და ყველაზე სანუკვარ, ყველაზე სიღრმისეულ ფიქრებსა და სურვილებს უმხელს. ავთანდილ პოპიაშვილი ქართული მიწის ყველგანმომავალ ბილიკებზე დადის, ეძიებს და მუდმივი ფერისცვალების სტადიაშია, რადგან მის თვალწინ კინოკარტოფით მონაცვლე ცოცხალი სურათებია. უცვლელი მის შემოქმედებაში ქართული სული, ქართულობაა. მასთან ყველაფერი აღმოსავლურია: ცინცხალი ფერი, კოლორიტი, კომპოზიციის შინაარსი თუ მისი გადაწყვეტის მანერა, მაგრამ ეს აღმოსავლეთი ქართული აღმოსავლეთია, თუმცა, მხატვრის ინეტრესი, სიყვარული და აღფრთოვანება სწვდება ყოველფეს, რაც ლამაზი, მშვენიერი, ამაღლებული შექმნილა დელამიწაზე რა გინდ რა დროში.

ავთანდილ პოპიაშვილის შემოქმედების სათავე და სტიმული სიყვარულია, ნამდვილი, ღრმა, ყოველი უჯვრედის მომცველი სიყვარული და ეს სიყვარული მიწიდან იწყება, მიწიდანაა ამოზრდილი. როგორც უსაყვარლეს ადამიანს, ისე აძლევს მიწას ენერგიას, ზრუნვას, გულის სითბოს და მისგანაც იგვეს ღებულობს ახალი ძალების, სიხარულის, შთაგონების სახით... ასე უყვარდა მიწა ფედერკო გარსია ლორკას, რომლის შემოქმედება მისი სულიერებიდან ღებულობს სასიცოცხლო ძალებს. აი, რას ამბობობს იგი ამ თავის ღრმად ინტიმურ განცდაზე: „მე თქვენ რაღაცას მოგიყვებით. ეს არასოდეს არავისთვის მომიყოლია იმიტომ, რომ ჩემია, მხოლოდ ჩემი, იმდენად ჩემი, რომ არასოდეს დაფიქრებულვარ, რას ნიშნავს ეს... ბავშვობაში ჩემს თავს ბუნებასთან ერთობაში ვგრძნობდი, ვფიქრობდი, რომ გარშემო ყველა საგანი სულიერია, ველაპარაკებოდი და მიყვარდა ისინი... ქართი ათროლოგებული ფოთლების შრიალი მუსიკად მქვენებოდა...“

...მე მიყვარს მიწა. ყველა ჩემი გრძნობის ფესვი მიწიშია. ჩემი ბავშვობის ყველაზე ადრეულ მოგონებებს მიწის გემო აქვს. მიწა, მინდორი ძალიან ბვერს ნიშნავს ჩემთვის. მიწის ბინადართ, მცენარეებს, ცხოველებს, გლეხებს მე უფრო მძაფრად ვგრძნობ, ვიდრე სხვა ვინმე. ჩემში დღესაც ცოცხლობს ის ბავშვური აღქმა. მიწისადმი ამ სიყვარულმა გააღვიძა ჩემში ხელოვანი, ამ სიყვარულის გარეშე ვერ დავწერიდი „სისხლიან ქორწილს“, ვერასოდეს

შექმნიდი ჩემს უკანასკნელ ტრაგედიას“.

ავთანდილ პოპიაშვილის შემოქმედება არ არის ცხოვრების ცალკეული ფრაგმენტების ასახვა, იგი ამ ცხოვრების სისასვე-ში ფესვებით დგომაა. მისი ფერწერული ტილოები ახლო ნათესაობაშია გ. ლეონიძის ნოველებთან, ისეთივე პოეტურია, ისეთივე ალტაცებული სილამაზის ყოველი გამოვლენით. ეს ნამუშევრები ფერით ამბობენ იმას, რაც ნოველებში სიტყვითაა ასახული: „ყური მოიმახვილე, ყველა სულიერია! მამ მიწა რად სტირის? არ გინახია მიწის ტირილი დილაადრიან? ბალახი რომ ნამს გაუშვებს, ის მიწის ტირილია. რა ატირებს, ჩვენი ცოდვა? თუ მზის ამოსვლა უხარია? შენი იცი, რომ ზემ და ქვამაც იცის დარდი? სიცოცხლე იცის დედამიწამ, – თურთად რომ იცინის ყვავილი გაზაფხულზე, ყვავილით იცინის დედამიწა, ცა ვარსკვლავებით იცინის...“ და სხვა, სადაც საყოველთაო ერთიანობის კანონი ასე ცოცხალი და საგრძნობია. ცისა და მიწის ამგვარი განცდითაა სავსე მხატვრის ნამუშევრები. ისინიც მოგონებებია, მონატრება და მოფერებაა ყველაფრის, რასაც ერთხელ და სამუდამოდ გულში დაუდია ბინა.

ეს ჩვენს ირგვლივ არსებული ცოცხალი სამყაროა, შინაარსით აღსავსე ტალღებისა და ვიბრაციების კონსტრუქციაა, ხელოვანი კი ვიბრაციების უსასრულო და უხილავ ქსელში ჩართული არსებაა, რომელიც შთაგონების მომენტში გრძნობს უფაქინეს რხევებს, უსმენს და ჰყვება მათ რიტმს და დგება წამი უსაზღვროების ხილვისა და შემეცნებისა, როცა გრძნობ, რომ შენს ირგვლივ ყველაფერი ახალ შინაარსს იძენს. ეს არის გამოსვლა ტრიადალური ყოფიდან და დგომა იდუმალი სამყაროს წინაშე, რომელიც უფალმა შექმნა, მისცა სახე, ფორმა, ფერი, შთაბერა სული და საკუთარი ენით აამეტყველა. ესაა „სიცოცხლე ჭრელობე ჭრელი, მრავალფეროვანი და უსასრულოდ განუზომელი“ (ნეტარი აუუსტინე), ანუ, როგორც ჩვენი რუსთველი ამბობს, „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერი...“ და ეს უთვალავი ფერით ბოძებული სამყარო რომ შეიგრძნო, აბსოლუტური სმენა უნდა გქონდეს, დედამიწისა და კოსმოსის ჩქამი უნდა გესმოდეს, სისხლით უნდა გრძნობდე როგორ იზრდება ბალახი, როგორ ტკაცუნობს ყინვა ზამთრის გარინდებულ მდუარებაში, როგორ შრიალებს ცაში მობოინე არწივის ფრთები, ჩუმი წვრილით როგორ მოისწრაფიან ვარვსვლავთა ცისფერი სიმები დედამიწისკენ, მღვიმარე უნდა იყო და ცოცხალი განცდა გქონდეს. ეს არის ცნობიერისა და ქვეცნობიერის ერთობლივი მუშაობის წამი, როცა ქვეცნობიერის იმპულსებს ცნობიერი გადაამუშავებს, მზის სინათლეზე გამოიტანს. მხოლოდ ერთი მათგანის ძალისხმევით ეს პროცესი ვერ განხორციელდება, ან ქაოსი შეიქმნება ან საგანთა ზედაპირული დანახვა და ასახვა – უხეში ნატურალიზმი. ცნობიერ აზროვნებას მარტორქის სქელი ტყავი აკრავს, იგი გამძლეა, მაგრამ არა მგრძობიარე. არაცნობიერს იმდენად თხელი კანი აქვს, მისი მგრძობიელობა საშიშიც კია, მას აუცილებლად სჭირდება ძლიერი მამაკაცური საწყისი – ცნობიერი აზროვნება, მისი ძალები. სწორედ ასევე ვერ იარსებებს ცნობიერი არაცნობიერის იდუმალი ქალღური ელემენტის გარეშე. მათი იდეალური თანაარსებობა საწინდარია ადამიანის თვალსაწიერის გაფართოებისა, სამყაროს მოვლენათა შინაგან არსში ჭვრეტის უნარისა, უხილავის დანახვის შესაძლებლობისა.

– მუშაობას მხოლოდ მაშინ უნდა შეუდგე, როცა ნამდვილი განცდით ხარ სავსე, – ამბობს ავთანდილ პოპიაშვილი, – განცდის გამოგონება შეუძლებელია, ყველაფერი ყალბი გამოგოვა. მხატვრობაში სწორედ ნამდვილი განცდის დაჭერაა მთავარი. უმცირესი ნიუანსიც კი ისე უნდა გადმოიცეს, როგორც ნამდვილად გრძნობ და ხედავ და უნდა მოასწრო ამის გააზრება და გაკეთება, სანამ განცდა ცოცხალია. ამიტომ, თუ, ვთქვათ, ჭადარა წითელი ფერის განცდას იწვევს, დახატე წითელი და ის ნამდვილი ჭადარა იქნება, ანუ, როგორც დელაკრუა ამბობს, მომეცით შავი ფერი და შე დგინებავთ წითელ ვარდს.

აქ მთავარი როლი ინტუიციას ენიჭება, გრძნობადისაგან თავისუფალ აზროვნებას, იგი ფაქიზია, ინტიმური. ინტუიცია გაიდვიძებს თუა არა, ფიზიკურგრძობადი წამსვე იმსჭვალება სულიერით, გასულიერებულია შემოქმედებითი პროცესის ნაყოფიც.

ავთანდილის შემოქმედება პასტორალური სიყვარულის სამეფოა, მიწის, ხილული სილამაზის სამყაროა, შენი საცხოვრისა – აქ დგახარ, აქ ცხოვრობ, აქ გიხარია და გტკივა. მასთან ვერსად ნახავთ სითბოს ცივ იმიტაციას, ნამდვილი სითბო, სიხარული, სევდა და ტკივილია აღბეჭდილი მის ტილოებზე. სიცოცხლის ნამდვილი ზეიმი და სიკვდილის ნამდვილი მწუხარება – ფერებში გაცხადებული. ფერთა მრავალხმიანი ორკესტრის ფლერაში ყველა ფერს შემოქმედის მზრუნველი ხელი ეტყობა და მათი ემოციური მუხტი ნახატიდან გარემოს ეფინება. მხატვარი ხილულს რომ ასახავს, მის უკან უხილავი და ყოლისსანსჭვალავი კითხვა დგას: რას წარმოადგენს ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობა? ეს მისი მთავარი კითხვაა. მასთან ბუნება განყენებული ცნება, აბსტრაქცია როდია. იგი თავის თავში მოიცავს ყოველივე არსებულს, მათ შორის ადამიანსაც.

ავთანდილ პოპიაშვილის შემოქმედებაში ბუნების სურათებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, თავდაც ყველაზე უკეთ ბუნებასთან გრძნობს თავს, მასთანაა შერწყმული, მისსავე იეროგლიფებში ჩაღრმავებული და ღრუბლის სიქათქათოში, წვიმის შრიალში, ხეთა სიმწვანეში, ვარვსვლავთა ციმციმში მათ საიდუმლოს კითხულობს.

ბალახები, ბუჩქები, ხის ტოტები და ფესვები ხელს უწყვიან ფრაილოზე მიმავალს, ეხმარებიან, ყველაფერი ესმით. ზოგჯერ დალატიც იციან ზემ და ქვამ, მაგრამ მან იცის მათი ბუნება. იმასაც გრძნობს, რატომაა, რომ აი აქვე, თვალწინ აღმართული მთის ფერდობზე მიშენებულ სალოცავს ვერ აგნებს მის ბილიკზე შემდგარი მლოცველი თუ მოგზაური... იცის, როგორ შეუძლია ისეთ არსებას, როგორიც დათვია, ბუმბულავით გადაიქროლოს სიპის მქვეყნზე სრულიად უხმოდ და ერთი ქვაც არ შეარხიოს.

ავთანდილ პოპიაშვილის შემოქმედება ერთი მთლიანობაა და იგი ცოცხალი და დინამიკურია. მხატვარი მოგზაურობს დროიდან დროში, ქვეყნიდან ქვეყანაში, მიწიდან ცისკენ, კონკრეტულიდან ზოგადისკენ და ესწრაფვის მარადიულ ფორმებსა და შინაარსებს. ეს სწრაფვა ყოველთვის და მუდამ გზად ყოფნაა, მუდამ დაუკმაყოფილებლობისა და წყურვილის გრძნობაა. ამ გზაზე მთავარი სათქმელი ფერმა უნდა თქვას, მისი საშუალებით ხეს, ქვას, ყვავილს, ნანგრევს, თუ ცოცხალ არსებას ისევე შეუძლია განწყობილების, საგანთა სიღრმისეული შინაარსისა და ბუნების საიდუმლოთა გადმოცემა, როგორც ადამიანის სახეს. თითქოს უმნიშვნელო ტონალურ ლაქას, შტრიხს, ზაზს შეუძლია ახალი სიცოცხლე, ახალი ფერადობა შემატოს სურათს ან, პირიქით, დაარღვიოს წონასწორობა და ქაოსი შეიტანოს მასში. მხატვარი ცდილობს თავშეკავებული საშუალებებით, ფერის ინტენსიური დატვირთვით თქვას თავისი სათქმელი. ეს არის გზა მრავალსიტყვაობიდან ერთი, მრავლისდამტკვი სიტყვისაკენ, უსასრულო მრავალრიცხოვნებიდან საგნის გამოცალკევება და მასში სამყაროს ერთიანობის შეცნობა, საკუთარ თავში გატარება და მზის სინათლეზე გამოტანა, ოღონდ უკვე ფერნაცვალის, ხელოვნების ქმნილებად გარდასახულის, განზოგადებული.

მისი პეიზაჟები რომელიდაც დღის ანარეკლებია, მის გულში, გონებაში, მის არსებაში რომ დალექილია. ეს არ არის რომელიმე კონკრეტული დღე, კონკრეტული ადგილი, კონკრეტული შემოღამება თუ გათენება. ეს არის მრავალი დღის, მრავალი ღამის, მრავალი შთაბეჭდილებისა და გრძნობათა ჯამი, თავისი სინათლით, სურნელით, ხმებით და ფერებით და ეს არის წამი, როდესაც თვალებიდან ბინდი გადაგეცალა და დაინახე ზოგადად დღე, ზოგადად ადამიანი, ზოგადად მოვლენა, სხვა წუთი ამ წუთის მიღმა, მერე კიდევ სხვა...

ფერის ძლიერი შვერძნობითაა შექმნილი „ლანის ველი“, „მთვარისანი ღამე“, „მირაქის ველი“, „ვპოვე ტამარი“, „ნატურის ხე“, „შემოღამება“, „პასტორალი“, „საჯდრო ღრუბელი“... გაზაფხულები, ზამთრები... ეს არის სამყარო ადამიანების, ხეების, მდინარეების, რომლებსაც სულ სხვა ნაპირებისკენ მიჰყავხარ, მარადიული ზაფხულები და შემოდგომები, მარადიული დარი და ავდარი და ამ ყოველფერს მარადიული სიყვარული. ცოცხალი ფერები კარნახობენ მხატვარს, როგორც მინდიას ემეტყველებოდნენ ხეები და ბალახები,



სულიერი და უსულო. მხატვარია ის ადამიანი, ვინც უშუალოდ ვერცხლისფერისა და კედლებს შორის ჩამუქებული ოქროსფერის დიდი საიდუმლო, უფაქინესი ნახევარტონების საიდუმლო იცის.

მხატვრის პალიტრა მრავალფეროვანია, ლექსიკური მარაგი მდიდარი, ფერი მეტყველი, ემოციით გაჯერებული. ეს ის საშუალებებია, რომელთა მეშვეობით იგი გვეუბნება თავის სათქმელს და ეს სათქმელი შეიძლება ასე გადმოიცეს: „ბუნება ღმერთის ცოცხალი სამოსია. ბუნება ჩვენ გარემოგვიცავს და შემოგვხვევია და ჩვენ არ შეგვწყვეს ძალა, გამოგვყვით მას, არ შეგვწყვეს უნარი, უფრო ღრმად შევადწინოთ მასში... ჩვენ ჩაუერთივართ მას უსასრულო ცეკვის წრებრუნვაში და ჩვენთანად ტრიალებს, ვიდრე ძალა არ გამოგველევა და მკლავებიდან არ ჩამოგვუცურდება...“

ყველა ადამიანი მასშია და ის ყველაში... ის არარაღან ამოფრქვევს თავის ქმნილებებს და არ ეუბნება, საიდან მოდიან და საით მიდიან... მათ მხოლოდ სირბილი მართებთ... იგი ადამიანს მიწაზე დამოკიდებულს ხდის, აღუნებს, ამძიმებს და თან მუდამ აჯანჯლარებს, რომ გამოაფხიზლოს... მას არა აქვს არც ენა, არც მეტყველება, მაგრამ იგი ქმნის ენებს და გულებს, რომელთა წყალობითაც გრძნობს და მეტყველებს... მის ყველა ქმნილებას საკუთარი არსი აქვს და მაინც ყველაფერი ერთიანობას ქმნის...

მისი გვირგვინი სიყვარულია, მას მხოლოდ სიყვარულით თუ მიუახლოვდები...

მან ჩამომდგა აქ, თვითონვე გამიყვანს აქედან, მე მას ვენდობი...“ (გოეთე)

და თუ ეს მართლა ასეა, თუ ბუნება თავად ქმნის ენებსა და გულებს, რომელთა წყალობითაც გრძნობს და მეტყველებს, მაშინ აუთანდლო პოპიაშვილი იმ მხატვართაგანია, ვისთვისაც ასეთი ენა და გული უბოძებია, რათა მისი საშუალებითაც გვითხრას სათქმელი, მისითაც გვაგრძობინოს, რომ ჩვენს ღელამიწა, უბრალოდ, ადამიანთა საცხოვრებლად ჩაფიქრებული მოხერხებული სფერო კი არ არის, უხარმანზარი ცოცხალი არსებაა, დედაა, სიცოცხლის საწყისია, რომელიც სუნთქავს, გრძნობს და იტანჯება.

ჩამუქებული, შემცენიანი სახლები, ღურჯი წყლის უძრავი ტბორი, მორუხო ცივი, ცივი სფერო, ქალაქის მარტოსული ქუჩის კუთხე. ჰაერში რაღაც მკვრივდება – ეს სიბნელეა. ჯერ არ ჩანს, მაგრამ უკვე ახლოსაა. თოვლს ნაცრისფერი დასდებია. ქარის ცივ ხმიანობას შორეული ადგილების ამბები მოაქვს... ხამთარია, თეთრი გარინდება, ერთ ადგილზე დგომია, როცა ღვახარ, დვახარ, გინდა წაზვიდე და არ იცი საით, არ იცი, რადგან წასვლის დრო ჯერ არ დამდგარა. უძრავობაა, ბორკილადებულობაა და ენერჯის დაგროვებაა სიცოცხლის მძლავრი გამოვლენისთვის, სიკვდილია და მზადებაა მკვდრეთით აღდგომისთვის. შავ ორღობეს თეთრი მოსასხამი მოუსხამს, თავის ფიქრს მალავს და ელის დროს, როცა ერთბაშად იფეთქებს, ამღერდება, აკვლდება უამრავი ფერი, ბგერა, იქუნებს ორკესტრი, რომელშიც ბუნების ყოველი ძალა თავის პარტიას ასრულებს. მზით აქათქათუბული თეთრი ყვავილები გადმოკიდებიან ღობეზე, ღამე ისინი მთვარის

ფერს ირეკლავენ და მთვარისფერი არიან. ახლადგამოვლილებული ხეები ახლოს მისულან, საიდუმლოდ ჩასჩურჩულებენ ერთმანეთს და იმ დღესასწაულისთვის ემზადებიან, როცა ყველა ყვავილობს და სიყვარულისთვის ემზადება. სიცოცხლე დადის მათ ტანში და მათ ფერხით შინდისფერად იმშუშნება ორთქლადენილი ღელამიწა.


ყოველი კომპოზიცია ახალი თავგადასავალია, ყველაფრის თავიდან დაწყებაა, ახალი ნოველაა, რომელსაც აქვს ნამდვილი დასაწყისი, თითქოს მშვიდ მზიან ამინდში მოგარდა ფრთაძლიერი ქარი, ერთბაშად ააფორიაქა, აურია, გადაატრიალა ყველაფერი. იფანტება ყოველდღიურობის ნაცრისფერი, იკვეთება დრო, სიღრმიდან იხედებიან ხატსახეები. იქნებ არაფერიც არ მომხდარა, იქნებ უბრალოდ კარმა გაიჭრიალა სადღაც, ან ფარდა ააფრიალა ქარმა და რომელიღაც სურათი, რომელიღაც განცდა გააცოცხლა. ეს მუდმივად მოძრავი, ცვალებადი სურათები და განცდებია, რადგან მხატვრისთვის მთელი სამყარო მოძრავი, ცვალებადი და ახალია.

აუთანდლო პოპიაშვილის შემოქმედება თემატურად მრავალფეროვანია და ექვემდებარება მხატვრული სიმართლის კანონს, უმინაგანესის გადმოცემას, წვდომას არსში და ეს არის შესვლა ფარულ სამყაროში, ცივი ქარით აკლებული ქუჩიდან მშობლიურ სიმყუდროვეში.

მხატვართან ასახვა პოეზია რელიგიურმა თემებმა და სიუჟეტებმა, თუმცა, კანონიკა, როგორც ასეთი, არ დომინირებს. ეს არის მოვლენების უკანა, უხილავი მხარე, არის ის, რაც თავად იგრძნო და დაინახა. ამიტომ, ეს ნამუშევრები აპოკრიფული ხასიათისაა – დოგმისაგან თავისუფალია, საკუთარი გზით სიარულია რწმენისაკენ მიმავალ გზაზე. ეს ტილოები თავისფლად დანახვის, აღქმისა და შეცნობის ხატებებია, სრულიად თავისებური სულიერი განცდა და ასახვა და ძლიერ რწმენით იმპულსს შეიცავს: მე ასე ვხედავ, ასე განვიცდი, ამ გზით მივდივარ და ამ დროს ვგრძნობ თავს მალაღთან ახლოს.

მხატვარს ნიადაგ მუშაობამ ჩამოუყალიბა გამონახვის საკუთარი მანერა, კონკრეტულობამ განზოგადებულს დაუთმო ადგილი, ფიგურამ – მონახაზს, არაფითარი კონტური, მხოლოდ ცოცხალი, რბილი, შეუმჩნეველი გადასვლები... იგი სიცოცხლის, სიხარულის, იმედიანი განწყობილების მხატვარია, სილამაზისა და სიკეთის მეხოტბეა და ზეციური მეუფება ხომ სწორედ მაშინ ვლინდება ადამიანში, როცა სიკეთეს სჩადის, როცა უყვარს, როცა შეიმეცნებს სილამაზეს და შეიგრძნობს ცხოვრების სისასესეს. აქ კვლავ უნდა მოვიყვანოთ ლორკას სიტყვები, რომლებიც ასე ესადაგება ჩვენს მხატვარს: „იყო სიხარულით სავსე, აუცილებლობა და მოვალეობა და ამას გეუბნები ახლა, როცა ძალიან მიჭირს... თუნდაც მუდმივად მტანჯავდეს სიყვარული, მაწამებდეს ის, რომ სამყარო აი ასეა მოწყობილი, მაინც არასოდეს ვიტყვი უარას ჩემს კანონზე – სიხარულზე...“ და კიდევ, ქმნალობა სიცოცხლეა, რომელთანაც სიკვდილს ხელი არა აქვს.

*(უთანდლო პოპიაშვილის ნახატები იხილეთ გარეკანის ბოლო გვერდზე)*



## ხოტე ბარიხაშვილი

ღმერთი, ადამიანი, სამშობლო

დასაწყისივე მინდა გითხრა, ამ სამი მცნებიდან ერთ ერთი აირჩიოს ქართველმა, როგორც ქართველის ცხოვრების აზრი და წარმართველი, რომ ის ამ დაბადებამ გამოართლებული იყოს უფლის წინაშე. ასეთი ფიქრები ჩვენ მოგვდის. ვინც ქართულ მიწაზე ცხოვრობს, სულში და გულში იძახის ეს ჩემი სამშობლოა, მაგრამ ჩვენ სამშობლოს მოწყვეტილი ვართ, ჩვენი თავი ჩვენ გვეყუდნის და ვემართებს, ამ სამი მცნებიდან ერთ ერთი ავირჩიოთ, რომ გაღმა მხარეში ჩვენი მისია საქართველოს მისიის ნაწილი იყოს და უფლის წინაშე მცირედ მართალნი ვიყოთ.

ნუ მაქცევთ ამ სენტემენტალურობას ყურადღებს, თუმცა ესეც რეალობაა, რომელსაც დიდი დასაწყისი და დასრულებული გაგრძელება აქვს. მაგრამ ჩვენ გადმა მხარეში ქართველები გულში ხილულ და უხილავ იმედს ვატარებთ. ეს პატარა ნაპერწკალია, რომელიც გვაძლევს მოთმინების ძალას, გვაქვს სამშობლოს იმედი და ვართ სამშობლოსთვის იმედი.

წლის დასაწყისში კახის რაიონში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის ერთი ნაწილი კახის წმინდა გიორგის საკათედრო ტაძარში ქართველ მოსახლეობასთან შეხვედრა იყო. სალომე ზურაბიშვილი ტაძარში შეხვდა მეუფე დიმიტრი, მამა პეტრე და დედოფლისწვაროს მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ნიკოლოზ ჯანიაშვილი. ამ დღეს ერთი ძალზედ საინტერესო ფაქტიც მოხდა, მეუფე დიმიტრის ინიციატივით, ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილთან, ერთად დაიგეგმა ალიბეგლოს ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლი დედოფლისწვაროსში. ეს ფაქტი ქართული თეატრის ცხოვრებაში უპრეცედენტო შემთხვევა იყო. ეკლესიის ინიციატივით და ხელისუფლების თანადგომით ასეთ ლამაზი პროექტი განხორციელდა.

თუმცა, აქვე უნდა გავიხსენო ის ფაქტი, რომ დედოფლისწვაროსთან ჩვენ სოფელსა და თეატრს კულტურული ურთიერთობის წინა ისტორიაც გააჩნია. 1997 წელს დედოფლისწვაროდან ალიბეგლოს თეატრს ესტუმრა დედოფლისწვაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ შემოქმედებითი ჯგუფი, ასევე დედოფლისწვაროს კულტურის განყოფილების მამინდელი ხელმძღვანელი ნელი გობეჯიშვილი და დედოფლისწვაროს გამგეობის და საზოგადოების წარმომადგენლები. თუმცა, ამ შეხვედრის მოსამზადებლად



სპექტაკლის მსვლელობისას

ჩვენს სოფელში იქამდე რამოდენიმეჯერ იმყოფებოდნენ შეხვედრის ძირითადი ინიციატორები - დედოფლისწვაროს მწერალთა კავშირის ახლანდელი თავმჯდომარე და ლიტერატურულ ალმანახ „ხონაბუჯის“ რედაქტორ-გამომცემელი - გიორგი ნატროშვილი და ასოციაციის წევრი დავით ბალიაშვილი. შედეგად, ლამაზი, საინტერესო საღამო შედგა, მოხდა აზრთა გაცვლა გამოცვლა. მე მამინ ბევრ მსგავს ურთიერთობებში ვიყავი ჩართული და ყოველთვის გამოვთქვამდი უკმაყოფილებას, რომ ურთიერთობა არ იყოს ერთჯერადი. მართლაც, ჩვენდა გასახარად, პოეზიის სადამოხე დაგვპატივეს დედოფლისწვაროსში. რა თქმა უნდა, სიხარულით ვეწვიეთ და ერთი-ორი ემოციური სიტყვის თქმაც მომიწია. ამ საღამოთი უფრო ღრმად ჩავეარა საფუძველი ალიბეგლოს და დედოფლისწვაროს შორის ურთიერთობას და განმტკიცდა მეგობრობა ჩემსა და გიორგის შორისაც; მერე ოჯახებში მისვლა-მოსვლა, სარწმუნეობის თემა გაჩნდა. მაშინ არ არსებობდა ეპარქია. შემდგომი კიდევ უამრავი თემა, საკითხი, საქმე გამოჩნდა. მაღლობა უფალს, რომ მე და გიორგის მეგობრობა ბევრ რამეს მოიცავს და ერთგვარად სიუბილეო თარიღია - 22 წელი შესრულდა.

დავუბრუნდეთ თავდაპირველ სიტყვას. 2019 წლის გაზაფხულზე ჩვენი გასტროლი რომ წარმატებული აღმოჩნდა, ამას პირველ რიგში დედოფლისწვაროს მაყურებელი დაადასტურებს. დედოფლისწვაროს კულტურის ცენტრში წარმოდგენილი იყო ვლადიმერ




სპექტაკლის შემდეგ

მალიაგინის „მამა არსენი“, დამდგმელი რეჟისორი ლერი შიოშვილი. მონაწილეობდნენ მსახიობები: ბესარიონ ჭაჭაშვილი, ვიტალი სუყაშვილი, ლამა ანდრიაშვილი, ლამა ასლამაზაშვილი, რაული ბარიხაშვილი, ლერი შიოშვილი, ნინო ბარიხაშვილი, ნინო ჭაჭაშვილი, ნონა ჭაჭაშვილი, მაცვალა ემრაშვილი, ბობი ჭაჭაშვილი. გამნათებული - ლევან ბარიხაშვილი, ხმის რეჟისორი - ბაჩუკი ასლამაზაშვილი. მართლაც ძალიან წარმატებული გასტროლი შედგა. რაზეც ჩვენი თეატრი დიდად მადლიერია მეუფე დიმიტრისა, ბატონი ნიკოლოზ ჯანიაშვილის, კულტურის ცენტრის დირექტორის, ბატონი ილია მარტყოფილიშვილისა. იმედით აღვსებულნი სიხარულით გამოგვაცილა მთელმა დედოფლისწვაროს, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილის ინიციატივით და მონდომებით ეს გასტროლი გაგრძელდება კახეთის სხვა რაიონებში და კულტურული ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება. რამდენიმე თვეში კიდევ ვაპირებთ დედოფლისწვაროსში სპექტაკლის ჩვენებას.

დასარულს, მე მინდა ჩვენ კილოკავზე დაუმათვრო ეს წერილი: მისაც ჩონ მიწაზე ერხელ ფეე დოუღვამ, მოულოცნი ჩონ სალოცავებ, ერ ჯიქა დინე დოუღვეი, პურ მოვხეჩი, ეს მადლიან მიწას ექ, დიდ ქართულ სულ ტრეილებს, ეს ჩონ მეუფეს თავი თოლი დოვნახი, ბევრ რამ დოვნახი, ბევრ რამ იცის, კარგა იცის ჩონ სიხარულიც, ჩონ ტკვილიც, თუ ჩემ არ იყურებთ მოჰკითხით მეუფეს, მე ერთ რამ კარგა ვიც, გომორჩეულა უყვარს ჩონ სოფელ!..



სოფელ სამრეკლოს წმ. სერაფიმე საროველის ტაძარში




## რამ დამაბერა

ვერ მივხან ჩემმა სწორფერმა, ქალამ ჩემ დროსამ, ხნისამა:  
 – რამ დაგაბერა? – ის მითხრა: – ბიჭო, მზემ ჩემის ძმისამა?  
 – ჩემ დაბერება, ქალაო, წელმა ქნა სამოცისამა,  
 სამოც-სამოცჯერ მოსვლამა განაფრულისამ, სოვლისამა,  
 ოცდაერთათას ცხრაასჯერ ცაზედ ამოსვლამ მზისამა,  
 გაფრენამ სიზმარიეთა შეიდას ოცისა თვისამა,  
 ჩემზედაცა ქნა ბოინი მსაჯულმა სიცოცხლისამა.  
 საოცრად აღიღებამა რომეს ფონთანას წყლისამა,  
 დიდის ნიაღვრის მოსვლამა, წაღებამ წისქვილისამა,  
 წისქვილთან ერთად წაღებამ მამაჩემისამ, დისამა,  
 წყლის წაღებულის ძეგამა, ველარ მოხელვამ მკვდრისამა,  
 ვერ დაიჭირის სიკვდილი გზა-შარამ სიაღნისამა,  
 ჩვენად ჭირად და ბოროტად დალოცვამ ცხენონრისამა,  
 ურჯულთსავით ნაქნარამა მამინ ჩემ დედიძისამა,  
 თფლ-შრომამ დედანემისამ, შეძენამ მამულ-წყლისამა,  
 მამულ-წყლის გამაისობით გაყიდვამ ტალაგრისამა,  
 ამის დაფასება არვისგან არავისამა,  
 ყოფამა სიდუხჭირითა, სიმწარემ სიბოლისამა,  
 მრავალჯერ ფენის დადგამამა თავისისამ და სხვისამა,  
 სრუ მარტუას ყოფამა, არვისგან ჭერამ მხრისამა,  
 როცა ვერ ვიყავ ვაჟკაცი, მამინ სიმრავლემ მტრისამა,  
 მტერ-დუშმნის სახლში შევარდნამ, დედისად მოჭრამ მხრისამა,  
 ვერ ვიყავ სრული წლოვანი, ამამინ შაბამა ხმლისამა,  
 სიკვდილის გადაწყვეტამა ფხიზლისამ, განა მოვრლისამა?!  
 დედის დამჭრელის აკუწვამ, ნალესის ფრანგულისამა,  
 ჩანხუხით მირგვალთ მოვლამა ვაჟით წინგარდისამა;  
 ვიორგიობის დამემა. დულს ხიდმა ჭივანისამა,  
 ჩემზე ძლიერის მტრისადა ორ-სამჯერ შეაკვრამ გზისამა;  
 შეცდომამ ჩამომაბერის, სიბრძავემ სიბაღლისამა,  
 არაის ძალისტანებას ერთ დროს არ ლოცვამ ჯვრისამა,  
 მამინ ჩემ უწადინოდა, თან წაქეზებამ სხვისამა,  
 დიდვორ დღეობის ჩამლამა, ვერ შეყვრამ თემობისამა,  
 წვერს ველარ წასვლამ ტოლათამ, ვერ რბოლამ ცხენებისამა,

ჩამოსხნამ ბელეზზეთა ზარისამ სარეკლისამა,  
 დიდვორის ვორის ატკრეცამ, ჯვარისამ, ჯვარისკრისამა;  
 გაღმროშკას, ქანჩისკალთა ბელისკარ მოჭრამ ხისამა,  
 გუდანის-ჯვრისად დახვედრამ, კინად ჭრამ მედროშისამა;  
 ამავან ჩამომაბერის, ჯავრემ ვერაბევრად მტრისამა;  
 მტერს მტრულად უსწორდებოდი, ჯვარის წყალობამ ღვთისამა.  
 თან გამომრავლის დუშმანი პირში თქმამ სიმართლისამა,  
 ერთგულის გათრგულვამ, აყოლამ სხვა და სხვისამა,  
 ჭაბუკობის დროს დალატამა ქალისამ ლამაზისამა,  
 თავზე ასრივის გადავლამ ჭორისამ, საძრანისამა,  
 მეკვლეში გამასაყა დამემა ახალწლისამა,  
 ცისკარგანმასი ნახვამა, ხანმა ერთ მიხუტისამა,  
 დანატერის ველარ მოსწრებამ, ჩქარა გაკურნვამ ცისამა;  
 ზამთრის ქარ-ბუქვის გუგუნმა, გრიალმა ზეგვებისამა,  
 ზაფხულის სიღამაზემ, სიმრავლემ ყვავილისამა,  
 მთიბელში მჯობინობასა ელვამა ცელებისამა,  
 ფხიზუს ფხვრიალით რბოლამა ცხენისამ ნაქერლისამა;  
 ბუქ-ბუქის გაერთფერებამ, ნათობამ ნალეებისამა,  
 დილით შურთხების სტვენამა, დამით ყმუილმა მგლისამა,  
 კლდის ენში შამოცინებამ ჯიხვთ წყეშა ქალისამა,  
 ჭაუნში დამის თევამა, მიყოლამ ჯიხვებისამა,  
 ზატერის ხელფიცხად ტრიალმა, ხმარებამ შამხანისამა,  
 ერცხვისად შამახეთქებამ ჩრდილისად მზისპირისამა,  
 შუა დილდომდე ჩასვლამა ხევსურის თოფის ხმისამა,  
 ხარლადის გაგორებამა, ჩაჯანჯულებამ რქისამა,  
 არწივის ჩამაქროლამა, წაღებამ წილ-კერძისამა;  
 ქისტეთ თიკში მისვლამა, ზე მოვარის დღვამ მცხრლისამა,  
 ბესეავით ტყევის მოშლამა, კივილმა ქისტებისამა,  
 მამდგარმა დასწრობაზედა ბაგუგამა ნაგუნებისამა,  
 წინითი გამთფმენეტამა, პირქერა წვრილმადლისამა;  
 შადლებამ ჯიხვის სისხლითა მაგ ტანისურის ტბისამა,  
 მხრებამდი ტბაში შესვლამა, შამქეფვამ სიმურისამა,  
 ტბამითი გამოტანამა მოკლულის ჯიხვ-მოხვრისამა;  
 ჩამომაბერის ტიალმა ქროლვამ გრილ ნიავისამა,  
 კალატის წვერზე შასამა ყინულიანის წყლისამა;  
 თვალთა სინათლის მოკლებამ, ჩამოყრამ კბილებისამა;  
 ვერნახვამ სიკვდილის დღესა დიაკონთ გიორვისამა,  
 იმისგან თვალთ ჭერამა ჩემ მისავალის გზისამა,  
 ჩემგან ვერ გამართლებამა ნაქონის იმედისამა;  
 ჩაქრობამ, ჩანაცრებამა ყველა ჩემ მეგობრისამა,  
 ჩემ დროში გადაქსაქსვამა ნარჩევს ქალ-ვაჟისამა,  
 ჩემ მარტუას დარჩომამ, ჩამოთეთრებამ თმისამა;  
 კას დროების წასვლამა, ვერ მოსვლამ უკეთისამა.  
 ჩამომაბერის ჩონგურმა, გათლილმა ვერხვის ხისამა,  
 თავბერაულის გათლილმა, ტოლხემათ მიხანისამა,  
 ერთ დროში ხელში ნაჭერმა უთურგათ ჯურნისამა.  
 სიზმარში მკითხის ამბავი ლელამა გაბურისამა,  
 მკვდარმა, ვერდავიწყებულმა ორმოცდათორის წლისამა,  
 კელაპატრირით ჩაქრობამ ჭრელების თვალებისამა,  
 ბარუქის დაბინაგებამ, გაწირვამ არხოტისამა.




შკას



წვილას გიორგი



მოსეტიალე თეატრი



თამარ დედოფალი



თბილისი



იერიქონის ანგელოზები



სტუმრულ ფილოსოფიას

